# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 31 ოქტომბერი 1998 №198 (733) ფასი 50 თეთრი

# ქართული ფეხბურთის ფული და გონება

## ცხრა წელიწადი 15 წუთში

რვა წელი ამას ვეჩიჩინებოდით ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელეთ, ჟურნალისტებიც ჩაგვაყენეთ საქმის კურსში, გაგვაგებინეთ, ალმასკომის სხდომაზე რა ხდება, წევრების ვინაობა გაამხილეთო. თქვენც არ მომიკვდეთ, ფედერაციამ მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინ ვითომ გამოიფხიკა ყურები, სხდომის დაწყებამდე ფოტორეპორტიორებს აძლევდნენ ოთახში შესვლისა და მუშაობის საშუალებას, მაგრამ სხვა ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ალმასკომის წევრებზე კი ნურას უკაცრავად, მათ სახელებს ისე პრინციპულად მალავდნენ, თითქოს საქმე სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტის თანამშრომლებს ეხებოდა.

და აგერ, რაც რვა წლის მანძილზე არ მომხდარა, რაც გვეწადა, მაგრამ მავანთა ჯიუტობის გამო ვერ მოვახერხეთ, რაც თქვენ გაინტერესებდათ, მაგრამ ზოგიერთვის ეს სულ ერთი გახლდათ, გუშინ სულ თხუთმეტ წუთში გაცხადდა სასტუმრო „შერატონ პალასის" დარბაზში უეცრას წარმომადგენელთა თანდასწრებით.

მერაბ ჟორდანია — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

ალექსანდრე ჩივაძე — ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

ვალერი ჩოლარია — ფედერაციის გენერალური მდივანი

ნიკო ლეკიშვილი — მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე

თემურ ჭყონია — კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" პრეზიდენტი

ლევან გაჩეჩილაძე — კომპანია GWS-ის პრეზიდენტი

დათო ტურაშვილი — მწერალი

ზაზა ბოკერია — ექიმი

გივი შულაროვი — პარლამენტარი

დემურ ლელაძე — „საქართველოს ავიახაზების" პრეზიდენტი

მურთაზ ანჯაფარიძე — აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

გურამ ფილიპაშვილი — იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

იმედო დუნდუა — გურია

გოჩა როსტომაშვილი — კახეთი

ომარ გოგიაშვილი — სპორტის აკადემიის რექტორი

ემზარ ზენაიშვილი — საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი

გურამ ქარქაშაძე — შინაგან საქმეთა სამინისტრო

რომან შოთაძე — თბილისის „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტი

ნიკო დოლიძე — ფონდი „ფეხბურთი ბავშვებს"

დავით გამყრელიძე — სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" პრეზიდენტი

ამათ დაამატეთ საქართველოს სხვა რეგიონების ორი წარმომადგენელი, რომელთა ვინაობის გარკვევა ჯერ ვერ მოესწრო და შპს „ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე, რომელმაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო გუშინ „შერატონ პალასში" მიბრძანება.

აი, რვა წელი ამაზე გვალაპარაკებდნენ. შეუძლებელი ყოფილა? თუ ვინმე პასუხს მოსთხოვდათ, ალმასკომის წევრები რად დაასახელეთო. ახლა ყველამ იცის, გადაწყვეტილება ვინ უნდა დაამტკიცოს.

დიახ, ზემოჩამოთვლილი პიროვნებები ამიერიდან სფფ-ს ალმასკომის წევრები არიან, რომლებიც გუშინ პირველად შეიკრიბნენ.

იხილეთ მეორე გვერდი



ფედერაციის ახალი ალმასკომის პირველი სხდომა, ცხადია, ახალმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გახსნა



# თბილისური ტატამი ისევ დაფასდა

### დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა 26-ე საერთაშორისო ტურნირი იწყება

ამ ტურნირის ისტორია 1970 წლიდან დაიწყო და დაარსების დღიდანვე გამორჩეული პატივი ხვდა წილად — ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მაშინვე უმაღლესი, A კატეგორია მიანიჭა. თბილისურმა ტურნირმა იმთავითვე გაამართლა, უმოკლეს ხანში იმდენად პოპულარული გახდა, მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს უწოდებდნენ. ამ პოპულარობის წყალობით ვნახეთ თბილისში ძიუდოს არაერთი ცოცხალი ლეგენდა. ვინ მოთვლის, ვინ აღარ გვიხილავს სპორტის სასახლეში გამარჯვებული თუ დამარცხებული, დაღვრემილი თუ სახეგაცისკროვნებული, ხელაწეული თუ თავჩაქინდრული. ასეთი პატივი სხვადასხვა დროს რგებიათ იაპონელებს — დაუმარცხებელ იამასიტას, საიტოს, ენდოს, ნინომიას, სასახარას, ხოსოკავას, უემურას, ფუჯის; ფრანგებს — რუჟეს, ჩულუიანს, ტრენოს, ტაიოს, დუიეს; ჰოლანდიელებს — როუსკას, ადელაარს, ძმებ სნაიდერსებს; საბჭოელებს — სოლოდუხინს, ნევზოროვს, ვერიჩევს, კოსოროტოვს, ნოვიკოვს, იაცკევიჩს, ტლეცერს... ყველა მათგანს ვერ ჩამოთვლი. აქ ხომ ძიუდოს უძლიერეს სკოლათა აღზრდილნი იყრიდნენ თავს. ჩამოდიოდნენ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ეს ტურნირი იქცა დიდი იამასიტას და არა მარტო მისი კარიერის დასაწყისად.

დაარსებიდანვე ტურნირში საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდით გამოდიოდა. ჩვენებს ყველაზე მეტი — 62 ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული. საკუთარი ქომაგები არაერთხელ გაუხარებიათ ხუბულურს, ჩოჩიშვილს, ხაბარელს, კურტანიძეს, ტოტიკაშვილს, თენაძეს, ხახალეიშვილს, კიბორძალიძეს (ჩვენებურების ჩამოთვლაც ერთობ საძნელო საქმეა)... ყველაზე მეტჯერ კი, ექვსჯერ რამაზ ხარშილაძეს გაუმარჯვია.

ტურნირის ასეთი ბედნიერი დღეები 1993 წლამდე გაგრძელდა, 90-იანი წლების დამდეგიდან კი ჩვენში შექმნილი არასახარბიელო პირობების გამო უცხოელთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო, იმ წელს კი ტურნირმა არსებობა შეწყვიტა.

ტურნირი ხელახლა 1997 წელს დაიბადა. ეს აღდგომა მეოთხედსაუკუნოვან წლისთავს კი დაემთხვა, მაგრამ მას უკვე უმაღლესის ნაცვლად B კატეგორია ჰქონდა. წელს ტურნირმა ისევ დაიბრუნა ძველი ავტორიტეტი, თუმცა მონაწილეთა შემადგენლობა მაინც შედარებით სუსტია. გაისად მას ოლიმპიადის სალიცენზიო შეკრების სტატუსიც მიენიჭება და მაშინ თბილისში ისევ ვიხილავთ ძიუდოს ელიტას.

უკვე ვთქვით, წლევანდელი ტურნირი მონაწილეთა სიძლიერით ძველებურად ვერ დაიკვეხნისო, თუმცა სტუმართა სიმრავლე არც წლეულს დაეწუნება — გვეწვივნენ იაპონიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ირანის, ისრაელის, რუსეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაკრები გუნდები.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# ერთად, ერთი საქმისთვის

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი ძლიერ განაწყენებული გახლდათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ ჩინოსანზე. მიზეზი? მწვრთნელი და მისი გუნდი ნაკლებ ყურადღებას გრძნობდნენ იმჟამინდელ ხელმძღვანელთაგან, ბოლო შესარჩევი მატჩების გამართვისას კი, სულაც დაამადლეს — აქაოდა, ამდენი ფული დავხარჯეთ და სამარცხვინო შედეგები მივიღეთო. გუცაევმა ეს ადრეც აღნიშნა, ახლა დაამატა, ყრილობის იმედი მაქვს, ახალ პრეზიდენტს დაველაპარაკები და ბევრ რამეს გავარკვევთ, მჯერა ერთად დავდგებით და საერთო საქმეს ისე გავაკეთებთ, ჩვენი გუნდის წარმატებით ყველამ გაიხაროსო.

მოგეხსენებათ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ახლა მერაბ ჟორდანიაა. სწორედ მას შეხვდა ორიოდ დღის წინ გუნდის მწვრთნელი და გულთბილადაც ისაუბრეს. მთავარი ეროვნული ნაკრებია, მის სასიკეთოდ არაფერი უნდა დავიშუროთო — ორივემ აღნიშნა. მერაბ ჟორდანიამ ვლადიმერ გუცაევს მხარდაჭერა აღუთქვა და იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს მომავალშიც ხშირად შეხვდებიან.

კობა ინასარიძე

# რუმინელებმა დამცინავად გამოგვხედეს

გუშინ საფრანგეთში ჩვენს ბორჯღალოსნებს რომ შევეხმიანეთ, გულახდილად აღიარეს, ჟუანვილის ბატალიონთან 12:50 წაგება ჩვენი ზედმეტი თავდაჯერების ბრალიცაა, არ გვეგონა, ახალგაზრდები ასე ძლიერად თუ გვეთამაშებოდნენო. ამ მატჩს თურმე რუმინელთა მზირებიც დასწრებიან, თამაში კიდეც გადაუღიათ და ბოლოს ჩვენებისთვის ირონიული ღიმილით ხელიც დაუქნევიათ, ჩვენამდე ჯერ კიდევ ბევრი გიკლიათო. ჩვენი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ზაზა ქასაშვილის თქმით კი, ნაკრების მწვრთნელ გურამ მოდებაძეს მზვერავების გამო კარტი ბოლომდე არ გაუხსნია. გუნდში ტრავმირებული არავინაა. ჯერ არ გადაწყვეტილა ახალი მოთამაშეების — ნიკა იურინისა და გრეგორ იაშვილის შემატების საკითხიც. ცნობილი ფრანგი მორაგბის მიშელ იაშვილის ვაჟი პერსპექტიული ბიჭი კია, მაგრამ ჯერ გამოუცდელია.

დღეს ჩვენების მეტოქე „კასტრი" იქნება, სამშაბათს რეველში მიდი-პირინეის ნაკრები, მეორე დღეს კი ქართველები ესპანეთში გადავლენ და სან სებასტიანში საფრანგეთ-ესპანეთის ბასკთა გაერთიანებულ ნაკრებს შეერკინებიან.

ირაკლი თაგაძე

# ქართული ფეხბურთის ფული და გონება

## ცხრა წელიწადი 15 წუთში

დასაწყისი პირველ გვერდზე

თავიდან ფედერაციის პრეზიდენტმა დაიწყო: „მოხარული ვარ, ერთად რომ შევიკრიბეთ და ერთადვე განვაგრძობთ მუშაობას. ახლა ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი ქართულ ფეხბურთზე. თქვენი დახმარების იმედი მაქვს. დღევანდელ შეკრებას უეფას სტუმრები — ერიხ ეპლე და ერნი უოქერი ესწრებიან. მივესალმები მათ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა. ქართული ფეხბურთის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები უნდა შევიმუშაოთ, ამ ხალხის დახმარებით უეფას წარვუდგინოთ და დახმარებას ველოდოთ..." მერაბ ჟორდანია უმალ საქმეზე გადავიდა. ალმასკომის წევრები ჩამოგვითვალა, თან დააყოლა, ფედერაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე „საქართველოს ავიახაზების" გენერალური მდივანი ვახტანგ ასათიანი იქნება, რომელთანაც არანაირი ნათესაობა არ მაკავშირებს. სამომავლოდ ჩაფიქრებული ბავშვთა ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი კი დავით ყიფიანის ვაჟი — ლევანი. მისი და სხვა მეგობრების დიდი შრომა-გარჯის შედეგად გაკეთდა ვაკის სტუდქალაქის მახლობლად ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედანი, რომლის მსგავსიც ქალაქის მერის ნებართვით თბილისის ათივე რაიონში გაკეთდებაო.

მერე პრეზიდენტმა თავაზიანად გვთხოვა, დარბაზი დაგვატოვებინა, თუმცა მანამდე მერაბ ჟორდანიამ ფირმა „ტელესპორტთან" ფედერაციის ამჟამინდელ კონტრაქტზეც ილაპარაკა. მისი თქმით, ფედერაციას ბევრის მოხვეჭა შეეძლო, მაგრამ ხელშეკრულებით ბევრიც დაკარგულია. ახლა შეეცდებიან, „ტელესპორტთან" კონტრაქტს გადახედონ და სხვაგვარად შეთანხმდნენ, ანაც საერთოდ დაარღვიონ პირობები და ახალი ფირმა მოძებნონ, რომელიც ჯარიმასაც გადაიხდის და კიდეც გვახეირებს.

ახალი ალმასკომის სხდომამ ორ საათზე მეტს გასტანა. მერე მორიგეობით გამოვიდნენ დარბაზიდან ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, „კოკა-კოლას" შეფი, ფი-

საუკეთესო საშუალებად დროის ფაქტორი მიმაჩნია. გვადროვონ ცოტა, მოვლონიერდებით და გადავიხდით, ჟბა, რას ვიზამთ. თუმცა, თუ საერთოდ მოგვიტევებენ და ფულს გვაჩუქებენ, ნამდვილად არ ვიუარებთ. ისიც კარგი იქნება, სახელმწიფო აქეთ თუ რამით შეგვეწევა.

ჯერჯერობით ფედერაციის მეორე ვიცე-პრეზიდენტის საკითხი ღიადაა. არც იმ კაცის ვინაობას გავამხელ, ვინც შეიძლება ეს პოსტი დაიკავოს.

თემურ ჭყონიას დიდად მადლიერი ვარ, ბავშვთა ფეხბურთში რომ აპირებს ფულის დაბანდებას, „კოკა-კოლას" კი რა სახის კონტრაქტი აქვს ფედერაციასთან გაფორმებული, ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით არ ვიცი, თუმცა ჩვენთან რომ ითანამშრომლებს, ნაღდია.

მერაბ ჟორდანია მეტად აღარ შეგვიწუხებია, მაგრამ გუშინწინდელი შეხვედრების შემდეგ დაღლილი, უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებისა და დახმარების დეპარტამენტის უფროსი ერიხ ეპლე რუსულად კი ალაპარკდა:

— ქართველებთან 4-5 წელია, ვთანამშრომლობთ. ახალკაცის მმართველობის პერიოდი უკვე წარსულს ჩაბარდა, ახლა ახალ ცხოვრებას იწყებთ. ჩვენც ვეცდებით, ყოველმხრივ დაგეხმაროთ. მერაბ ჟორდანიას ადრეც ვიცნობდი, როგორც „დინამოს" პრეზიდენტს. დარწმუნებული ვარ, არც მასთან გაძნელდება ურთიერთობა. უეფა მზად არის თქვენს დასახმარებლად, სიტყვა თქვენზეა. დღევანდელი ალმასკომის სხდომის მიმდინარეობითაც კმაყოფილი დავრჩით, წევრებს ეტყობოდათ, უდავოდ საქმიანი ხალხია. ასეც უნდა იყოს.

— მართალია ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ წინასწარ რამდენს უნდა ელოდოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დახმარების სახით?

— დარწმუნებულნი იყავით — უეფა დაგეხმარებათ. ადრე ლაპარაკი 600 ათას შვეიცარიულ ფრანკზე იყო, დაახლოებით ამდენით ეხმარებოდა უეფა თქვენს ძველ ფედერაციას. ვეცდებით, ამჯერად უფრო მეტი გამოგიყოთ, გავაანალიზებთ თქვენს



ვლადიმერ გუცაევი ნიკო ლეკიშვილის და თემურ ჭყონიას გარემოცვაში

ნანსურად მძლავრი ფირმების პრეზიდენტები, ძველი ალმასკომის წევრები და სტუმრებიც. მაგიდასთან მხოლოდ მერაბ ჟორდანია დარჩა ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად:

— უეფას წარმომადგენლებს დღესვე სურდათ, მათთვის იმ მიმართულებებზე გვეთქვა, რომლებიც პრიორიტეტულად მიგვაჩნია ჩვენი ფეხბურთის გასავითარებლად. არ ავჩქარდით. ალმასკომის წევრები უახლოეს მომავალში კიდევ შევიკრიბებით და საბოლოოდ გადავწყვეტთ უეფა რისთვის დაგვეხმაროს. წევრებს დაშლა არ უნდოდათ, კიდევ ვისაუბროთ, ვიკამათოთო, მაგრამ დღეისათვის ასე ვამჯობინეთ. ალმასკომში ისეთი ხალხია, რომელთაგანაც მხოლოდ კარგს უნდა ველოდოთ.

ფეხბურთის ფედერაციაში 15 კომიტეტი ჩამოყალიბდება. დიდი სურვილი მაქვს, ყოველივეს ახალგაზრდებმა უხელმძღვანელონ, რომლებიც თავიანთი ცოდნისა და შრომის ხარჯზე ხალხს სალაპარაკოს არ მისცემენ. სხვა სტრუქტურულ ცვლილებებზე კი ხვალ-ზეგ უკეთ მოგახსენებთ. ჩვენ პროკურატურის თანამშრომლებს ვთხოვთ, ფედერაციაში მუშაობა კიდევ გააგრძელონ. უნდა ვიცოდეთ, რა დარღვევები იყო და ბიუჯეტში დავალიანება რამდენი გვაქვს. ისე, თანხის გადახდის

წინადადებას, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა წარმოგვიდგინონ ქართული ფეხბურთის მესურვეებმა და ამის შესაბამისად მოვიქცევით. მერაბ ჟორდანიას 7 ნოემბერს უეფაში ველით პრეზიდენტთა შეკრებაზე. განვითარების პროგრამასაც იქ მოგვაწვდის.

ეპლე მართლაც კმაყოფილი ჩანდა. საკითხავი ისაა, რა ამბავს ჩაიტანს უეფაში, მის სიტყვაზე ხომ ბევრია დამოკიდებული.

ფედერაციის პრეზიდენტად მერაბ ჟორდანიას არჩევის შემდეგ კი ერთი, მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა — ალმასკომის შემადგენლობა გვაქვს მხედველობაში. თითოეული ყველასათვის კარგად ცნობილია, ბიზნესმენები და საქმის მცოდნე ხალხი შგეიყარა. ჟორდანიამ გონივრული ნაბიჯი გადადგა, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ფედერაციის ახალ კადრებზე გუშინ არაფერი თქმულა. ვალერი ჩოლარიას გენერალური მდივნობის ამბავი ამას წინათაც გამცნეთ, ალექსანდრე ჩივაძის ვიცე-პრეზიდენტობა კი მოულოდნელი ნამდვილად არ გახლავთ. ამ პოსტზე კვლავ საშა ჩივაძე დარჩება, ყრილობაზე მისი საქციელი ამის წინაპირობა იყო.

ასეა ცივილიზებულ ურთიერთობას მხოლოდ კარგის მოტანა შეუძლია. რაც ცხრა წელი არ მოხერხდა, თხუთმეტ წუთში მოხდა.

**ძოგა ინასარიძე**

# ხურცილავა გულ[illegible]ა უფულობას უჩივის

ქართულ ფეხბურთს მართლაც მძიმე დროება უდგას, ძალიან მძიმე. განგაშის ზარიც თითქოს კარგა ხანია, ჩამოკრულია, მაგრამ გამგონე არ ჩანს. ჩვენი ფეხბურთის ჭირისუფალთა იმედი ფედერაციის ამასწინდელი ყრილობისკენ იყო მიპყრობილი და სასიკეთოდაც გადაიდგა პირველი ნაბიჯი — ძველი, შეცდომებით დახუნძლული, წავიდა და ადგილი დაუთმო ახალს, რომელსაც ალბათ ორმაგი პასუხისმგებლობა აწევს. აკი უთქვამს მერაბ ჟორდანიას, გვარიან ჭაობში შევცურეო. შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონ პრეზიდენტს — მართლაც ჭაობშია დღეს ქართული ფეხბურთი და იქ ჩაფლულ კაცს უდავოდ დიდი ჯაფა დაადგება, ფეხბურთიც და თავიც მშრალზე რომ დაიგულოს.

ჩვენში ფეხბურთის დონის საზომი მუდამ თბილისის „დინამო" იყო და, ალბათ, კარგა ხანსაც იქნება — „დინამო" ყოველთვის ჩემპიონია. „დინამოში" ყოველთვის რჩეულნი თამაშობენ. „დინამოს" არასდროს არ აკლია ფული, მისთვის მიუღწეველი არაფერია (რა, თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში). „დინამო" ყოველთვის პირველია... „დინამოა" და იმიტომ. სხვა კი ვერ პირველობს. ვინ არის დამნაშავე? ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ისევ „დინამო"...

სიმართლე გითხრათ, მურთაზ ხურცილავას დიღმის ბაზაზე რომ ვესტუმრეთ, მიზეზი „დინამოში" მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები გახლდათ. გუნდის დატოვება ბევრმა ფეხბურთელმა განიზრახა და გუნდში შექმნილ სიტუაციაში გარკვევა გვსურდა, თუმცა ჩვენი საუბარი მალე სულ სხვაგვარად წარიმართა და „დინამოს" თავკაცმაც თავისი გულისტკივილიც ბოლომდე გაგვიზიარა.

**— მარადიული ჩემპიონობის დროსაც კი „დინამოს" მცირედი ჩავარდნა ყოველთვის ჰქონია. ქულების დაკარგვას რომ თავი დავანებოთ, წინა ტურში, რუსთავში გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. ვატყობთ, პრობლემები მოგძალებიათ.**

— გეთანხმებით, მეტ-ნაკლებად ყოველთვის წაგვიფორხილებია და ახლაც ასეთივე მდგომარეობაში ვართ. ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს. გუნდის ერთბაშად ოთხი წამყვანი ფეხბურთელი, შეიძლება ითქვას, დავკარგეთ— ალექსიძე მძიმედ არის ავად, მას საზარდული აწუხებს და შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს. ხომერიკი, იცით, ისრაელშია, მას ერთთვიანი პირობითი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და თუ მოეწონათ, დაიტოვებენ კიდეც. კიკნაძემ და ცქიტიშვილმაც წასვლა გადაწყვიტეს, წარმოგიდგენიათ, ეს ოთხეული რა ძალაა „დინამოსთვის"? ფაქტობრივად, გუნდი თავიდან არის გასაკეთებელი, უფრო სწორად, გადასახალისებელი, ამას კი დრო სჭირდება. პრობლემებიც აქედან წარმოიშვა. გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის დავკარგე, ხომ ნახეთ, რუსთავში ბავშვებით ვითამაშე. აგერ „ტორპედოსთან" გვიწევს თამაში... პირველი წრის ბოლომდე მაინც დარჩენილიყვნენ.

**— მათი წასვლით უკმაყოფილო უნდა იყოთ.**

— რომელ მწვრთნელს გაუხარდება კარგი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლა?

**— თუ არ ვცდები, ჯოხი გიორგი კიკნაძეზე ტყდება. არადა, მან წლების მანძილზე ღირსეულად იტვირთა თავისი მისია „დინამოში". არ მიგაჩნიათ, რომ მას სრული უფლება აქვს, უცხოეთში გააგრძელოს კარიერა, მით უმეტეს, შარშან კლუბის ინტერესები გაითვალისწინა და გუნდში დარჩა?**

— ვფიქრობ, ამის გაკეთება მას პირველი წრის შემდეგაც შეეძლო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კიკნაძეს რამეში ვამტყუნებდე, მშვენივრად მესმის მისი. ბოლოს და ბოლოს, მას თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს და ეს მისი გადასაწყვეტია.

**— ბოლო დროს „დინამოს" ფინანსურ შეჭირვებაზეც დაირხა ხმები.**

— ორთვიანი „ჩავარდნა" საარჩევნო კამპანიით იყო გამოწვეული. კლუბის დირექტორატი ფეხბურთელებს შეხვდა და ეს უკანასკნელნიც გაგებით მოეკიდნენ შექმნილ ვითარებას. ყველაფერი უკვე გამოსწორდა — ამ დღეებში თითოეული მათგანი დაუბრკოლებლივ მიიღებს კუთვნილ გასამრჯელოს.

**— ყრილობაზე ერთობ ამაღელვებლად გამოხვედით და თქვენი პოზიციაც მკვეთრად გამოხატეთ.**



მურთაზ ხურცილავას უჭარო გენერლობა ემუქრება

— ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ. მკვდარია დღეს ქართული ფეხბურთი. ყრილობაზე თქვენი თვალით ნახეთ, რაც ხდებოდა. ნაკრებმა ორჯერ წააგო და შევცვალოთო, იძახიან. ფედერეციამ კი რვა წლის „მოღვაწეობის" შედეგად დღევანდელობამდე მოგვიყვანა. არ იყო დრო მათი შეცვლის? ჟორდანიას ყველანაირად გვერდში ვუდგები. რატომღაც ძალიან მჯერა ამ კაცის. რაღაც უნდა შეიცვალოს, ასე გაგრძელება არ შეიძლება. სასაცილოა ჩვენი მდგომარეობა. თქვენ გგონიათ, მიხარია, ყოველ წელს ერთი და იგივე ჩემპიონი რომ გვყავს? რა ქნას „დინამომ", როცა მის გვერდით მოთამაშე გუნდთა უმეტესობა მშიერია. დღეს ფეხბურთი გამძლეობაზე და სისწრაფეზეა დამყარებული — ყოველივეს კი აღდგენითი პირობები სჭირდება. გეკითხებით, რამდენი გუნდი ახერხებს ამას ჩვენთან?

**— პირველ ჯგუფში გუნდების რაოდენობის შემცირებაზე კარგა ხანია, ხმამაღლა ლაპარაკობენ.**

— კი, ბატონო, შევამციროთ კლუბების რაოდენობა. არ გამოვრიცხავ, რომ ყოველივემ შეიძლება ჩემპიონატის დონე აამაღლოს, ეს პროცესი, ალბათ, ეტაპობრივად უნდა მოხდეს. მაგრამ არა მგონია, მარტო ამან საქმეს უშველოს. უბრალოდ, მოხდება მშიერი გუნდების რაოდენობის შემცირება პირველ ჯგუფში და ვინ იცის, იქნებ კონკურენციის გამო იმ მშიერს კიდევ უფრო მოშივდეს. რა აზრი აქვს დღეს ჩვენი ჩემპიონატის გამართვას? ეს ყველაფერი პირველ წლებში ჩატარებული ჩემპიონატების ინერციაა. თქვენც იცით, რაიონებშიც მიმუშავია. ხანდახან თამაშის მერე, ცხელი წყალი არ მქონია ფეხბურთელებისთვის. ან წარმოიდგინეთ, ზუგდიდიდან ბოლნისში რომ წახვალ ავტობუსით და იმავე დღეს თამაშს გამართავ. ხმამაღლა ვაცხადებ, დღეს ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები პატრიოტები არიან. მათ ხომ არაფერი არა აქვთ, თქვენ იცით, ორჯერადი ვარჯიშის

შემდეგ ფეხბურთელს აღდგენისთვის რა[illegible] მდენი კალორია სჭირდება? საჭმელი სჭი[illegible] რდება, ხალხო — ელემენტარული რა[illegible] თვეების მანძილზე ხალხი ხელფასს ვე[illegible] ღებულობს და მაინც თამაშობენ, არ არი[illegible] ან პატრიოტები? ისინი გმირები არიან[illegible] ახალმა ფედერაციამ სწორი გზით უნდ[illegible] იაროს, ნებისმიერი მდგომარეობიდან მო[illegible] ინახება გამოსავალი.

**— ამ ბოლო დროს კვალიფი[illegible] ცირებული მწვრთნელების ნაკლ[illegible] ბობა სულ უფრო თვალშისაცემ[illegible] ხდება.**

— ვეთანხმები იმ აზრს, რომ აუცილ[illegible] ბელია მწვრთნელთა სკოლის შექმნა, მა[illegible] გრამ იქ ვინ უნდა ასწავლოს? უცხოელ[illegible] აქ არ ჩამოგვივა. ამიტომ საჭიროა ხში[illegible] რი საქმიანი მივლინებები უცხოურ კლუ[illegible] ბებში. კი, ბატონო, მესმის, რომ ყოველი[illegible] ვე დიდ თანხებს მოითხოვს. ნუ წავალ[illegible] ჩვენც გერმანიაში და ინგლისში, აგე[illegible] თურქეთი ყურის ძირშია. იქ ხომ ევრო[illegible] პის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების სპ[illegible] ციალისტები მუშაობენ, მათგანაც ბევ[illegible] რამის სწავლა შეიძლება. მაგრამ ერთ[illegible] კია, აქ რომ იყოს შესაბამისი დაინტერე[illegible] სება, მსგავსი პრობლემა დღეისთვის ა[illegible] გვექნებოდა. და საერთოდ, გულგრილ[illegible] ვართ ყველაფრის მიმართ, გულგრილ[illegible] ვართ ქართული ფეხბურთის მიმართ [illegible] ყოველივეს მოვალეობის მოხდის მიზნი[illegible] ვაკეთებთ.

**— ზემოთ ბრძანეთ, რომ ნები[illegible] სმიერი მდგომარეობიდან შეიძლე[illegible] გამოსავალის პოვნა.**

— თითოეულმა ჩვენგანმა თავის წი[illegible] პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს [illegible] ნაც დაინტერესებაა საჭირო, საქმე რო[illegible] აკეთო ინტერესის მარცვალი უნდა იდო[illegible] შიგ, ყოველივეს კი ისევ და ისევ სერიო[illegible] ზული თანხები სჭირდება. ვფიქრობ ს[illegible] ხელმწიფოს დახმარების გარეშე ჩიხიდ[illegible] გამოსვლა შეუძლებელია. ამაზე სერიოზუ[illegible] ლი დაფიქრება გვმართებს.

**ბაატა ძვანტალიან[illegible]**

ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!
რუსთაველის №17. ტ: 98 37 10
① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები

# ევროპამდე შორია

მეათე ეროვნულმა ჩემპიონატმა მეთერთმეტე ტური მიითვალა და წლევანდელი სეზონის მესამედიც მიილია. ყველაფერი გამოჩნდა: ვინ ძლიერია, ვინ სუსტი. ვილაცამ გაამართლა სეზონისწინა მოლოდინი, ზოგიერთის ამბიციები კი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველი სცენარით წარიმართა — „დინამო" ადრინდელივით ჩემპიონობისთვის იბრძვის, სხვებს, შედარებით სუსტებს კი, ვთქვათ, „სიონს", „გორდას" ან „სამგურალს" კვლავაც უჭირთ.

იმას ვამბობდით, რომ გამოსაჩენი გამოჩნდა და უპრიანი იქნება, მეათე ეროვნულში მობურთალი ქართული გუნდების საერთო მდგომარეობის ანალიზი გავაკეთოთ. მივყვეთ ქვემოდან ზემოთ, რადგან წესისამებრ, ყველაფერს ზესვლა ახასიათებს (ქართული ფეხბურთის გარდა).

*„სამგურალი"* მეთერთმეტე ტურის ...მდეგ სატურნირო ცხრილის ფსკერს ამა...რებს. წყალტუბოელები შემადგენლობის ...მხრივ უაღრესად საშუალო გუნდების მა...რაქს განეკუთვნებიან, მაგრამ ერთი უპი...რატესობაც გააჩნიათ — მათი დამრიგებე...ლი ხომ გაიოზ დარსაძეა. ბევრს ცდი...ლობს დარსაძე, რათა ნორმალური გუ...ნდის სახე მისცეს იმერელთა გარჯას. მა...გრამ ბევრიც არაფერი გამოდის. თვითო...



გაიოზ დარსაძე

...ვე გვინახავს, როგორ უკონკრეტებს და ...წვრილმანებს მწვრთნელი ცალკეულ ფე...ხბურთელებს საკეთებელს, მაგრამ სამწუ...ხარო ისაა, თხუთმეტიოდე წუთი თუ ჰყო...ფნით დამრიგებლის „საგზალი" შეგირდებს. ...აქედან შედეგიც — ორად ორი მოგება, ...ერთადერთი ფრე და რვა წაგება. არადა, ...პირველ ტურში „მერანთან" მობურთალი ...„სამგურალი" არ ტოვებდა სუსტი გუ...ნდის შთაბეჭდილებას. ამ შემადგენლო...ბითაც შეუძლიათ წყალტუბოელებს სა...ხიფათო ზონიდან ამოყვინთვა, მაგრამ ეკო...ნომიკური სისუსტე თავისას შვრება. პი...რველ ყოვლისა ეს უნდა გაითვალისწი...ნონ „სამგურალის" მამებმა.

*„სიონი"*, გუნდი, რომლის მთელი სა...პირველჯგუფო მოღვაწეობა „მზის ქვეშ ...ადგილის" შესანარჩუნებლად ბრძოლით შე...მოიფარგლება. წლებია, უჭირთ ბოლნი...სელებს, მაგრამ თავიანთ ჭირს თვითონვე ...ძლიან. სხვების დახმარების გარეშე და



...იც აქტივში ეთვლებათ, ბოლნისიდან ...ამი ქულის წამოღება ნებისმიერი გუნ...დისთვის რომ პრობლემაა. „სიონის" სა...თამაშო ხარისხი აშკარად ვერ ტოვებს ...მსურველის შთაბეჭდილებას. ვინძლო ...ხალმა მწვრთნელმა დაატყოს ხელი ქვე...მოქართლელებს. შემადგენლობის გადახა...ლისებაც მართებთ ბოლნისელებს, გუნდის ...ხემძიმე აშკარად ხუთიოდე კაცის მხრე...ზე გადადის და აქედან უმეტესობა ვეტე...რანია, იმ ასაკისა, დღეს-ხვალ რომ შეეშ...ვება ფეხბურთს.

*„გორდას"* შემყურეთ მოგებათა სამ...ქულიანი სისტემის მზაკვრობა გვხვდება ...თვალში. თერთმეტიდან შვიდი მატჩი არ ...წააგეს რუსთაველებმა და მაინც ბოლო...დან მესამეზე იტკეპნებიან. არა აქვს ფრეს ...ფასი ინგლისელების მიერ დაკანონებულ ...სამქულიან სისტემაში. ექვსი ფრე მხოლოდ ...ორი მოგების ტოლფასია, ექვსი ფრე თო...



...მეტ დაკარგულ ქულას ნიშნავს და აქე...დან, „გორდას" აუტსაიდერობაც გასაგე...ბია. რუსთაველთა დაცვას და მეკარეს არ ...ესაყვედურება, აუტსაიდერისთვის თე...რთმეტ ტურში გაშვებული მხოლოდ რვა ...ბურთი მიღწევაა და განსაკუთრებით 8:1, ...2, 6:0 და მსგავსი ანგარიშების ფონზე. ...რამდენადაც კარგად ირჯება რუსთაველთა ...დაცვა, იმდენად სუსტია თავდასხმა, აქა...მდე ექვსი ბურთიღა რომ გაიტანა და ...ესაც შველა უნდა. ისევე, როგორც „სა...მგურალს" ან „სიონს", „გორდასაც" ფუ...ლი უჭირს, მეპატრონეთაგან თეთრიც არ ...ეღირსათ ფეხბურთელებს და ესეც აურე...

სებს მათ მდგომარეობას.

*თსუ* ჩემპიონატის წინ შეკრებილი გუნდია. მისგან, აბა, ბევრს ვინ ელოდა. მაგრამ მწვრთნელმა, გუნდმა და პატრონმა საქმე გააკეთეს — თსუ-ს პროგრესი აშკარაა. უკვე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებმა სასტარტო წაფორხილება დაძლიეს, ცხრილშიც ნელ-ნელა, საფეხუროებით ინაცვლებენ ზევით და უეჭველია, გაბელიას შეგირდები საშუალო გუნდებს შორისაც გაერევიან. თსუ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ეტყობა მეტნაკლები სიმაძღრე ფეხბურთელთა გამოსვლას. ახალი სიო ქართულ ფეხბურთში სტუდენტური ფეხბურთის გამოცოცხლებასაც გვპირდება და ვის, თუ არა უნივერსიტეტის გუნდს, უნდა დაემჩნას ეს.



*„მერანი"* მაძღარი გუნდია. „მერანს" პატრონი კარგი ჰყავს. არც სერგო გაბელაიაა გუშინდელი მწვრთნელი. აი, მეთერთმეტე ადგილი კი აშკარად არ შეშვენით ტრანსპორტელებს. ისიც უნდა ვაღიაროთ, მათაც „გორდას" დარად ფრეები მოსჭარბდათ, თორემ თერთმეტიდან სამი მარცხი სწორედ რომ საშუალო გუნდის მაჩვენებელია. ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი თავისას უცილოდ გააკეთებს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, მერანელები მეგოლეს რომ გაიჩენენ. 7 გატანილი გოლით ისინი მარტო „გორდას" სჯობიან და ეს მიგვაჩნია მათ უპირველეს პრობლემად. გოლის ალღოთი დაჯილდოვებული ფორვარდი თუ მოიძიეს, მერანელებს ტურიდან ტურამდე გაუადვილდებათ საქმე და ცხრილში ზესვლასაც გაიიოლებენ. გოლეადორი „მერანს" სასწრაფოდ სჭირდება, თორემ გაუგია კი ვისმე,



11-დან 7 შეხვედრაში ასეთ მდარე ჩემპიონატში გუნდს გოლი ვერ გაეტანოს?

*„გურიას"* ყველაზე მეტად უჭირს ეროვნულში. უჭირთ გურულებს აგერ რამდენი წელია და ვერც პატრონ-მყვარებელი გაიჩინეს. სულ ბეწვის ხიდზე უწევთ სიარული. ახლახან ოთხი თვის მანძილზე თეთრაუღებელი ჯონი ჯანელიძეც დაშორდა გუნდს და თითქოს ამას ელოდნენო, ერთ-ერთი ლიდერი გორის „დილა" დაიფრინეს ლანჩხუთელებმა. დაიფრინეს და ოთხი ადგილითაც ისკუპეს ცხრილში. „გურიას" ჭირი ისიცაა, მოწვეული ფეხბურთელებით რომ უწევს ფონს გასვლა და თუნდაც სხვა რაიონიდან მოწვეული ფეხბურთელი რომ კარგა დიდი ფუფუნებაა ჩვენი ჯიბეგაფხეკილი გუნდებისთვის, აშკარაა.





*„არსენალს"* მწვრთნელი შეუცვალეს. კონფლიქტმა და უსიამოვნებამ დაივანა არმიის გუნდში. კორღალიძის წასვლა, უთუოდ, დაღს დაასვამს „არსენალის" თამაშს და შედეგს. არმიელთა გუნდიც და შედეგიც ხომ, ფაქტობრივად, კორღალიძემ შექმნა. არავისთვისაა ცნობილი, როდის ამოავსებენ ამ „სიცარიელეს" არმიელები, მაგრამ მოულოდნელ და უსიამოვნო ცვლილებებს ვისთვის რა ხეირი დაუყრია, ასკ-ს რომ დააყაროს. ისე, პირობები ბევრისთვის შესაშური გააჩნიათ კორღალიძის ყოფილ შეგირდებს. ერთი რამ ნათელია, არმიის გუნდი წლეულს პირველ ჯგუფში დარჩება.

*„ოდიშსაც"* უჭირს. ბოლო ტურში ფეხბურთელთა უმეტესობა სოსო ჭედიას თხოვნამ და ავტორიტეტმა გაიყვანა მოედანზე „ტორპედოსთან" მარცხი ზედიზედ მეორეა ზუგდიდელთათვის. აშკარაა, ოდიშართა ერთადერთი წარმომადგენელი ვე-



სოსო ჭედია

ღარაა ძველებურად ამბიციური. საევროპო ზმანებები ყოფილ პატრონ ვახტანგ ნანავას თან წაჰყვა, ოღონდ სად და რამდენი ხნით, არავინ იცის. გუნდის ფეხზე დასაყენებლად ამას წინათ სრულიად ზუგდიდის საზოგადოებრიობა უნდა შეკრებილიყო. რა ქნეს ზუგდიდელებმა და რა მოხდა მათ შეკრებაზე, არ ვიცით, გუნდს კი ძველებურად (არნახულადაც) უჭირს.

*„ვიტ ჯორჯიას"* ამერიკული ფირმის სახელი, დიდი გული და ასევე დიდი სამომავლო გეგმები გააჩნია. ერთი-ორი ტური წაილიდერეს კიდეც ვეტერინარებმა. მერე მოეშვნენ და ცხრილის შუაგულში მყარად დამკვიდრდნენ. მეათე ტურში მათმა ლიბერო ჭანკოტაძემ თანამსაჯს წიხლი ჩააზილა და მეტად ძვირად დაუჯდა ახალგაზრდული ნაკრების წევრს ეს წიხლაობა (ისევე, როგორც გუნდს). ვიტელებს და ფეხბურთს ჭანკოტაძე ერთი



წლით ჩამოაცილეს. თავად გუნდს კი სამი ქულა აართვეს. ამ პასივის გამო „ვიტ ჯორჯია" მერვედან მეთერთმეტე ადგილზე ჩამოქვეითდა. მწარე მაგალითია, მაგრამ საჭირო. ვინძლო სხვებს დაეკარგოთ ფეხბურთის მოედანზე კიკბოქსიორობის სურვილი.

*„იბერია"* მეათე ეროვნულის ყველაზე იდუმალი და გამოუცნობი გუნდია. სად რას და როგორ იზამს, ვერავინ ვერაფერს გაუგებს. ბევრი გააქვთ სამტრედიელებს, მაგრამ უფრო მეტს საკუთარ კარში იღებენ. ახლახან „დინამომ" ხომ ლამისაა, ერთიანად იყარა სამი-ოთხი წლის

წინანდელი ჯავრი. თავიდან სამტრედიელებს მაძღარი გუნდის იმიჯი შეექმნათ, მაგრამ ბოლო ტურში იმერეთში ჩასულთ ვერ დაგვხვდა მთლად კარგი ამბავი — მაინცდამაინც არც „იბერიას" ულხინს ფინანსების მხრივ ტკუმკაც რახანია, ალთქმულ მიწას მიაშურა და იქიდან რა ამბავს მოიტანს ჩიტი ეს ჯერჯერობით მარტო გიორგი დარასელიამ იცის. ბოროტი ხმები ამბობენ, „იბერიაც" უცხოეთში მობურთალთა „გადასაქაჩად" ემზადებაო... ვნახოთ, შევხედოთ, დრო გვიჩვენებს ყველაფერს. სამტრედიელ გულშემატკივარს ერთის ნაღდად არ უნდა ეშინოდეს — „იბერია" მყარად ზის პირველ ჯგუფში. მისმა საევროპო ამბიციებმა კი წერილი და მათი ჭირი წაიღო.



*„ბათუმი"* ისეთი ჯილაა, არქიმედეს თუ რაღაც უცნაური ამომგდები ძალა ორმაგად რომ მოქმედებს. პირველ სამ ტურში ზღვისპირელებმა სირცხვილი კი ჭამეს, მაგრამ მალევე მოიქაჩლეს თავი და აჰა, მეექვსე საფეხურიც დაითავისეს. ეგაა, ძველებურად ვერც ბათუმელებს გააქვთ. ის კი არა, ბოლო სამ ტურში ერთადერთხელ შეაგდეს მხოლოდ, ისიც შინ და ისიც აქამდე ოცდახუთჯერ ნირწამხდარ „სიონთან". წინ კიდევ ორი მესამედია მეათე ეროვნულისა. „ბათუმიც", ალბათ, უმალ ამაღლდება, ვიდრე ქვემოთ დაიწევს, თუ... (რა ვიცით, აჭარაშიც გაუჭირდათ გუნდის შენახვაო, გავიგეთ).

საქართველოს თასის და სუპერთასის მფლობელს 26 მაისს მადა ისე გაეხსნა, კლუბის პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ, წლეულს არც ჩემპიონობაზე ვიტყვით უარსო. ეს თუ არა, პრიზიორობა მაინც შე-



უძლიათ ბათუმელებს.

*„კოლხეთს"* თუ ფოთის პორტი ეყოლა ძლიერად, პრიზიორობას ვერავინ შეეცილება. ევროსარბიელზე ნაჭამი სირცხვილიდან კარგა დროა გასული და, ალბათ, კოლხებსაც აღარ სტკივათ იარა. თამაშით კი ძველებურად ათამაშდა „კოლხეთი", ლაღად აგორებს ბურთს და დაკარგული ქულებითაც მესამეა „დინამოსა" და „ტორპედოს" მერე. სტაბილური შემადგენლობა, ნორმალური ფინანსური მდგომარეობა და დამაკმაყოფილებელი კლასის ფეხბურთელები — აი, კოლხთა აღმასვლის გასაღები. წივწივაძე — გვასალია — გაბისონიას შემტევი ტრიო ბარე ორ ქართულ გუნდს გაუჩენს სადარდებელს და იმათ, ვინც პრიზიორობაზე ფიქრობს, ფოთელებისა ნაღდად უნდა ეშინოდეთ.





*„დილა"* მეოთხე ადგილზე რომაა მეათე ეროვნულის აღმოჩენაა. გორელები წუწუნის გარეშე უვლიან საქმეს. სხვანაირი ხალხი ცხოვრობს გორში — გულშემატკივრიდან დაწყებული, გუნდის მამებით დამთავრებული. ადრეც ვამბობდით, ახლაც ასე გვჯერა, გაუძნელდებათ გორელ ბიჭებს პრიზიორობა, მაგრამ რაც აქამდე გააკეთეს, ესეც საქმეა. მათი თამაშიდან გამომდინარე, სტაბილურობა გეცემა თვალში და ჯიგარი, რომელსაც ბოლომდე დებენ მინდორზე „დილას" მობურთალები.



თემურ მახარაძე

*„ლოკომოტივი"*. ძველებურად მიჩიქჩიქებს მატარებელი. ვერც ბათუმურმა, ვერც კოლხურმა, ვერც მარადი ჩემპიონის ბარიერმა ვერ დააოკეს რკინიგზელები, თუმცა ამათ ისეთი ელმავალი ჰყავთ (თემურ მახარაძეს ვგულისხმობთ)...

რკინიგზელებს შეტევაზე მეტად თავის დაცვა ეხერხება და ამიტომაც აქვს ყველაზე ცოტა — ხუთი ბურთი მიღებული. თუმცა არც ნათურქმენეთალი გოგოლაძის რკინიგზელთა რიგებში კურთხევა გამოვრიცხოთ — კახა სტაჟიანი მეგოლეა, თამაშიდან გამომდინარე, გვარიან ჯანზეცაა და უცილოდ ესეც წყალს დაასხამს „ლოკომოტივის" შედეგიანობაზე.



*„დინამოს"* უჭირს (!). „დინამოს" ფეხბურთელები გაურბიან, „დინამო" ველარ არის ძველებურად ძლიერი. გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რათა ძველებურად შეინარჩუნოს სტატუსქვო სიძლიერის მხრივ, თუმცა მისი თავგამოდება ადრინდელივით აღარ ჭრის. ერთადერთი კინკილა დაკარგული ქულითღა უსწრებს მარადი ჩემპიონი იმერლებს. მეთორმეტე ტურის და, ალბათ, ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა „დინამო" — „ტორპედო" ბევრ რამეს გასცემს პასუხს.

*„ტორპედოსაც"* „დინამოსი" არ იყოს, უჭირს, ოღონდ ორმაგად — ფინანსურადაც და ფეხბურთელებიც გაურბიან. დრო გამოაჩენს, მართლა ბობოლა სპონსორი „გაშანსეს" იმერლებმა თუ მორიგი



სატყუარა გადაუგდეს უხელფასობით და უჭმელობით გვარიანად გატანჯულ ტორპედოელებს. სხვა მხრივ, გორში ფიასკოს თუ არ ჩავთვლით, ჯანაშია და ძმანი მისნი უპრობლემოდ გავლენ ევროსარბიელზე.

ესეც ქართული ფეხბურთის საერთო მდგომარეობა. პირველი ჯგუფის თექვსმეტი გუნდიდან ექვსს უჭირს უკიდურესად, ხუთს — საკმაოდ, დანარჩენ ხუთსაც — ისე რა... დალხინებული ჩვენს ფეხბურთში არავინაა, დალხინებული შუაგულ ევროპაში უნდა ვეძებოთ, იქ, სადაც თვალი და ყური გაურბით ქართველ ფეხბურთელებს.

**კონსტანტინე გოგიაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
12 ტური

# არა მხოლოდ ლიდერობისთვის

**„დინამო“ — „ტორპედოს“ დღევანდელი შეხვედრა მხოლოდ ლიდერობის ბედს როდი წყვეტს, ამ თამაშის შედეგს მთელ ჩემპიონატზე ძალუძს გავლენის მოხდენა — გამარჯვებული შეიძლება მომავალი ჩემპიონიც იყოს.**

თბილისი
31 ოქტომბერი
14 საათი
ეროვნული
75 000

## დინამო — ტორპედო

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი);
ე. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

საქართველოს საიუბილეო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ დაუპირისპირდებიან. თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს გუნდები ადრე თუ გვიან ხომ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და განსაკუთრებული ამაში არაფერია, მაგრამ... აი, ის მაგრამ არ ასვენებს დღემდე ქართველ გულშემატკივრებს. ქომაგები ამ წყვილთა პაექრობისგან რაღაც ახალს ელიან, ისეთს, როგორიც ჯერ არ ყოფილა ქართულ ჩემპიონატში. ის ახალი კი კარგა ხნის მივიწყებული ძველია, მოგონებაა, იმ წარსულისა, რომელიც პირველი ჩემპიონატიდან იღებს სათავეს და ქართველი ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებას შემოუნახავს. ორი დიდი ქართული საფეხბურთო სკოლის, ორი დიდი ამბიციური განწყობილების შეჯახება, წმინდა სპორტული და რაინდული ბრძოლა.

ახლა ბევრს საუბრობენ ამ გუნდების შესახებ. კამათში ხშირად ისმება საკითხი თითოეული ფეხბურთელის წარმომავლობისა და ინტერესების გამო. თუ ამ მხრივ მივუდგებით საქმეს, ერთი რამ უდავოა — ქუთაისელები აშკარად უკეთეს მდგომარეობაში არიან, თავის მართლების მეტი საფუძველი აქვთ, როდესაც პრეტენზიებს უყენებენ. ქუთაისის „ტორპედოში“ ის თაობა თამაშობს, რომლისთვისაც საქართველოს ჩემპიონობა, ალბათ, ერთადერთი და სანუკვარი მიზანია. მიუხედავად ყოველგვარი პრობლემისა, ამ ბიჭებმა გამონახეს ძალა, ძალა ქალაქის ერთგულებისა და ფანების პატივისცემისა. ისინი საიუბილეო ჩემპიონატის რაინდებად მოგვევლინენ და „ტორპედოს“ ღირსების დაცვა ვაჟკაცურად იტვირთეს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, ჩვენი ქვეყნის მარად ჩემპიონს ერთადერთი მიზნის მიღწევისთვის გადაუდვია თავი, ეს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა. საქართველოს ჩემპიონობა კი, მათდა სავალალოდ, მხოლოდ ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა. როცა მიზანი უფერულდება და ადვილად მისაღწევი ხდება, ამ დროს თავს იჩენს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სურვილი მოპაექრის გამოწვევისა და ინტრიგის გაღვივებისა.



გიორგი კიკნაძეს „დინამოდან“ წასვლა სურს, ქუთაისელები კახა კვეტენაძე, არჩილ ჩხაბერიძე (№3) და კომპანია კი „ტორპედოსთვის“ ძველებურად ირჯებიან

ეს შეხვედრა ერთი თვის წინათ რომ გამართულიყო, სულ სხვა ელფერი ექნებოდა. თბილისელებიც და ქუთათურებიც თავიანთ საბრძოლო შემადგენლობას დააყენებდნენ საამმატჩოდ, მაგრამ მოხდა ისე, რომ „ტორპედოს“ თბილისელმა ფეხბურთელებმა გაჭირვების ჟამს დაალალატეს თანაგუნდელები და ფაქტობრივად სამარქაფოების გარეშე დატოვეს. „დინამოს“ კი ერთგულმა წევრებმა უგანეს და განუცხადეს — მოგვწყინდა უაზრო ბურთაობა და სხვაგან თამაში გვირჩევნიაო.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში აშკარა უპირატესობა აქვთ დინამოელებს. აქამდე რატომღაც ქუთათურები საქართველოს ჩემპიონებთან ჯერ კიდევ მატჩამდე აგებდნენ თამაშს, რაღაც გაურკვეველი შიშით ებრძოდნენ, თუმცა მსაჯებმაც არაერთხელ გაუწიეს „დინამოს“ დათვური სამსახური, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. დღეს ყოველივე სხვაგვარად უნდა წარიმართოს. დღეს საფეხბურთო ზეიმის მოწმენი უნდა გავხდეთ. იმ ზეიმისა, რომლის შედეგსაც მხოლოდ მინდორზე ღირსეული პაექრობა განაპირობებს.

ფოთი
31 ოქტომბერი
14 საათი
ფაზისი
10 000

## კოლხეთი — ოდიში

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი;
ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

რა შეიძლება ითქვას ფოთში გასამართი შეხვედრის შესახებ? ბევრიც არაფერი. 100-დან 99 შემთხვევაში ალბათ „კოლხეთი“ მოიგებს. ჯერ ერთი, კოლხებმა კრიზისი დაძლიეს და ამჟამად მშვენიერ ფორმაში არიან, მეორეც, მათი შეტევი ტრიო — წივწივაძე — გვასალია — გაბისონია, არა გვგონია, ზუგდიდელებმა შეაჩერონ და მესამეც — „ოდიშს“ უკიდურესად უჭირს.

წინა ტურში ფოთელებმა შინ „არსენალს“ მოუგეს. მოუგეს არც თუ ადვილად. ეგ იყო, 3:0 მიჰყავდათ ანგარიში. ისიც სათქმელია, რომ კოლხებს გამთამაშებელი ნოზაძე დაუბრუნდებათ და მისი მახვილგონივრული პასები მეტოქისთვის რა ხათაბალაცაა, ყველამ უწყის.

„ოდიშის“ ფინანსური გაჭირვება თუ დროზე არ მოგვარდა, ცხრილში დღევანდელი პოზიციაც სანატრელი გაუხდებათ მეგრელებს. ერთ დროს ამბიციური ზუგდიდელები ახლა პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან და ამანაც იქნებ შეჰმატოს სიმწვავე დღევანდელ შეხვედრას.

დანარჩენი კი მატჩის შემდეგ გაცხადდება — მოიპოვებს „კოლხეთი“ დაგეგმილ მოგებას თუ „ოდიში“ ახტება თავს ზემოთ.

წყალტუბო
31 ოქტომბერი
14 საათი
26 მაისი
12 000

## სამგურალი — გურია

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი);
მ. ელიკაშვილი, ა. მეშკოვი;
ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: გ. პეტრიაშვილი

„გურიას“ ჯონი ჯანელიძის წასვლამ უშველა და ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერიაც შეწყვიტა — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე, ლანჩხუთელებმა მართლაც დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერიც დაამარცხეს და აუტსაიდერთა რიგებსაც თავი დააღწიეს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ დროებითაც — მათი გაჭირვების ამბავი ხომ ყველას მოეხსენება. ამას წინათ ვამბობდით, მოთამაშეებს გუნდიდან წასვლაზე უჭირავთ თვალიო.

მდგომარეობა არც „დილას“ ძლევის შემდეგ შეცვლილა, ლიდერის დამარცხებამ გურულებს ფინანსური თვალსაზრისით არც არაფერი შემატა. რაც შეეხება წყალტუბოელებს, ისინი ნამდვილად სავალალო დღეში არიან. საარსებო სახსრებს მოკლებული გუნდი გათამაშების ცხრილის ფსკერზე დაეშვა და ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობაში იმყოფება. გაიოზ დარსაძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა გუნდმა კრიზისს თავი დააღწიოს. გამოცდილმა სპეციალისტმა იქნებ შეძლოს კიდევაც ამის გაკეთება, თუ, რა თქმა უნდა, წყალტუბოში დარჩენის სურვილი კვლავ ექნება.

ბოლნისი
31 ოქტომბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
3 000

## სიონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი);
გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მახარაძე

ბოლნისს „ვიტ ჯორჯია“ ახალი მწვრთნელის ჯემალ მახარაშვილის მეთაურობით ეწვევა. ვეტერინარებს საკადრო ცვლილებებთან ერთად დისციპლინარული სასჯელიც დაატყდათ თავს — სამი ქულა ხომ „ჩამოაწერეს“ სფფ-ს მესვეურებმა, თან მათ ცენტრალურ მცველ გიორგი ჭანკოტაძესაც ერთი წლით აუკრძალეს თამაში. არადა, ჭანკოტაძე — მაისურაძის წყვილი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ მეათე ეროვნულის ცენტრალურ მცველთა შორის.

ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა „სიონი“ მეტოქის პრობლემის სათავისოდ გამოყენებას. მატჩს ინტრიგას ისიც მატებს, „სიონს“ რომ ვიტელთა ყოფილი მწვრთნელი, სპარტაკ არჩვაძე თავკაცობს. როცა დამრიგებელს თავისი ახალი გუნდი ყოფილის წინააღმდეგ გაჰყავს სათამაშოდ, ასეთი შეხვედრა მუდამაც საინტერესოა.

ბოლნისელები საშინაო შეხვედრას ყოველთვის ძლიერად ატარებენ, მით უმეტეს დღეს მათ დასაკარგიც არაფერი აქვთ და მიუხედავად, სიმპათიური გუნდის იმიჯისა, არც „ვიტ ჯორჯიაა“ „დინამო“, რომ მასთან წაგება ეწეროთ.

რუსთავი
31 ოქტომბერი
14 საათი
ფოლადი
10 700

## გორდა — იბერია

მსაჯები: მ. მალაღურაძე;
ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი);
დ. თოდუა (მარტვილი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

საკვირველია რუსთაველთა საქმე. გუნდი ხშირად აგებს, მაგრამ როდესაც საქმე ლიდერთან შეხვედრაზე მიდგება, იქ „გორდას“ დამარცხება გამორიცხულია. თავად განსაჯეთ, მიმდინარე ჩემპიონატში „დილამ“, „ბათუმმა“, „კოლხეთმა“ და თავად „დინამომაც“ კი ვერ შეძლეს წარუმატებლად მოთამაშე რუსთაველთა ძლევა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „გორდამ“ დღემდე ოდენ ერთხელ მოიგო, ეს კი ვერაფერი შედეგია. დღევანდელ შეხვედრაში მასპინძლებს „იბერიას“ სახით საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავთ. სამტრედიელები დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოიყურებიან და რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვებაც იზეიმეს. თანაც დასავლელთა სეზონისწინა განაცხადი — ევროპაზე გამსვლელი ადგილისთვის ვიბრძოლებთო, ჯერჯერობით არ მართლდება და სტუმრებსაც თავიანთი ამბიციურობის დამტკიცება მართებთ.

მცხეთა
1 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
3 000

## თსუ — ბათუმი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი);
პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი);
თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

მცხეთაში უკომპრომისო შეხვედრა გველის. თსუ-მ ბოლო ხანს მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოასწორა, პრეზიდენტიც ახალი დაენიშნათ სტუდენტებს — ალეკო ბუკია და, იმედია, არაფერს დაუთმობენ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ ავტორიტეტს.

უკან დასახევი გზა ორივე გუნდს მოჭრილი აქვს — წააგებს „ბათუმი“ და პრიზიორობას ძნელად ეღირსება, წააგებს თსუ და შეიძლება ფსკერზე დაიძიროს. ასე რომ, მცხეთაში ბრძოლა გველის. მატჩის შედეგზე იმანაც შეიძლება იმოქმედოს, რომ ბათუმელებს ფინანსურ სიდუხჭირეს უკიჟინებენ. აკი წინა ტურები წამყვან ფეხბურთელთა გარეშე ჩაატარეს ზღვისპირელებმა. თუკი წლების მანძილზე სტაბილურ შემადგენლობაში პრობლემები გაუგრძელდათ, შეიძლება მარტო ამ მატჩებში კი არა, შემდეგშიც გაუჭირდეთ აჭარელებს.

თბილისი
2 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
2 000

## მერანი — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მალაღურაძე;
მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი);
ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

წლევანდელ პირველობაზე ორივე გუნდს დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ რეალურად მიზნის მიღწევა „ლოკომოტივს“ უფრო ძალუძს. ეს ცხრილის მიხედვით კარგად ჩანს. რკინიგზელები ჯერაც დაუმარცხებელნი არიან, ყველაზე ნაკლები ბურთი აქვთ გაშვებული და მესამე ადგილზე იმყოფებიან. „მერანს“ რაც შეეხება, გუნდი სამი წაგებით მეათე ადგილზეა და, რაც ყველაზე საგანგაშოა, „გორდასთან“ და „ოდიშთან“ ერთად ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გატანილი.

ბუნებრივია, ამ შეხვედრაში ფავორიტად „ლოკომოტივია“ მიჩნეული, მაგრამ არც მერანელები არიან ჯაბანნი და უბრძოლველად არაფერს დათმობენ. მით უმეტეს, ტრანსპორტელებს ორშაბათს წინა ტურში ვერნათამაშევი დავითაშვილიც და... ემატებათ, რაც მათი შეტევის ხაზს გა... აძლიერებს.

თბილისი
3 ნოემბერი
14 საათი
ისანი
5 000

## არსენალი — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი;
ა. ქარქაშაძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი);
ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

არმიელთა ახალი თავკაცი მამუკა გვგეჭკორი პირველივე მატჩში შეეცდება თავისი ძალა დაამტკიცოს და კლუბის ხელმძღვანელობას იმედები არ გაუცრუოს, თუმც კი ძალიან გაუჭირდება სასურველი შედეგის მიღწევა — გორელები ხომ წლევანდელი პირველობის ერთ-ერთი ლიდერები არიან.

წინა ტურში ორივე გუნდი სტუმრად დამარცხდა, მაგრამ არმიელთა ფოთში წაგება თუ ლოგიკას ექვემდებარება, გორელთა ლანჩხუთში წაფორხილება გარკვეულწილად მო... ულოდნელი იყო, ამიტომაც ორივე გუნდ... მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებს. საშ... სო ძალები კი მეტოქეებს საკმარისი აქვ... ისე, ბევრი რამ დამცველებზეც იქნება და... კიდებული. ამ მხრივ კი უპირატესობა სტუ... მართა მხარესაა. მათ თერთმეტ მატჩში მხ... ლოდ შვიდი ბურთი აქვთ გაშვებული მ... შინ, როცა მასპინძლებს ანალოგიური მაჩვ... ნებელი თითქმის სამჯერ მეტი აქვთ.

| № | # | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო (4) | 2 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:12 | +17 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | +13 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | +4 | 13 |
| 2 დინამო (1) | 1 | 10 | 7 | 3 | 0 | 35:7 | +28 | 24 | 5 | 4 | 1 | 0 | 26:6 | +20 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:1 | +8 | 11 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | +10 | 21 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | +6 | 12 |
| 4 დილა (9) | 4 | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | +5 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 5 კოლხეთი (3) | 5 | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | +10 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | +13 | 16 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 6 ბათუმი (2) | 6 | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | +8 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | +9 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | -3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | +6 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:19 | -9 | 6 |
| 8 ოდიში (5) | 9 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 |
| 9 არსენალი (დ) | 10 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | -7 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 |
| 10 მერანი (7) | 11 | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | -4 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 |
| 11 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 0 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 8 |
| 12 გურია (14) | 16 | 11 | 3 | 1 | 7 | 13:29 | -16 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | +1 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:21 | -17 | 1 |
| 13 თსუ (8) | 12 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | -6 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 14 გორდა (11) | 14 | 11 | 1 | 6 | 4 | 6:8 | -2 | 9 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:3 | +1 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 15 სიონი (13) | 13 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | -15 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | -15 | 0 |
| 16 სამგურალი (12) | 15 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | -17 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:20 | -15 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში. 1 — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

საქართველოს ჩემპიონატი
11 ტური

24 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 3 |
| არსენალი | 2 |
| ოდიში | 1 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 0 |
| მერანი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| დინამო | 0 |
| ტორპედო | 3 |
| სამგურალი | 1 |

25 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| გორდა | 1 |
| ბათუმი | 1 |
| სიონი | 0 |

28 ოქტომბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| გურია | 4 |
| დილა | 2 |

III ტურის გამოტოვებული მატჩები

| | |
|---|---|
| გორდა | 0 |
| დინამო | 0 |
| ოდიში | 1 |
| ტორპედო | 3 |

XIII ტური
6 ნოემბერი. პარასკევი
ვიტ ჯორჯია — თსუ
7 ნოემბერი. შაბათი
ოდიში — არსენალი
ბათუმი — კოლხეთი
იბერია — სიონი
ლოკომოტივი — გორდა
ტორპედო — მერანი
გურია — დინამო
დილა — სამგურალი

# ...ირემსს მადა გაეხსნა

## საფრანგეთი

XI ტური

**ლორიანი 1:3 მარსელი**

...ბუაფია (25), 1:1, 1:2 რავანელი (55, ...), 1:3 პირესი (87)

**მონაკო 3:1 ნანტი**

...გავა (32), 1:1 ფაბრი (43), 2:1 ლეონა...ი (60), 3:1 იკპება (77)

**ლიონი 0:0 ნანტი**

**ლანსი 2:0 მეცი**

...ნუმა (39), 2:0 დებევი (52)

**პსჟ 2:0 ოსერი**

... 2:0 ოკოჩა (5, 55)

**სტრასბური 3:2 ბორდო**

...რუქსელი (25), 2:0 ბერტენი (41), 2:1 ...დიავარა (64), 3:1 რუქსელი (69), 3:2 ...მიკუ (74)

**ტულუზი 0:1 რენი**

...არიბაჟე (38)

**ნანსი 1:2 ბასტია**

...ნე (263), 0:2 ანდრე (40), 1:2 ვიარი (85)

**სოშო — მონპელიე**

*დღეს გაიმართება*

...ფრანგეთის ჩემპიონატის მე-11 ტური სამ ...ს გაიწელა. პირველი სამი თამაში ხუ...შაბათს გაიმართა, უკანასკნელ მატჩში კი ...ს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ახა...ერთნელგამოცვლილი „სოშო“ და „მო...ელიე“. ამ ტურის შემდეგ ჩემპიონატს ახა...ლიდერი ჰყავს — მარსელის „ოლიმ...ი“, ვინაც ხუთშაბათს გასვლაზე პირვე...დივიზიონის დებიუტანტს აჯობა.

...ლორიანში მატჩი მასპინძელთა უპირატე...ით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე ლებე...20 მეტრიდან სახიფათოდ დაარტყა. ბუ... პორატოს კარს ზემოდან გადასცდა. ...რსელი“ დაცვაში „ჩაჯდა“, რითაც მისმა ...ტქმ ისარგებლა და თამაშის გამწვავება ...ნ გასვლა სცადა. მე-10 წუთზე ბედრო...მა დაარტყა შორიდან, მაგრამ პორატომ ...თი მუშტებით მოიგერია. 25-ე წუთზე ...გარიშიც გაიხსნა. სამხრეთელთა შეტე...უებატეიმ ჩაშალა. მანვე მარცხენა ფლა...ე პედრონს უპასა, რომლის ჩაწოდებუ...ც მეორე ძელთან ლორიანელთა საუ...ესო ბომბარდირი ბუაფია დახვდა და ...არ შეირცხვინა. 35-ე წუთზე მარსელე...მა თავიანთი მეტ-ნაკლებად სახიფათო ...ლი იერიში განახორციელეს. ბრანდო ...ვენა ფლანგზე გაიჭრა, მის ჩაწოდებუ...კ მორისმა მკრატელას დარტყმა სცადა ...მ უშედეგოდ.

...ესვენებაზე კურბისმა სათანადო დასკვ... გააკეთა და მინდორზეც გარდაქმნილი ...რსელი“ გავიდა. მცველი კოლეტერი რა...ლომ შეცვალა, რამაც „ოლიმპიკის“ შე...ბი უფრო ეფექტური გახადა. თამაშის ...ლებისთანავე იტალიელმა მეტოქის სა...რიმოში მორისს გამოზომილი პასი მი..., მაგრამ თავდამსხმელს უკნიდან წინას...ობა დააკარგვინეს. მსაჯმა დუმილი ამ...ინა. 55-ე წუთზე მორისმა მარჯვნიდან ...ა და საჯარიმოში ჩააწოდა, ბრავომ ...დით დაუგდო რავანელის, რომელიც ...ნ შეტრიალდა და დაარტყა. ბურთი ...ს მოხვდა და მეკარე უძლური აღმო... — 1:1. აქ უკვე „მარსელის“ გამარჯვება ...აღარ იწვევდა.

...-ე წუთზე „ლორიანი“ საკუთარი საჯა...ს მისადგომებთან დაჯარიმდა. მეკარემ ...დ კარგად ვერ დააყენა ცოცხალი კე...დელი და „ვერცხლისფერმა მელამ“ ჩახვეული დარტყმით მშვენიერი გოლი გაიტანა. 70-ე წუთზე დანიელ ბრავომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მეგობრები უმცირესობაში დატოვა. სხვათა შორის, „მარსელისთვის“ ეს პირველი გაძევება იყო 1996-97 წლების სეზონის ბოლოს შემდეგ. 87-ე წუთზე კი რავანელის უზუსტესი პასის შემდეგ მატჩს წერტილი რობერ პირესმა დაუსვა.

„მძიმე თამაშს ველოდით და არც შევმცდარვართ. ამ საღამოს პირველი წითელი ბარათი მივიღეთ და პირველი გოლი გავუშვით სტუმრად. თუმცა გამარჯვებების სერიას ვაგრძელებთ და მთავარიც ესაა. გუნდი გამართულ ფეხბურთს თამაშობს და ამიტომ მომავალ შეხვედრებს „ვერდერთან“, „მონაკოსა“ და პსჟ-სთან იმედით ვხვდები“ — ოპტიმისტურად იყო განწყობილი როლან კურბისი. „ასე თუ გავაგრძელეთ არც ჩემპიონობა გაგვიჭირდება და არც უეფას თასის აღება“— რობერ პირესიც მშვენიერ ხასიათზე იყო.

ტრამვებით გაწამებული ჟან ტიგანას გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, რათა წინ წასულ „მარსელსა“ და „ბორდოს“ მეტად აღარ ჩამორჩენოდა. თამაშის საწყისი ნახევარი საათი მდორე ფეხბურთში გაილია, ხანდახან იკპება ან ტიერი ანრი თუ შეძლებდნენ ხოლმე მაყურებლის გამოცოცხლებას. ანგარიში მასპინძლებმა 32-ე წუთზე გახსნეს. ხორვატი შპეჰარის პასს ექსპარიზელმა ფრანკ გავამ პენალტის ნიშნულთან თავი დაჰკრა და თავისიანები დააწინაურა. „ნანტმა“ პასუხი ათიოდ წუთში გასცა მასპინძლებს. მარჯვნიდან ოლივიე მონტერუბიოს კუთხური „მონაკოს“ მცველებს გადააფრინდა და ნესტორ ფაბრიმ თავითვე აღადგინა თანაფარდობა.

მეორე ნახევარი კი მთლიანად ჟუჟა სახელმწიფოს გუნდისა იყო. ორჯერ შპეჰარს შეეძლო „მონაკოს“ წინ გაყვანა და ორჯერვე ნიგერიელის პასით. 54-ე წუთზე „ნანტსაც“ მიეცა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი, მაგრამ მონტერუბიომ ცუდად დაუმიზნა. მე-60 წუთზე განაპირა მცველ ფილიპ ლეონარის 25 მეტრიდან დარტყმულმა უწია მიზანს. მესამე გოლი კი მაინც ხორვატისა და ნიგერიელის კომბინაციას მოჰყვა. ოღონდ მეპასის როლში ამჯერად შპეჰარი იყო. ლანდროსთან პირისპირ გასულმა იკპებამ მეკარეს შანსი არ დაუტოვა და „მონაკომაც“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

„ოლიმპიკმა“, ოღონდ მეორემ, ლიონისამ, უამრავი საგოლე მომენტი გააცუდა, მათ შორის პენალტიც და გათამაშების ცხრილის ფსკერზე მყოფ „ლე ავრთან“ ერთი ქულის აღებას დასჯერდა. „ლიონს“ მართლაც ცუდი დრო დაუდგა, ამაზე ციფრებიც მეტყველებს: ბოლო ხუთ თამაშში ოდენ სამი ქულა და ერთი გატანილი გოლი. არადა, მშვენიერი სტარტის შემდეგ მათგან ამას არავინ მოელოდა. მატჩის დაწყებიდანვე ჰავრელები დაცვაში ჩადგნენ, თუმცა საკუთარი კარის მშრალად შენახვას ფირტუნას და მასპინძელთა თავდამსხმელების უგერგილობას უნდა უმადლოდნენ. როგორც უკვე ვთქვით, „ლიონს“ სამი ქულის აღების ყველაზე რეალური შანსი 86-ე წუთზე თერთმეტმეტრიანიდან ჰქონდა, მაგრამ კანუტეს დარტყმული კასარმა მოიგერია.

„ექვსი-შვიდი ასპროცენტიანი მომენტი გვქონდა. ამ სეზონში მოგება ყველაზე მეტად, ალბათ, ამ მატჩში გვეკუთვნოდა, მაგრამ მას იზამ. „ლე ავრმაც“ კარგად ითამაშა დაცვაში“ — თამაშის შემდეგ ლიონელთა თავკაცი ბერნარ ლაკომბი მეტად უხასიათოდ იყო.

გუშინ საღამოს „ბორდო“ „სტრასბურს“ სტუმრობდა და ერთი დღის წინ დაკარგული ლიდერობის დასაბრუნებლადაც იყო განწყობილი. ოპტიმიზმის საბაბს ჟირონდელთა თავკაც ელი ბოპს ისიც აძლევდა, რომ ძირითად შემადგენლობას ექსმონაკოელი ალი ბენარბიაც შემატებოდა. ალზასელებსაც ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა. მატჩი მეტად სანახაობრივი გამოდგა, მეტოქეებმა ღია, ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს. ანგარიში რუქსელმა გახსნა, რასაც წელს მარსელიდან სტრასბურს გადმობარგებულმა ტედი ბერტენმა ჯარიმიდან მეორე გოლი მიაყოლა ტაიმის მიწურულს. მეორე ტაიმში „ბორდომ“ შეტევებს უმატა და კაბა დიავარამ ერთი გოლიც გაქვითა. ხუთიოდე წუთში კი ისევ რუქსელმა იმარჯვა. ამის მერე კი მიკუმ შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ, მიუხედავად გააფთრებული შეტევებისა, ბორდოელებმა მეტის გატანა ვეღარ მოახერხეს და სეზონის მეორე მარცხი იწვნიეს.

როგორც იქნა, მოიგო პსჟ-მ. პარიზელებს ბოლოჯერ 19 სექტემბერს გამარჯვნათ, „ოსერი“ კი უკანასკნელად 22 აგვისტოს დამარცხებულიყო. ფრანგი მწვრთნელის უცხოელით შეცვლას პსჟ-ში ოსერელი გი რუ მეტად განაწყენებინა და არც მალავდა, რომ ყველაფერს ილონებდა, რათა არტურ ჟორჟესთვის „პარკ დე პრენსზე“ ხელახალი დებიუტი ჩაემწარებინა. მაგრამ ნაციონალისტ გი რუს „ოსერი“ მაინც უცხოელებმა იმსხვერპლეს. ნიგერიელმა ოკოჩამ ჯერ ალჟერინოს პასით იხეირა, შემდეგ კი იტალიელ მარკო სიმონეს დაუფასა გარჯა.

ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრაში „ლანსმა“ იმარჯვა. ჩრდილოელთა თავბრუდამხვევ შეტევებს ლოტარინგიელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა ერთ წუთში ბურთი ორჯერ მოხვდა „მეცის“ კარის ძელს. ჯერ ვერელს, ხოლო შემდეგ შმიცერს სულ ცოტა დააკლდათ გოლის გატანამდე. თუმცა „ლანსმა“ მაინც შეძლო სამი ქულის აღება და ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურსაც იმედიანად ელოდება.

კვლავ მოიგო ლე გუენის გუნდმა-სიურპრიზმა. ტულუზელების კარში ერთადერთი გოლი შარშან დოპინგის მიღებაში დადანაშაულებულმა და „ტულუზში“ მოთამაშე არიბაჟემ გაიტანა. მატჩის ბოლოს ბრეტონელებს მეორეჯერაც შეეძლოთ გოლის შეგდება, მაგრამ სოძეის დარტყმა ძელმა აისხლიტა. ასე რომ, „რენი“ ევროსაგზურის მაძიებელთა მარაქაში ნაღდად გაერია.

| გაიოზ თალაქვაძე | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| მარსელი | 11 | 8 | 3 | 0 | 24:8 | 27 |
| ბორდო | 11 | 8 | 1 | 2 | 24:11 | 25 |
| რენი | 11 | 7 | 2 | 2 | 13:11 | 23 |
| მონაკო | 11 | 6 | 2 | 3 | 18:8 | 20 |
| ოსერი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 18 |
| ლიონი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:8 | 17 |
| ნანტი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:13 | 17 |
| პსჟ | 11 | 4 | 3 | 4 | 9:8 | 15 |
| მონპელიე | 10 | 4 | 2 | 4 | 21:17 | 14 |
| ლანსი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:17 | 14 |
| ბასტია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 |
| სტრასბური | 11 | 3 | 4 | 4 | 8:11 | 13 |
| ნანსი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:14 | 10 |
| ტულუზი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:18 | 10 |
| ლე ავრი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:11 | 8 |
| ლორიანი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:17 | 8 |
| მეცი | 11 | 1 | 5 | 5 | 5:13 | 8 |
| სოშო | 10 | 1 | 2 | 7 | 6:24 | 5 |



REUTERS პარიზიდან

პსჟ — ოსერი. ტყუპი გოლის გამტან ოკოჩას (№10) ვერც ასატიმ დააკლო რამე

# ბარსელონელებმა: ვერ მოვასწრებთო

სამიოდ კვირის წინ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს, უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა საფეხბურთო სამყაროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. ერთი ის, რომ 1961 წელს დაარსებული თასების თასის გათამაშება მიმდინარე სეზონში ბოლო იქნება და მეორე — ჩემპიონთა ლიგაში კლუბების რაოდენობა 24-დან 32-მდე გაიზრდება. ამ ცნობებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ზოგი ემხრობა უეფას გადაწყვეტილებას, ზოგიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ერთი სიტყვით, ევროპული ფეხბურთი ვნებათა ღელვამ მოიცვა.



რივალდო

ამას წინათ რეფორმათა უშუალო მონაწილეების — მოთამაშეთა და მწვრთნელთა პოზიცია გაგაცანით. აქაც, აზრები ორად გაიყო, რამდენიმე ძლიერი კლუბი მეტად ნასიამოვნებია უეფას ნაბიჯით, ხოლო დიდი ნაწილი უკმაყოფილებას ვერ მალავს. ამ უკანასკნელთა შორის ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბარსელონაცაა“. კატალონიელთა ჰოლანდიელ თავკაცის ლუის ვან გაალის ნაუბარი „სარბიელის“ ერთ-ერთი ნომერში გაგაცანით, ახლა კი ფეხბურთელთა პოზიციაც შევიტყოთ, რომელიც პრინციპში, ვან გაალისას სრულად ემთხვევა.

— უეფას ეს გადაწყვეტილება, მხედველობაში ჩემპიონთა ლიგაში კლუბების რაოდენობის გაზრდა მაქვს, ფეხბურთს დაღუპავს და მას, როგორც სანახაობას, საერთოდ მოსპობს. ერთი სეზონის განმავლობაში ამდენი მატჩის გამართვა, რბილად რომ ვთქვა, სისულელეა — აღშფოთებას ვერ მალავდა „ბარსელონას“ პორტუგალიელი ნახევარმცველი, ლუიშ ფიგუ.

მას ახალგარდა კოლეგამ, ალბერტ სელადესმაც დაუჭირა მხარი და განაცხადა, ამხელა დატვირთვას ვერც ერთი ადამიანი ვერ გაუძლებსო.

მეტად განაწყენებული ჩანდა ესპანეთის ნაკრებისა და კატალონიელთა გამოცდილი მცველი სერხი ბარხუანი — ასე როგორ შეიძლება, ჩვენ, ფეხბურთელებიც ხომ ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც ყველა სხვა და მათსავით დასვენება გვჭირდება. ვფიქრობ, დროა, უეფაში ამაზე უფრო საფუძვლიანად იმსჯელონ.

ბრაზილიელი რივალდო თავისი და თანაგუნდელების სიმართლის დამტკიცებას სტატისტიკის დახმარებით ცდილობდა.

— ვერ წარმომიდგენია, სად უნდა გამოვნახოთ ძალები, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ბინადართა ოდენობა რვა გუნდით გაიზრდება. ძალები იქით იყოს, უბრალოდ, დრო არ გვრჩება, რომ ყველა შეხვედრაში მივიღოთ მონაწილეობა. თავად განსაჯეთ — 17 მატჩი ევროტურნირებზე, 39 — ესპანეთის ჩემპიონატში, ამას დამატებული ქვეყნის თასის და ნაკრების თამაშები და ეს ყველაფერი ერთი სეზონის მანძილზე. ეს აბსურდია!

ერთი სიტყვით, ვან გაალი და მისი შეგირდები უეფას წინააღმდეგ მთელი ძალებით ილაშქრებენ. გაითვალისწინებს თუ არა ამას თავად უეფა, რომელიც გამალებით ებრძვის სუპერლიგის შექმნის იდეის ავტორებს და ეს რეფორმებიც, ალბათ, ამიტომ შემოიღო, ძნელი სათქმელია.

**დავით კოვზირიძე**

# ფრანგ შავოსანთა ამბოხი

საფრანგეთის პირველი დივიზიონის მთავარმა და დამხმარე მსაჯებმა, რომლებიც სამშაბათს პარიზთან ახლო მდებარე პატარა ქალაქ კრეტეიში შეიკრიბნენ, უნდობლობა გამოუცხადეს ჟოელ კინიუს. როგორც იცით, კინიუ ადრე თვითონაც მსაჯი იყო, თანაც მეტად სახელოვანი და ყველასგან დაფასებული. სასტვენის გვერდზე გადადების შემდეგ კი მას ფრანგული პირველი დივიზიონის მატჩებზე არბიტრების დანიშვნა ევალება.

კრეტეიში თავმოყრილი 53 რეფერიდან 43 წავიდა ღვაწლმოსილი კოლეგის წინააღმდეგ და თავიანთი ეს გადაწყვეტილება მაშინვე არბიტრთა ცენტრალური კომისიის (აცკ) პრეზიდენტს, ოქროს სასტვენის მფლობელ მიშელ ვოტროს აცნობეს. ფრანგი შავოსნები თავიანთი პრეზიდენტისგან გადაჭრით მოითხოვენ, რომ ელიტის მსაჯების მენეჯერს დაკისრებული მოვალეობები ჩამოერთვას.

როგორც აცკ-სთვის მიწოდებული ანონიმური კომუნიკე იუწყება, ეს დემარში ჟოელ კინიუს მიერ სამსახურეობრივი უფლებების ბოროტად გამოყენებამ გამოიწვია, თუმცა კონკრეტულად რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი, ამაზე უცნობი ავტორი არ საუბრობს.

საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქვედა ფენები ზედებს აუჯანყდნენ. „მართლაც რაღაც მოხდა კრეტეიში, სადაც ჩვენმა მსაჯებმა ერთმანეთში გულახდილად საუბარი გამართეს“ — თქვა მიშელ ვოტრომ.

ფრანს-პრესის სააგენტოს მიერ გამოკითხულმა ჟოელ კინიუმ კი არც ამ ამბის უარყოფა ისურვა და არც რაიმე კომენტარის გაკეთება. „არაფერი მაქვს დასამატებელი“ — მოკლედ განაცხადა მან.

არადა, პირველი დივიზიონის მთავარმა და გვერდითმა მსაჯებმა კრეტეიში სულ სხვა საქმისთვის მოიყარეს თავი. მათ ყოველსეზონური ფიზიკური ტესტები უნდა ჩაებარებინათ, რათა საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მომსახურების უფლება მოეპოვებინათ. ფიზიკური დატვირთვებით გადაღლილები კი დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ ერთმანეთს და უფროსის წინააღმდეგაც აღიმაღლეს ხმა. კენჭისყრას მხოლოდ ბაჰრეინში მყოფი მარკ ბატა აკლდა, მაგრამ მოქმედ ფრანგ არბიტრებს შორის საუკეთესომ კოლეგების გადაწყვეტილებაზე თავისი დასტური საზღვარგარეთიდან შემოთვალა.

„მეტად სამწუხარო ამბავია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ფრანგული მსაჯობის კომპრომეტაცია. არბიტრთა ცენტრალური კომისია უახლოეს მომავალში შეიკრიბება და ამ პრობლემის გადაჭრას ეცდება, თუმცა სხდომის ზუსტ თარიღს ჯერჯერობით ვერ დავასახელებ. იმედი მაქვს, საქმე ჩვენი მსაჯების ანაზღაურებას არ ეხება (ფრანგი არბიტრები პირველი დივიზიონის ერთი მატჩის მომსახურებისთვის 7500 ფრანკს იღებენ. გ.თ.)“ — განაცხადა მიშელ ვოტრომ.

ამასთანავე აცკ-ს პრეზიდენტმა დაამატა, რომ თუ მსაჯებს გაპროფესიონალება სურთ, ამ საქმიდან არაფერი გამოუვათ, რადგან იურიდიულად დღეისთვის ეს შეუძლებელია.

ფეხბურთის ნაციონალური ლიგის გენერალურმა დირექტორმა ჟაკ ტებომ კი განაცხადა, ამ პრობლემაზე სრული ინფორმაცია არ გააჩნია და ეს, ალბათ, მხოლოდ გაუგებრობამ გამოიწვიაო. „საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე და ფეხბურთის ნაციონალური ლიგის პრეზიდენტი ნოელ ლე გრაე მალე შეხვდებიან ერთმანეთს და ამ საკითხზეც იმსჯელებენ“ — ამ სიტყვებით დაამთავრა ჟურნალისტებთან საუბარი ჟაკ ტებომ.

**გაიოზ თალაქვაძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### ვეტერანებო, დაწერეთ

უცხოეთიდან ერთი კარგი წიგნი მომივიდა. სქელი წიგნია, მშვენიერი ყდითა და თავისი საინტერესო ფოტოალბომით. ის დაუწერია „არსენალის" კაპიტან ტონი ადამსს, რომელსაც გადაუწყვეტია ჩემი არეული ცხოვრება პირუთვნელად უნდა აღვწეროო.

თუმცა, „დაუწერია" მთლად ზუსტი სიტყვა არ არის. დაწერით ეს წიგნი მავანმა განთქმულმა ჟურნალისტმა დაწერა ტონი ადამსის ნაამბობის საფუძველზე. წიგნი ერთი კარგი ბიოგრაფიული რომანივით იკითხება — ფეხბურთელის გულსა და ჯიგარში ჩაახედებს გულშემატკივარს და მრავალ საინტერესო ამბავსაც გააცნობს.

ასეთი წიგნები ფეხბურთის ისტორიას ქმნიან. ინგლისში საერთოდაც მოდაა ამგვარ ჟანრზე — ადრე თუ მხოლოდ კარიერადასრულებული მოთამაშენი უამხანაგდებოდნენ ჟურნალისტებს და თავიანთ საფეხბურთო ცხოვრებას აღწერდნენ, ახლა ყოველი ვარსკვლავი თავის მწერალს დაეძებს, რათა ნაფიქრი კომპიუტერში შეაბეჭდინოს. ფული ფულად უჯდებათ ჟურნალისტებსა და ვარსკვლავებს და ისტორიასაც სასარგებლო რამ ემატება.

აბა, როგორ არ დააინტერესებს ფეხბურთის მოყვარულს ასეთი ლიტერატურა?

როგორ არ დააინტერესებს გულშემატკივარს ინგლის-არგენტინის მატჩის ამბები, რომელსაც თავად ამ შეხვედრის მონაწილე აღწერს?

ტონი ადამსს მშვენივრად ახსოვს ყველაფერი. მას ახსოვს, როგორ იკავებდა ცრემლებს ბექემი და როგორ ებოდიშებოდა ყველას და როგორ თქვა ცენტრში მდგარმა დეივ ბეტიმ; „ტონ, პენალტი არასოდეს დამირტყამს. მოდი, ავდგები და შუაში გავაქანებ, სხვა მე არ ვიცი". „გააქანე" — მიუგო ადამსმა. ბეტი ბურთისკენ წავიდა და არ გააქანა, მეკარისაკენ მარჯვნივ დაარტყა...

ასეთი ეპიზოდი ათასია და ეს ყველაფერი ფეხბურთის გუშინდელ დღეს ქმნის.

ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში...

და რა ვითარებაა ჩვენში?

მოგეხსენებათ, ჩვენში არანაირი ვითარება არ არის.

ოდესღაც, საქართველოში არსებობდა ერთგვარი ტრადიცია ფეხბურთელთა მიერ ფეხბურთზე წერისა. ეს იყო 60-იან წლებში და იმ დროის წიგნაკები შოთა იამანიძისა და ავთანდილ ღოღობერიძისა დღესაც საინტერესოა. საუცხოოა დიდი ანდრო ჟორდანიას „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე", მაგრამ იმას აქეთ აგული ერისთავის სიცარიელეა.

თბილისის „დინამოს" ბრწყინვალე თაობა ისე გაჰალარავდა, რომ გადახდილი ბრძოლებისა, საკუთარი ფიქრის, დარდის და სიხარულისა ერთი სტრიქონიც კი არ გამოიმეტა ჩვენთვის. მთელი დიდი ისტორია თასის ეპოქისა ხალხის ლაპარაკით, ჭორით და ლეგენდებით გადაეცემა ახალგაზრდობას. ასევე ზეპირსიტყვიერების დონეზეა გაჩერებული ჩვენს ვარსკვლავთა ცხოვრების და კარიერის ამბები.

თავად ვარსკვლავები კი არც კი ფიქრობენ იმის შესახებ, რომ საკუთარი თავგადასავალი მოგვითხრონ.

წარსული კი ყოველდღიურად გვშორდება — თან ესეცაა, ძნელია კაცმა წარმოიდგინოს, რომ რომელიმე ქართველი ვარსკვლავი გამორჩეულად კი ახალი დროისა, იმგვარი გულღიაობით დაწერს საკუთარ თავსა და თამაშზე, როგორც ამას ტონი ადამსი აკეთებს.

და მაინც, ლოზუნგი:

ვეტერანებო, დაწერეთ!

ტყუილს და მართალს ხალხი იოლად გაარკვევს. წიგნი კი დარჩება როგორც ისტორია. ისტორია კი, მოგეხსენებათ, პირველი რამეა.

*ბუნდესლიგის წლევანდელი ჩემპიონატის დაწყების წინ ფავორიტებად ყველა „ბაიერნს", „ლევერკუზენს", „კაიზერსლაუტერნს" და დორტმუნდის „ბორუსიას" მიიჩნევდა. „მიუნხენ 1860"-ის მათ შორის მოხსენიება აზრადაც არავის მოსვლია. ბუნებრივია, გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც არც ერთი ვარსკვლავი არ არის, ჩემპიონობის კანდიდატად არავინ თვლიდა. მით უმეტეს, გასულ სეზონში მიუნხენელები ბეწვზე გადაურჩნენ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას. თუმცა, ბუნდესლიგაში აგერ უკვე ცხრა ტური მიილია, „მიუნხენ 1860"-ს კი მყარად უკავია მეორე ადგილი და უახლოეს მდევარს ოთხი ქულით უსწრებს. წარმატებების მთავარი შემოქმედი, რა თქმა უნდა, გუნდის მთავარი მწვრთნელი, ვერნერ ლორანტია, რომელსაც გერმანულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „შპორტ ბილდმა" ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა. ვფიქრობთ, იგი ბევრს დააინტერესებს.*

# ვერნერ ლორანტი: მწვერვალს ჯერჯერობით არ ვუმიზნებთ

**— ბატონო ლორანტ, მოფიქრებული გაქვთ პრემიალური თანხის რაოდენობა, რომელსაც წარმატებული სეზონის ბოლოს მოსთხოვთ კლუბის მფლობელებს?**

— საფიქრალი არაფერია, რადგან კონტრაქტში ასეთი პუნქტი არ არის და, ბუნებრივია, ვერც ვერაფერს მოვითხოვ.

**— მგონი, დროა, კონტრაქტში გარკვეული ცვლილებების შეტანაზე იზრუნოთ, თქვენი გუნდი ხომ მეორეა და თან მეტის მიღწევაც ძალუძს.**

— ჯერ მხოლოდ ცხრა ტურია ნათამაშევი. რა თქმა უნდა, ჩემპიონობაზე უარს არ ვიტყვი და ეს ყოველ წელს მსურს, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — შესაძლებლობა. ჩვენ ჯერ კიდევ გუნდის შენების გზას ვადგავართ და როდესაც ამას მოვრჩებით, მწვერვალებზეც დავიწყებთ ფიქრს. ამის შესახებ გუნდის პრეზიდენტ კარლ ჰაინც ვილდმოსერსაც ვუთხარი.

**— წინა ჩემპიონატის მიწურულს „მიუნხენ 1860" ძლივს გადაურჩა ლიგიდან გავარდნას, ახლა კი „ბაიერნს" უწევთ კონკურენციას. რა არის ამის მიზეზი, კლუბი გაძლიერდა ასე უცბად თუ ბუნდესლიგა დასუსტდა?**

— იცით, ასეთი საუბარი გულს მტკენს და ცოტას კიდეც მანერვიულებს. ჩვენს გამარჯვებას ყველა მოწინააღმდეგის სისუსტით ხსნის, არავინ ამბობს, „მიუნხენ 1860"-ია ძლიერიო. ბიჭებს ამაზე ვეუბნები: ნუ უსმენთ უაზრობებს, ჩვენ საქმე ვაკეთოთ-მეთქი. არადა, ბუნდესლიგა რომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია მსოფლიოში, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

**— თქვენი გუნდი ლამაზი და შემოქმედებითი ფეხბურთით არ გამოირჩევა...**

— მართალი ბრძანდებით. ხანდახან მეც ძალიან ვბრაზდები, როდესაც შეხვედრას ვიგებთ, მაგრამ თამაში ისეთი არ არის... თუმცა თითქმის ყველა მატჩში გვაქვს 25-30 წუთიანი მონაკვეთები, როცა შეუდარებლები ვართ.

**— თქვენი მიზანიც, ალბათ, ის არის, რომ ეს დრო 90 წუთამდე გაზარდოთ.**

— ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ უკონკურენციოდ მოვიპოვოთ პირველი ადგილი. თქვენ რაც ბრძანეთ, მაგის მიღწევა ძალიან ძნელია, ეს მხოლოდ სუპერგუნდებს ძალუძთ.

**— ცოტა გასაკვირია, რომ მეორეადგილოსან გუნდს არა ჰყავს ისეთი ლიდერი, როგორიც, ვთქვათ, შტეფან ეფენბერგია. არ არის წინამძღოლი, რომელიც თამაშს წაიყვანს.**

— ცდებით, კლუბში ასეთი ოთხი მოთამაშე გვყავს.

**— დაასახელეთ ისინი, თუ შეიძლება.**

— სიამოვნებით. ოუაკილი შეტევაში, ზელიჩი და სტევიჩი მოედნის ცენტრში და ვანენბურგი დაცვაში. სწორედ მათ მიჰყავთ თამაში. იღებენ მრავალფეროვან გადაწყვეტილებებს და სწორედ ეს არის ჩვენი უპირატესობა. მაგალითად, ავიღოთ „შტუტგარტი". იგი მთლიანად ერთ კაცზეა დამოკიდებული. თუ ბალაკოვი ფორმაშია, მაშინ „შტუტგარტის" გაჩერება ძალიან ძნელია, მის მეტოქეს, ფაქტობრივად, არანაირი შანსი არ გააჩნია. ხოლო თუ ბულგარელი ფორმაში არ არის, ან მოწინააღმდეგემ აჯობა, მაშინ გუნდს ყველა იოლად ამარცხებს. ჩვენ კი ოთხი „ბალაკოვი" გვყავს და იმის გაგება, თუ რომლისგან ელოდოს საფრთხეს, მეტოქეს უჭირს.



ვერნერ ლორანტი ცალ თვალს მწვერვალისკენ აპარებს

**— ხომ არ ნანობთ იმას, რომ თომას ჰესლერმა უარი განაცხადა თქვენს წინადადებაზე და „დორტმუნდში" წასვლა ამჯობინა.**

— სიმართლე გითხრათ, ვწუხვარ. იგი ჩვენს გუნდს კარგად მოერგებოდა, ძალიან კარგად. გული მტკივა, რომ თომასმა „დორტმუნდში" თავი ვერ წარმოაჩინა და სათადარიგოთა შორის უწევს ყოფნა. მინდა, მას მივმართო, როცა მოუნდება დამირეკოს და მაშინვე გუნდში ავიყვან. ეს იქნება ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც მე დავუშვებ, რადგან ჰესლერის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ.

**— ყველას, ვინც გუნდის შემადგენლობას გაეცნობა, ისეთი წარმოდგენა შეექმნება, რომ გერმანელებთან შედარებით უპირატესობას უცხოელებს ანიჭებთ...**

— ასე არ არის. სეზონის წინ უპირველეს ყოვლისა, გერმანულ სატრანსფერო ბაზარს გადავხედავ ხოლმე. მაგრამ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვერავის ვნახულობთ ისეთს, რომელიც ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამიტომ იძულებულები ვხდებით, საზღვარგარეთ გავიხედოთ.

**— 25 ფეხბურთელიდან 10 ლეგიონერია. აქედან ორი ბულგარელი, ორი ავსტრალიელი, თითოც კონგოელი, ჩეხი, ავსტრიელი, ჰოლანდიელი, მაროკოელი და იუგოსლავიელი, საინტერესოა, რომელ უცხო ენაზე ელაპარაკებით მათ?**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არც ერთი უცხო ენა არ ვიცი და გუნდში არც თარჯიმანი გვყავს. თითქმის ყველამ იცის გერმანული. ცოტა ჩეხი ტაისი მოიკოჭლებს, მაგრამ იგი ახალი მოსულია და ძალიან ადვილად ითვისებს ენას. მე ყველა გერმანელ ფეხბურთელს ვეუბნები, რომ რაც შეიძლება, მეტი ელაპარაკონ ლეგიონერებს გერმანულად და ვაფრთხილებ, რამეს თუ არასწორად იტყვიან, არ დასცინონ. საერთოდ ვცდილობ, გუნდში ისეთი ლეგიონერები მოვიყვანო, ვისაც მანამდე გერმანიაში უთამაშია. არაევროპელს ევროპაში მაინც უნდა ჰქონდეს ნათამაშევი, რადგან ისინი ძალიან კარგად მიგებენ. მაგალითად ავსტრალიელებს ზელიჩს, სტევიჩს და მაროკოელ ოუაკილს მოგიყვანთ. საერთოდ ევროპაში ფეხბურთელებს კარგი მენტალიტეტი უყალიბდებათ. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ კონკრეტულად გერმანულ ფეხბურთთან უიოლდებათ შეგუება. მათ უკვე გამომუშავებული აქვთ გულმოდგინეობა, მუყაითობა, ფიზიკურადაც ძლიერები არიან. გერმანული ფეხბურთის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები კი სწორედ ესენია.

**— თქვენი ნათქვამი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ნიგერიელს არ წამოიყვანთ ნიგერიიდან და ბრაზილიელს ბრაზილიიდან?**

— მართალია. ვიდრე მე „მიუნხენ 1860"-ის მწვრთნელი ვიქნები, ამას არ გავაკეთებ, რადგან ამ გუნდს თავისი სათამაშო სტილი აქვს. ამ სტილს კი უნდა მოერგო. ჩვენი გულშემატკივარი არ გვაპატიებს იმას, რომ ისეთი ფეხბურთელი მოვიყვანოთ, ვინც ცოტას ირბენს და ცოტას იბრძოლებს, თუნდაც ტექნიკურად იყოს ძლიერი. მაგალითად, „ბაიერნის" ბრაზილიელ ლეგიონერ ჯოვანი ელბერს კარიერის უდიდესი ნაწილი შვეიცარიასა და გერმანიაში აქვს გატარებული, ამიტომაც მოერგო „ბაიერნს" ასე კარგად. სხვა შემთხვევაში ასე არ იქნებოდა.

**— მოდით, ახლა გერმანელ ფეხბურთელებზეც ვისაუბროთ. გუნდის მთავარი გოლეადორი ბერნარდ ვინკლერი ჩინებულ ფორმაშია. ერიხ რიბეკი ვინკლერის ეროვნულ ნაკრებში მიწვევასთან დაკავშირებით ხომ არ შეგხმიანებიათ?**

— რიბეკი მე არასოდეს დამირეკავს, რადგან იცის ჩემი მისდამი დამოკიდებულება. დღემდე ვერ გავიგე, რატომ ჩააბარეს მას ეროვნული ნაკრები. იგი ხომ ისე შორსაა ფეხბურთისგან, როგორც დედამიწა მზისგან. ეს, ბუნებრივია, ჩემი სუბიექტური აზრია და მას მაშინ შევიცვლი, თუ რიბეკმა ნაკრებში მუშაობისას რაიმე ღირებულს მიაღწია. თუმცა ამაში ეჭვი ძალიან მეპარება.

**— მინდა, ისევ ვინკლერს დავუბრუნდეთ. იმსახურებს თქვენს მიერ აღმოჩენილი თავდამსხმელი ნაკრებში თამაშს?**

— ჩემი აზრით, იმსახურებს. უკვე რამდენიმე წელია, იგი ძალიან კარგ ფორმაშია, გოლებიც გააქვს, თუმც ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება ვერ დაიმსახურა. ცოტა სასაცილოც კია, მაშინ, როდესაც ასეთი თავდამსხმელი გვყავს, სამხრეთ აფრიკელ შონ დანდის გერმანიის მოქალაქეობა მიაღებინეს, რათა ნაკრებში ეთამაშებინათ.

**— თავად ვინკლერისთვის ხომ არ აჯობებს, რომელიმე უკეთესი ტრადიციების მქონე გუნდში გადასვლა, ან კიდევ სულაც საზღვარგარეთ წასვლა?**

— ცოტა ხნის წინ „მიუნხენ 1860" ერთი ჩვეულებრივი, საშუალო დონის კლუბი იყო, რომლისკენ გამოხედვაც არავის სურდა. თუმცა ახლა, თავადაც ხედავთ — სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სწორ გზას ვადგავართ და ვფიქრობ, ამ დროს ვინკლერიც ჩვენს გვერდით უნდა იყოს.

**— ერთი პერიოდი გუნდიდან წასვლასაც აპირებდით, მგონი, მაშინ „ნიურნბერგმაც" შემოგთავაზათ წინადადება...**

— კი, მაშინ ნიურნბერგშიც ჩაველი და გუნდის ხელმძღვანელობას, კერძოდ მის პრეზიდენტ მიხაელ როტსაც შევხვდი. შემდეგ ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ მათ უარი განვუცხადე.

**— ალბათ, მომხიბლავი წინადადება იქნებოდა. რატომ თქვით უარი?**

— მე ბევრგან შემეძლო წასვლა და ყველგან უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ, ვიდრე აქ მქონდა, მაგრამ გაჭირვების ჟამს გუნდი ვერ მივატოვე. მაშინ ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ვიბრძოდით და იმ დროს მორალური უფლება არ მქონდა, წავსულიყავი. თანაც უკვე შვიდი წელია, მიუნხენში ვარ. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. შემიძლია ვთქვა, კლუბს შევეზარდე კიდეც. როცა კარგად დავუფიქრდი, მივხვდი, რომ „მიუნხენ 1860"-თან განშორება ძალიან გამიჭირდებოდა.

**— და ბოლოს, „ბაიერნს" სულ ხუთი ქულით ჩამორჩებით. თანაქალაქელებთან შეჭიდებას არ აპირებთ?**

— ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, ვფიქრობ, ჯერჯერობით ამისთვის მზად არ ვართ. მომავალში კი ვნახოთ.

**„შპორტ ბილდიდან"**
**თარგმნა ვანო ოქროპირიძემ**

## კითხვა-პასუხი

— გაიგე?
*— რა?*
— გაზა გამოწერილა.
*— საიდან?*
— ლოთობის გადამჩევევი ცენტრიდან.
*— იქ რა უნდოდა?*
— ლუდის სმას გადააჩვიეს.
*— ლუდის სმას რა გადაჩვევა უნდა?*
— ნდომებია, ხომ ხედავ?
*— მაშინ, მთელი ჩვენი ქვეყანა იქ უნდა მოგვათავსონ.*
— ეჰ, იტყვი რაღა. სად ჩვენ და სად ისინი.
*— რა ამბავში?*
— კაი ბიჭობის ამბავში.
*— ჰო, მართალი ხარ, ჩვენი კაცობის უროვენი სხვაა.*
— იმათ მარტო თამაში იციან.
*— ჩვენ კიდევ გაგება გვაქვს*
— მა რა? ქალაქელი ხალხი ვართ, ეგ შენი გაზა კიდევ გორსალაა.
*— პაჰ, პაჰ, პაჰ, მე მაგის გვერდზე არ ვითამაშებდი.*
— ეგ რატომღა?
*— ქაჯია. ქალაქელობის არაფერი სცხია.*
— მამენტ, რამე რო იყოს, ვერ გაგიგებს?
*— ვერა, ტო. ვერაფერში ვერ გაგიგებს.*
— პატარა ლაუდრუპიც ეგრე იქნება, ვერ ხედავ, როგორი პრიჩოსკა აქვს?
*— მე ლიჩნათ, პატარა ლაუდრუპს ძაღლისუბნელი მახორკა მირჩევნია.*
— ეგ არ გამიგია.
*— იცი, რა ფუტბოლს თამაშობდა, სანამ გაფუჭდებოდა!*
— რამ გააფუჭა?
*— გაფუჭდა, რა. ტრენერმა გააფუჭა.*
— ე ყველას ტრენერი აფუჭებს. ალბათ, კაცობაში ჩაიჭრა.
*— ვინ, მახორკა?*
— არა, ტო, ტრენერი.
*— მახორკა ჯერ არ ჩაჭრილა*
— და ბექემი როგორ ჩაიჭრა კაცობაში!
*— და ის რო იყო, რა ქვია*
— რონალდო.
*— ჰო. რონალდოც მაგარი ჩაჭრილია.*
— როდის?
*— როდის და ფრანგებს რო ფინალი მისცა. გასაწეწი ხო უნდა გაიწეწოს?*
— მაგათ ეგ არ იციან.
*— ვახ, მე, მაგათი ბრიოლინიანი ძალათ კაი ბიჭო...*
— ჩვენები კიდე, ქალაქელი ხალხი, იჩაგრებიან.
*— და ზიდანი როგორია კაცობაში?*
— რავი, ნიჩევო ბიჭია.
*— მაინც იუქნი კლიენტიაო.*
— მე იცი ვინ მაინტერესებს?
*— აბა, ვინა?*
— აი, ის ბიძა როა, აჩკებიანი, ვეჩნათ რო სიგარა უჭირავს და თეთრი თმები რო აქვს.
*— არ ვიცი, სიმონ.*
— მაგარი ბიძაა, ვეჩნათ რო დგას ბროვკასთან და რო ეწევა. ტრენერიაო.
*— აზრზე არა ვარ.*
— აი, მაგარი ბიძაა.
*— ააა, ხო, მაგას ქვია ლიპა.*
— ლიპი.
*— აბა, ჩემი ამის და იმის.*
— ეე, როგორ გამიტეხე, ეგეთ კაი ბიძას პროსტო ლიპი ქვია?
*— რავი, იქ ხო ეგრე ქვიათ.*
— ეე, მაგრა გამიტყდა.
*— ხო იცი, როგორები არიან.*
— და გაზა?
*— გაზას ძალათ კაი ბიჭო...*
— ესე იგი, პალაჟენია ძაან წითელია.
*— გაზას ძალათ კაი ბიჭო...*
— უწითლესი.
*— ფუტბოლი პირდაპირ გაიმასქნდა...*
— და ჩვენი ბიჭები?
*— ჩვენ ბიჭებს ხო ვერ უგებენ, სიმონ.*

# ოპტიმისტი კაცი ხავიერი



სარბიელის არქივიდან

ხავიერ კლემენტეს უსიამოვნებები აღარ ახსოვს

რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ქვეყნის ჩემპიონატის აუტსაიდერის სევილიის „ბეტისის“ თავკაცად დაინიშნა. გუშინ აუტსაიდერთა ახალწვეულმა მეოთხე ხელისუფლებას ოფიციალურ შეხვედრაზე უხმო, რომლის მთავარი მიზანი კლუბის და კლემენტეს სამომავლო გეგმების გარკვეული ნაწილის ხალხისთვის გაცნობა გახლდათ.

...სეზონის დასაწყისში მსოფლიო ფეხბურთში ახალი, გრანდიოზული გარიგება მოხდა — „ბეტისმა“ ახალგაზრდა ბრაზილიელ ფეხბურთელში ძალიან ბევრი, 35 მილიონი დოლარი გადაიხადა. მსოფლიოს უძვირფასესი მოთამაშის სახელი დენილსონი გახლავთ. ივნის-ივლისში საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია ფინალში კი გავიდა, მაგრამ თავად დენილსონს ისე ნამდვილად არ უთამაშია, მის ამჟამინდელ წოდებას რომ შეეფერება. ცხადია, იყო კარგი ფინტები (რაც ბრაზილიელის მხრიდან მოულოდნელი სულაც არ ყოფილა), მაგრამ არ იყო ის, რაშიც ადამიანმა შეიძლება 35 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებას უდიდესი იმედგაცრუება მოჰყვა. „ბეტისი“, რომელიც ჩემპიონატის დასაწყისამდე პირველობის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნეოდა, თავს არ ჰგავდა, საშინლად თამაშობდა. რაც შეეხება საყოველთაო იმედს, მან ვერ იქნა და ვერ იპოვა თავისი თავი. თუ მადრიდში „რეალთან“ მოპოვებულ გამარჯვებას არ ჩავთვლით, დენილსონს სხვა შეხვედრებში თავი არაფრით გამოუჩენია — 35 მილიონ დოლარად შეფასებული ფეხბურთელი ისევე ირჯებოდა, როგორც მის გვერდით მყოფი ერთ ან ორ მილიონად ღირებული მოთამაშე.

ხავიერ კლემენტეს გუშინდელი პრესკონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი თემა სწორედ დენილსონი და „ბეტისში“ მისი მომავალი გახლდათ.

— შეიძლება ახლა ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ რაც უნდა ძლიერი იყოს ფეხბურთელი, მასში 35 მილიონი დოლარი არ უნდა გადაიხადო. მესმის, დენილსონს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ეს მხოლოდ პროგნოზებია და მათზე დაყრდნობა გაუმართლებელია. სანამ დენილსონი „ბეტისში“ გადმოვიდოდა, ჩვენ მისი რამდენიმე თამაში ვნახეთ ბრაზილიაში. იგი იქ ბრწყინავდა, მცველებს თავგზას უბნევდა, კლუბის ლიდერად გვევლინებოდა და გოლი გოლზე გაჰქონდა, ესპანეთში გადმობარგების მერე კი მან თითქოს ყველა თვისება დაკარგა. აქ ერთ რამეს აღვნიშნავ — ბრაზილიის და ესპანეთის ჩემპიონატები თავიანთი სპეციფიკით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ევროპული ფეხბურთი მაინც სხვა დონისაა. ოკეანისგაღმელი მცველები დუნედ თამაშობენ, ბევრ კონტინენტზე კი ნამდვილი მცველი, უკანასკნელი მოთამაშე, ჩამშლელი ამპლუის ფეხბურთელი ერთ-ერთ ლიდერად იქცა. დენილსონს აქ ამიტომაც გაუჭირდა. ბრაზილიელის წარუმატებლობის მიზეზი ისიცაა, რომ ესპანეთში ჩასვლისთანავე იგი უდიდეს ფსიქოლოგიური წინაღობას წააწყდა, რომლის გადასალახავადაც მზად არ აღმოჩნდა. ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დენილსონი ესპანურ ფეხბურთში კვალს დატოვებს. აქვე იმასაც დავძენ, რომ თუ ასეთი რამ არ მოხდა, რასაც 99 პროცენტით გამოვრიცხავ, მას „ბეტისის“ დატოვება მოუწევს.

კლემენტე ცნობილია, როგორც გამჭრიახი ტაქტიკოსი. ამასთანავე, მწვრთნელი, რომლის გუნდიც იშვიათად მარცხდება. ჯერ კიდევ ესპანეთის ნაკრებში მოღვაწეობისას ხავიერ კლემენტეს ჟურნალისტები ძალიან აკრიტიკებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრები ძალიან იშვიათად აგებდა. კლემენტეს გუნდი კარგი, სანახაობრივი თამაშით არასდროს გამოირჩეოდა. მუდმივად ერთნაირ, მონოტონურ მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდა. საბოლოოდ ასეთმა სტილმა, კლემენტეს ნაკრების თავკაცის თანამდებობა დააკარგვინა. „ბეტისში“ კლემენტე, როგორც ჩანს, ძველი სტრატეგიული გეგმების ხორცშესხმას აპირებს.

— უპირველეს ყოვლისა, თავის დაცვა უნდა ვისწავლოთ. თუ გუნდს უკან თამაში არ შეუძლია, გუნდი არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თავჭუდმოგლეჯილი უტევ დაცვაზე ყურადღებით უნდა იფიქრო. „ბეტისში“ ჩემი წინამორბედის ვინსენტე კანტატორეს დანერგილი 4-4-2 სისტემის შეცვლას ვაპირებ, რადგან ვთვლი, რომ ასეთი განლაგება დღესდღეობით გუნდისთვის მიუღებელია. კლუბში ძირეულ გარდაქმნებს მოვახდენ, რაც უპირველესად ნახევარდაცვასა და დაცვაზე აისახება. არაა გამორიცხული, ხერხემალიც შეიცვალოს. ტაქტიკა სავარაუდოდ 4-3-2-1 იქნება. გუნდი ისეთ თამაშს უნდა მიეჩვიოს, რაც მისთვის დღესდღეობით ყველაზე უპრიანია. ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტურნირია, ამიტომ ასეთი შეჯიბრის მონაწილე გუნდს ერთ რომელიმე თამაშზე კონცენტრირება კი არა, მთელი სეზონის განმავლობაში მაღალ დონეზე ბრძოლა უნდა ძალუძდეს.

ამ ორი უმთავრესი პრობლემის გარდა კლემენტემ კიდევ რამდენიმე საკითხზე ისაუბრა, რომელთა გადაჭრა დღესდღეობით უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოლიანობაში „ბეტისის“ თავკაცის რანგში სადებიუტო მატჩის წინ ხავიერ კლემენტე პრესკონფერენციაზე მხნედ გამოიყურებოდა. ამ უქმეებზე ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ბეტისი“ ახალი მწვრთნელის მეთვალყურეობით ითამაშებს.

**ირაკლი ილაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვერდერი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| შალკე — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| აინტრახტი — ბაიერნი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| მიუნხენ 1860 — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| შტუტგარტი — ბოხუმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ჰერტა — ნიურნბერგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| უნტერჰახინგი — ურდინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ჰანოვერი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კარლსრუე — ფიურტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ზტ. პაული — კოტბუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ულმი — ფორტუნა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 2 ნოემბერი | | | |
| არმინია — ბერლინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოვენტრი — არსენალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| დერბი — ლიდსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ევერტონი — მანჩესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლესტერი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| ნიუკასლი — ვესტ ჰემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| მიდლსბრო — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 2 ნოემბერი | | | |
| ტოტენჰემი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ბირმინგემი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბრედფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბერი — უოტფორდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გრიმსბი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ოქსფორდი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტ ვეილი — შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სვინდონი — ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტრანმერი — სტოკპორტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვულვერჰემპტონი — ბარნსლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბოლტონი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| სოშო — მონპელიე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| პარმა — ფიორენტინა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რომა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვენეცია — ბოლონია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ემპოლი — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ინტერი — ბარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| პიაჩენცა — მილანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| სალერნიტანა — ლაციო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვიჩენცა — კალიარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ტრევიზო — რეჯინა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ატალანტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჩეზენა — პესკარა | 3,4 | 2,8 | 2,1 |
| კრემონეზე — ლეჩე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ფ. ანდრია — კომო | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ჯენოა — კოზენცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ლუკეზე — ტორინო | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| რეჯანა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ტერნანა — ნაპოლი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვერონა — რავენა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ატლეტიკო — ალავესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბარსელონა — სოსიედადი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბეტისი — სალამანკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სარაგოსა — ვალენსია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რასინგი — სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ესტრემადურა — რეალი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 1 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვილიარეალი — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ატლეტიკო B — რაიო ვალეკანო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ლას პალმასი — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარსელონა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ალბასეტე — ორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — მალაგა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ოსასუნა — ლეგანესი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ერკულესი — მერიდა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ტოლედო — სევილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — კომპოსტელა (14[00]) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სპორტინგი — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მალიორკა B — ლოგრონიესი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| რიუ ავე — ბეირა მარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პორტუ — სალგეირუში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ამადორა — ფარენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| აკადემიკა — გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| შავეში — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სეტუბალი — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კამპომაიორენსე — ბრაგა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| კამბური — ბრედა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ფეიენოორდი — ალკმარი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰერენვენი — ვიტესი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მაასტრიხტი — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეინდჰოვენი — სპარტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ნაიმეგენი — აიაქსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| უტრეხტი — როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალვაიკი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ეკერენი — გენტი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| სენტ ტრუიდენი — სტანდარდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლომელი — ოსტენდე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — ლიერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბევერენი — აალსტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვესტერლო — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ჰარელბეკე — ლოკერენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| რაბიონკოვი — სტომილი (15[30]) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ამიცა — ზაგლებე (14[00]) | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კატოვიცე — პოლონია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — ოდრა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბელხატოვი — პოგონი (16[00]) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ისთანბული — გაზიანთეფი (15[00]) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქარაბუქი — გალათასარაი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| ფენერბაჩე — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ანთალია (13[30]) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ადანა — საქარია (15[00]) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოჯაელი — ალთაი (15[00]) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — დარდანელი (15[00]) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| დანდი — ჰართსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| დანფერმლაინი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მოზერველი — აბერდინი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| კილმარნოკი — სელტიკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ლუცერნი — ბაზელი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სიონი — ლოზანა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| სერვეტი — ქსამაქსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ლუგანო — იანგ ბოისი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ჰოკეი. ნჰლ

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ბოსტონი — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ოტავა — მონრეალი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნიუ ჯერსი — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| სენტ ლუისი — ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ნეშვილი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — დეტროიტი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ტამპა ბეი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ფილადელფია — ოტავა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ვანკუვერი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 2 ნოემბერი | | | |
| აილენდერსი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კაროლინა — კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ედმონტონი — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-10) | 25 და ნაკლები . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| ინგლისი (მე-11) | 25 და ნაკლები . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| იტალია (მე-7) | 22 და ნაკლები . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| ესპანეთი (მე-8) | 25 და ნაკლები . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| პორტუგალია (მე-9) | 22 და ნაკლები . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| ჰოლანდია (მე-11) | 25 და ნაკლები . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| ბელგია (მე-12) | 26 და ნაკლები . . 1,9; | 28 და მეტი . . . . 1,9 |
| პოლონეთი (მე-14) | 22 და ნაკლები . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| თურქეთი (მე-10) | 23 და ნაკლები . . 1,9; | 25 და მეტი . . . . 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „ბლექბერნ როვერსის" თავკაცი, ახლო წარსულში მილანის „ინტერის" დამრიგებელი როი ჰოჯსონი ტრავმირებული ფეხბურთელების პრობლემამ შეაწუხა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა „ბლექბერნს" ნახევარდაცვაში აქვს, სადაც თითქმის ყველა მოთამაშეს დიდი თუ პატარა ტრავმა აწუხებს. სწორედ ამიტომ ჰოჯსონმა დახმარებისთვის რომის „ლაციოს" ხელმძღვანელობას მიმართა. იტალიელებიც გაგებით მოეკიდნენ ინგლისელთა საწუხარს და მათ სეზონის ბოლომდე ნახევარმცველი დარიო მარკოლინი ათხოვეს, თუმცა ეს გარიგება უფასოდ არ მომხდარა — მარკოლინის სანაცვლოდ „ლაციო" 100 ათას გირვანქას (167 800 დოლარი) მიიღებს, ხოლო თუ ისე მოხდა, რომ ბლექბერნელები ფეხბურთელით კმაყოფილნი დარჩნენ და პირიქით, მაშინ რომაული კლუბი კიდევ 900 ათას გირვანქას ჩაიჯიბავს და 27 წლის გამთამაშებელიც ბრიტანეთში გააგრძელებს კარიერას. აღსანიშნავია, რომ მარკოლინი რამდენიმე წლის წინ იტალიის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა და ქვეყნის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც იყო, მაგრამ ბოლო ხანებში უკლო და „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მეტად გაუჭირდა.

**ავსტრიის ნაკრებისა და იტალიური „რომას" გამოცდილი მეკარის მიხაელ კონსელის თქმით, მას დიდი იმედი აქვს, რომ ერთი თვის განმავლობაში სრულად აღიდგენს ფორმას და კვლავ დაეხმარება თავისიანებს სკუდეტოსათვის ბრძოლაში. კონსელმა ტრავმა სექტემბრის დასაწყისში მიიღო, როდესაც ქუსლი მძიმედ დაიზიანა. ამას 10 სექტემბერს გადატანილი სერიოზული ოპერაციაც მოჰყვა და მას შემდეგ ავსტრიელი გოლკიპერი ფეხბურთს ჩამოშორებული იყო. „ყველაფერი მშვენივრად მიდის. ამჟამად 100 პროცენტით არა, მაგრამ 80 პროცენტით მზად ვარ, ჩვეულად ვითამაშო. ძალიან მიხარია, რომ ეს უმძიმესი პერიოდი დავძლიე და მალე კვლავ მომეცემა საშუალება, ჩემი კლუბის კარი დავიცვა" — განუცხადა კონსელმა ავსტრიული საინფორმაციო სააგენტო APA-ს წარმომადგენელს. სხვათა შორის, გასულ სეზონში „რომას" მეკარე იტალიელმა ჟურნალისტებმა სერია A-ს ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარეს.**

ინგლისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლიდსში დასრულდა სასამართლო პროცესი, რომელზეც „ბრედფორდ სიტის" თავდამსხმელის გორდონ უოტსონის საქმე განიხილებოდა. საქმე ის არის, რომ შარშან თებერვალში, როდესაც ინგლისის პირველი დივიზიონის გათამაშებაში ერთმანეთს „ბრედფორდი" და „ჰადერსფილდი" ხვდებოდნენ, ამ უკანასკნელის მცველი კევინ გრეი არნახულად ეუხეშა უოტსონს. ფეხის უმძიმესი მოტეხილობის მკურნალობას ბრედფორდელი ფეხბურთელი მთელი 18 თვე მოუნდა, ანუ წელიწადნახევრის განმავლობაში იძულებით ისვენებდა და გასამრჯელოსაც არ, ან სრულად ვერ იღებდა. ამიტომ უოტსონმა ლიდსის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომელმაც საბოლოოდ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო — დაზარალებულმა მხარემ, იგივე უოტსონმა, კომპენსაციის სახით 500 ათასი გირვანქა (830 800 დოლარი) უნდა მიიღოს.

**ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერის „ქოვენთრი სიტის" ფორვარდმა დიონ დაბლინმა საბოლოოდ თქვა უარი „ბლექბერნ როვერსში" გადასვლაზე, არადა, „ბლექბერნი" მზად იყო, ფეხბურთელში საკმაოდ სოლიდური თანხა — 6,75 მილიონი გირვანქა (11,32 მილიონი დოლარი) გადაეხადა. „დიონმა „ბლექბერნის" წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იქ გადასვლას არ აპირებს" — სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა „ქოვენთრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი ჯონ ჰოლმსი. თუმცა იგი ნაადრევად იმშვიდებს თავს, რადგან მაიკლ ოუენთან და კრის სატონთან ერთად გასული პრემიერლიგური სეზონის ბომბარდირის ხელში ჩაგდება სხვა, „ბლექბერნზე" გაცილებით ძლიერ და მდიდარ ინგლისურ კლუბებს სურთ, რომელთა შორის ჯერჯერობით მხოლოდ ორის ვინაობაა ცნობილი — ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერის, ბირმინგემის „ასტონ ვილასი" და „ნიუკასლ იუნაიტედის". ამასთან დაკავშირებით ბრიტანელ ჟურნალისტებს ჰოლმსმა განუცხადა, დარწმუნებული ვარ, დაბლინი ყველას უარით გაისტუმრებსო.**

გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიის" გამოცდილი ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი მომავალ თვეში გერმანია — ჰოლანდიის ამხანაგურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, განაცხადა გუშინ მსოფლიოს საამზის ჩემპიონთა 61 წლის თავკაცმა ერიხ რიბეკმა. მიოლერს ბოლო დროს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი არ სწყალობდა და ძირითადში იშვიათად აყენებდა, თუმცა რიბეკი სხვაგვარად ფიქრობს: „ანდრეასი ძალიან ძლიერი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოთამაშეა. იგი მშვენივრად ხედავს მოედანს, ფიზიკურად ძლიერია და გოლებიც ხშირად გააქვს. ამიტომ ჩვენ იგი გვჭირდება და ნურავინ იფიქრებს, რომ მიოლერს სათადარიგოთა სკამზე დასასმელად გამოვიძახებ". გერმანიისა და ჰოლანდიის ეროვნული გუნდები 18 ნოემბერს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს გელზენკირხენში.

**ავსტრალიის ნაკრები 6 ნოემბერს კალიფორნიის შტატში მდებარე ქალაქ სან ხოსეში, აშშ-ს ნაკრებს ამხანაგურად წაეხურთავება. აღსანიშნავია, რომ მწვანე კონტინენტის გუნდის თავკაცი რაულ ბლანკოს მიერ გამოქვეყნებულ 18-კაციან განაცხადში, 13 ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრების წევრია. „დიდ იმედებს ვამყარებ ახალგაზრდებზე. ეს შეიძლება ცოტა სარისკო გადაწყვეტილებაცაა, მაგრამ ვგრძნობ, ნაკრებს ახალი სისხლი და შემართება სჭირდება" — აღნიშნა საგაზეთო ინტერვიუში ბლანკომ. გაგაცნობთ იმ ფეხბურთელთა სიას, ვისაც შესაძლებლობა ექნება, სან ხოსეში მოედანზე გამოჩნდეს: ალექს ტობინი, ტანსელ ბაზერი, რაფაელ ბოკი, მარკო ბრეშიანო, საიმონ კოლოსიმო, ჯეისონ კულინა, მაიკლ კურჩია, ბრეტ ემერტონი, ჰეიდენ ფოქსი, დენი მილოშევიჩი, დამიან მორი, ლუკას ნეილი, ჯეისონ პეტკოვიჩი, სებასტიან სონიზიჩი, იოსიპ სკოკო, მარკ ვიდუკა, კევინ ვერმანი, ივან ზელიჩი.**

ინგლისის ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა" პარაგვაულ კლუბ „სერო პორტენოდან" მიმდინარე სეზონის ბოლომდე არგენტინელი თავდამსხმელი ფაბიენ კაბალერო ითხოვა. ამასთანავე ლონდონელთა ფრანგმა დამრიგებელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ თუ კაბალერო ამ პერიოდში თავს გამოიჩენს და მაღალ დონეზე ითამაშებს, მაშინ ინგლისური მხარე მზად არის, პარაგვაელებს 2 მილიონი გირვანქა (3,3 მილიონი დოლარი) გადაუხადოს და ფორვარდი დაიტოვოს. 20 წლის ფეხბურთელის დებიუტი „მეთოფეთა" რიგებში უკვე შედგა, ოღონდ სარეზერვო გუნდში, რომელიც „საუთჰემპტონის" მეორე შემადგენლობასთან დამარცხდა 1:2. „ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს, ჯერჯერობით რაიმეს თქმა ნაადრევად მიმაჩნია. ვერავის დავპირდები, რომ კაბალერო დღესვე მოხვდება „არსენალის" ძირითადში, მაგრამ მას საკმაოდ დიდი დრო აქვს იმისთვის, რომ საკუთარი ძალა დაგვანახოს და თუ იგი ამას მოახერხებს, არანაირი პრობლემა აღარ იქნება". ამასთანავე არგენტინელს სამუშაო ვიზის საკითხიც აქვს გადასაწყვეტი — ამჟამად მას ესპანური პასპორტი აქვს, რადგან მშობლები წარმოშობით სწორედ ამ ქვეყნიდან არიან.

**ბრაზილიის ჩემპიონატში ერთი გამოტოვებული მატჩი გაიმართა, „ვასკო და გამამ", რომელიც ჯერჯერობით გათამაშების ცხრილის შუაგულში იმყოფება, ერთ-ერთ ლიდერ „კურიტიბას" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. გათამაშებას 21 თამაშიდან 40 ქულით კვლავ „კორინთიანსი" ლიდერობს, ერთი მატჩით მეტი და ქულით ნაკლები აქვს „კურიტიბას", ხოლო მესამე ადგილზე 20 შეხვედრიდან 38 ქულით „პალმეირასი" იმყოფება და დიდი შანსი აქვს, მორიგ ტურში გამარჯვების შემთხვევაში ცხრილს ერთპიროვნულად მოექცეს სათავეში.**

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

### 1975

### ოლეგ ბლოხინი

*კონსტანტინე გოგიშვილი*

# ისე რა კაცი



ნეტარსახსოვარ საბჭოურ ეპოქას ერთი უცნაური ახირება ახასიათებდა — გამოჩენილ სპორტსმენთა მარაქიდან ერთი ორს ამოიჩემებდა და ხალხსაც და სპორტსმენებსაც მათ გაუხდიდა ნიმუშად — ნახეთ, სპორტსმენი ხომ კარგია და ჩინებული, ახლა მოქალაქეს არ იკითხავთ? აი, როგორი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანიო. ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, სკოლაში სამართლისმცოდნეობის კურსის გავლისას ადამიანის ეტალონად იური გაგარინს რომ გვისახავდნენ — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო.

ჰოდა, ოლეგ ბლოხინი პრესით... ოლეგ ბლოხინი ტელევიზიით... ოლეგ ბლოხინი შინ და გარეთ... ყველგან ოლეგ ბლოხინი. ყურები გვქონდა გამოჭედილი.

ლეგენდებს არ იკითხავთ? ეტყობა, მართლა დიდი იყო ეს კაცი იმდროინდელი საბჭოთა ფეხბურთისთვის. ამად თუ უგონებდნენ ლეგენდებსაც — ბლოხინი თვრამეტ წლამდე მძლეოსანი ყოფილა, მისი დამწევი მინდორზე კი არა, სარბენ ბილიკებზე, მძლეოსნებს შორისაც არ უნახავსო არავის... ბლოხინი ფეხბურთელობას არც აპირებდა, ერთხელ კიეველთა ვარჯიშის დროს, ბურთი სარბენ ბილიკებზე გადმოვარდნიათ ფეხბურთელებს, ბლოხინსაც აულია და შიგ ცხრიანში ჩაუსვამსო. მწვრთნელი დაინტერესებულა, უთხოვია, ერთხელაც დაარტყიო, ერთხელ კი არა, სამჯერ დაარტყა თურმე ბლოხინმა და სამივე ცხრიანში ჩააჭედაო. აი, როგორი წარმოდგენები კვებავდა ჩვენს მეხსიერებას მაშინ.

მერე კი დრო გავიდა, ჩვენც გავიზარდეთ. თბილისის „დინამოც" მოიწიფა ევროპული გამარჯვებებისთვის და ბლოხინიც აღარ ჩანდა ძველებურად მაგარი. ასეც უნდა ყოფილიყო — ჩვენ ხომ ჩვენი მარგალიტები გაგვაჩნდა, ჩვენი კერპები და ლეგენდები — ყიფიანი, მაჩაიძე, შენგელია, გუცაევი, ჩივაძე... ვინ გინდა, რომ აღარ. ჰოდა, ბლოხინიც უმალ მეტოქის კატად აღვიქვით, ვიდრე ევროპული დონის მრისხანე თავდამსხმელად. იმ დროს საბჭოთა ნაკრებიც ვერ წყვეტდა ვარსკვლავებს და აქედან გამომდინარე, ოლეგ ბლოხინი მეტოქე უფრო იყო, ვიდრე საამაყო და ტაშზე მეტად მწარე შეძახილებისთვის გვემეტებოდა.

ოლეგ ბლოხინის უბედურებაც და ბედნიერებაც ის იყო, ვალერი ლობანოვსკის ხელში რომ მოუწია თავისი კარიერის, უმეტესი წლების გატარება. ვალერი ლობანოვსკი კი სულ სხვა ყაიდის კაცი გახლდათ — მისეული გუნდები არ ცნობენ ვარსკვლავებს, მისეული გუნდები უფრო ორკესტრებს ჰგავდნენ (და ჰგვანან), სადაც არის ბევრი კარგი ფეხბურთელი და მხოლოდ ერთი გამორჩეული, ვარსკვლავი, ვის მტკიცე ხელს და ნებასაც ემორჩილება ყველა — ეს გამორჩეული კაცი კი იყო და არის თვითონ ვალერი ლობანოვსკი.

ამ მტკიცე ხელის გამო თუ იყო, ვისაც კი უთამაშია კიევის „დინამოში", დიდსაც და პატარასაც, გუნდისთვის უნდა დაემორჩილებინათ თავისი ინტერესებიც და ამბიციებიც. ჰოდა, ერთ ტაფაში იწვოდნენ ბურიაკიც, ვერემეევიც, კონკოვიც, კოლოტოვიც, ბლოხინიც.

ბლოხინი, რომელიც 1975 წელს ბეკენბაუერს, კრუიფს და კომპანიას ამჯობინეს ევროპელმა ჟურნალისტებმა.

ბლოხინი, რომელიც რვაჯერ გახდა სსრკ-ს ჩემპიონი, სამჯერ თასის მფლობელი, ერთხელ ოლიმპიური ჩემპიონი, ორჯერ თასთა თასი აიღო, ერთხელ კი სუპერთასი — ეს ზუსტად იმ წელს, როცა „ოქროს ბურთი" მიანიჭეს. არ გინდა, ასეთი კაცი გუნდის და მწვრთნელის ნებაზე მომართო? მაგრამ იმდაც იყო ოლეგ ბლოხინი „ჩინებული მოქალაქე და სპორტსმენი", თავის ინტერესებს გუნდისაზე მაღლა რომ აყენებდა, ბურთს თავის ადგილზე რომ უხვდებოდა მუდამ, სირბილითაც ბევრს დარბოდა და საგოლეებიდანაც სამიდან ორი აუცილებლად გაჰქონდა.

მარილი კი, ის მარილი, ელეგანტურობა, არტისტიზმი, დახვეწილობა, ან რაც გსურთ, უწოდეთ, ნამდვილად აკლდა ოლეგ ბლოხინის სათამაშო მანერას. პასს მისცემდა — ყოველგვარი ზედმეტი ფეიერვერკის გარეშე, გოლს შეაგდებდა — საშუალო სილამაზისას, გაიხსნებოდა — ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა კაცს, ათიდან ცხრა ფეხბურთელი მსგავსად მოიქცეოდაო. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა სწორად, მაგრამ... ამიტომაცაა, ამდენი ტიტულისა და ჩინ-მედლის მფლობელი ოლეგ ბლოხინი ისე რა, კიევის „დინამოს" ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად ჩაგვრჩა მეხსიერებაში, ერთ-ერთ გამართულ სიმად აწყობილ გიტარაზე და არა პირველ ვიოლინოდ.

ერთხელ ისეც მოხდა, ყველა გააოგნა ოლეგ ბლოხინმა და გააოგნა სწორედ ყველაზე საჭირო მომენტში — ევროპის სუპერთასის ფინალში 1975 წლის 9 სექტემბერს (გფრ-ში პირველი მატჩის დროს).

მიმდინარეობს თამაშის 66-ე წუთი. დიდების და ოსტატობის ზენიტში მყოფი მიუნხენის „ბაიერნი" ვერაფერს უხერხებს „დინამოს", ამ დროს ბურთი მოიგდო ბლოხინმა... არც ერთი კიეველი არ ეხსნება თავის მეთერთმეტე ნომერს და აქ ოლეგ ბლოხინი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მთელ იმ შეხვედრად ღირდა — მან რბილად ამოჰკრა ბურთს, მთელს „ბაიერნის" დაცვას თავზე გადაუგდო და გაფრინდა ისე, როგორც თვითონ, მარტო ბლოხინმა იცოდა. ბეკენბაუერი და კამპანია უმალ მიუხვდა მეტოქეს ჩანაფიქრს, გამოენთო კიდეც მას, მაგრამ სდიე ქარს მინდორში... ორიოდ წამში ბლოხინი ზეპ მაიერის პირისპირ დარჩა და... 0:1 ასე დამთავრდა ის მატჩი. საპასუხო შეხვედრაში ბლოხინმა იმ ერთს ორიც დაუმატა და რაღა გასაკვირია, იმ წელს „ოქროს ბურთიც" რომ დაიმსახურა.

ბლოხინს ბომბარდირის ყველა მონაცემი გააჩნდა — სისწრაფე, ალღო, დაყენებული დარტყმა. ეს ჩვენ, მესხის, მეტრეველის, ბარქაიას, ყიფიანის, გუცაევის, შენგელიას ფინტებისა და რიტუალების შემყურეთ არ გვეხატებოდა გულზე მისეული „მარტივი თამაში", თორემ კაცი რომ ორასზე მეტ გოლს გაიტანს და ისიც ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს, სსრკ-ს ჩემპიონატში და თასზე, აბა, იმაზე როგორ უნდა მოგვიბრუნდეს საავუგოდ ენა. არტისტიზმით ვერ გვხიბლავდა ბლოხინი და ესღა გვეთანადრებდა გულს. ისეთი გვინდოდა და მოვითხოვდით — ლაზა-ათო! — რომ შეგვახსენებდა ხოლმე. ასეთს კი ბლოხინი ვერ გააკეთებდა, ვერც კიევში, ვერც თბილისში და ვერსად. რაც მიუნხენში გააკეთა, არც ის იყო არტისტული — ის უფრო სპრინტული იყო. ეს კი ნამდვილად შეეძლო ბლოხინს. ამადაც ვუწოდეთ ისე რა ფეხბურთელი სამოცდაათიანი წლების ყველაზე გამოჩენილ სბჭოელ მობურთალს.

ლობანოვსკი — მწვრთნელს ერთსაც უკიჟინებდნენ, დესპოტია, ფეხბურთელებს ჯერ გამოსწურავს და მერე მოისვრისო. კიევის „დინამოში" მართლაც რომ გაუსაძლის ფიზიკურ დატვირთვებს მაქსიმუმ ხუთი-ექვსი წელიწადი უძლებდნენ ფეხბურთელები. მერე მათ კარიერაში აუცილებლად იწყებოდა დაღმასვლა. ამად თუ იყო, მოგვიანებით, როცა სსრკ-ს ფეხბურთელებმა ევროპაში იწყეს გადასვლა, ვერც ერთმა კიევის დინამოელმა ვერ გაამართლა „ვარსკვლავის" იმიჯი. ბლოხინსაც ასე დაემართა, როცა ავსტრიულ „შტაირში" გადავიდა. მაგრამ ეს ის წლები იყო, როცა ბლოხინის მატარებელს უკვე ჩაეარა...

კარგ დასაწყისს კარგი ბოლო თუ არ ექნა, მუდამ თან სდევს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ბლოხინის კარიერაც უმალ ულიმღამო ფინალის გამო მოვნათლეთ „ისე რად".

ისე რა კარიერა... როგორც თვითონ იყო „ისე რა".

**ოლეგ ბლოხინი**

დაიბადა 1952 წლის 5 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში

თავდამსხმელი

სიმაღლე: 1,83

წონა: 79 კგ.

კლუბები: „დინამო" (კიევი, სსრკ 1970-87); „შტაირი" (ავსტრია, 1987-89)

ტიტულები: სსრკ-ს ჩემპიონი — 1971, 74, 75, 77, 80, 81, 85, 86; სსრკ-ს თასი — 1974, 78, 85; თასების მფლობელთა თასი — 1975, 86; ევროპის სუპერთასი — 1975; ოლიმპიური ჩემპიონი — 1972; ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 1976

ნაკრებში 107 თამაშში გაიტანა 44 გოლი (1972-88)

# ვისთვის ამოვა მზე



სარბიელის არქივიდან

**მიხაელ შუმახერი**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს, ჰურტ-ჰერმულჰემში, გერმანია
ცხოვრობს ვუფლენს-ლე-შატოში, შვეიცარია
ჰყავს მეუღლე კორინა და ქალიშვილი ჯინა-მარია.
ფორმულა 1-ში ჩაატარა 117 რბოლა, მოაგროვა 526 ქულა
33 გამარჯვება, 19 პოული
მსოფლიოს ჩემპიონი 1994, 1995

**კარიერის ეტაპები**

1987 კარტინგი, ევროპის ჩემპიონი
1990 ფორმულა-3, გერმანიის ჩემპიონი, მაკაოს დიდი პრიზის გამარჯვებული
1991 დებიუტი ფორმულა 1-ში, „ჯორდანი" (ბელგიის დიდი პრიზი); „ბენეტონი" 4 ქულა მე-12 ადგილი
1992 „ბენეტონი"; პირველი გამარჯვება (ბელგიის დიდი პრიზი); 53 ქულა, მე-3 ადგილი
1993 „ბენეტონი"; 1 გამარჯვება (პორტუგალიის დიდი პრიზი); 52 ქულა, მე-4 ადგილი
1994 „ბენეტონი"; 8 გამარჯვება (ბრაზილიის, წყნარი ოკეანის, სან მარინოს, მონაკოს, კანადის, საფრანგეთის, უნგრეთის, ევროპის დიდი პრიზები), 92 ქულა, მსოფლიოს ჩემპიონი
1995 „ბენეტონი"; 9 გამარჯვება (ბრაზილიის, ესპანეთის, მონაკოს, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ევროპის, წყნარი ოკეანის, იაპონიის დიდი პრიზები), 102 ქულა, მსოფლიოს ჩემპიონი
1996 „ფერარი"; სამი გამარჯვება (ესპანეთის, ბელგიის და იტალიის დიდი პრიზები), 59 ქულა, მე-3 ადგილი
1997 „ფერარი"; 5 გამარჯვება (მონაკოს, კანადის, საფრანგეთის, ბელგიის, იაპონიის დიდი პრიზები), 78 ქულა, მეორე ადგილი, დისკვალიფიცირებულია
1998 „ფერარი"; 6 გამარჯვება (არგენტინის, კანადის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, უნგრეთის, იტალიის დიდი პრიზები)

„იაპონიის დიდი პრიზი" პირველად 1976 წელს გაიმართა „ფუძის" ტრასაზე და ამერიკელი მარიო ანდრეტის („ლოტუსი") გამარჯვებით დასრულდა. მომდევნო წელს კი იმავე ტრასაზე ბრიტანელმა ჯეიმს ჰანტმა („მაკლარენი") იმარჯვა. ამის მერე ათი წლის განმავლობაში „ამომავალი მზის" ქვეყანას ფორმულა-1-ის ეტაპისთვის არ უმასპინძლია, 1987 წელს კი იაპონელებმა კვლავ მოახერხეს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა და მას შემდეგ უძლიერესი პილოტები „სუძუკას" ტრასაზე ყოველწლიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ტრასა 1962 წელს აიგო „ჰონდას" მოტოციკლების გამოსაცდელად და გრძელი სწრაფი მოსახვევების, სწორი მონაკვეთებისა (სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძრავების სიმძლავრეს) და მოკლე, სპეციფიკური მოსახვევების ნარევს წარმოადგენს.

„ჯორდანის" ყოფილი კონსტრუქტორი გარი ანდერსონი ტრასას ასე ახასიათებს: „ისევე, როგორც „სპა", ეს ნამდვილი პილოტების ტრასაა ერთმანეთში გარდამავალი მოსახვევებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლიდის სწორად ბალანსირებას და ტრასასთან შეჭიდულობას".

მსოფლიოს ჩემპიონის ჟაკ ვილნევის აზრი კი ასეთი გახლავთ: „სიჩქარე მაღალია და ეს იგრძნობა, რადგან ახლოს ხარ კედლებთან. სწრაფი წრის გავლისას ისეთივე შეგრძნებაა, როგორც „სპა"-ზე".

სწორედ ამ ტრასაზე გამართულ რბოლას ერგო წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულის დასახელების პატივი. თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ჩემპიონის ვინაობა იაპონიაში ვლინდება. 1987 წელს აქ ერთმანეთს მენსელი და პიკე ეცილებოდნენ პირველობას. ბრიტანელმა კვალიფიკაციისას ავარია განიცადა და რბოლაში ველარ ისპარეზა. ამით პიკეს საშუალება მიეცა, ქულათა სხვაობა შეენარჩუნებინა და ჩემპიონატი გამარჯვებით დაესრულებინა.

1988 წელს თანამედროვეობის ორი საუკეთესო პილოტი — სენა და პროსტი იბრძოდნენ ტიტულისთვის. სენამ იმარჯვა და „ჯადოქარმა" ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1989 წელს კვლავ ეს ორი პილოტი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონობას. პაექრობა კოლიზიით დასრულდა. სენამ მოახერხა ტრასაზე დაბრუნება და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ორგანიზატორებმა ტრასის მონაკვეთის „მოჭრის" გამო პირველობა ჩამოართვეს და საბოლოოდ ჩემპიონობა ფრანგ „პროფესორს" დარჩა.

1990 წელს ამ ორი გრანდის ბრძოლა კვლავ შეჯახებით დასრულდა — ამჯერად ბედმა ბრაზილიელს გაუღიმა.

1991-ში სენას მენსელი ეცილება უძლიერესის წოდებას, მაგრამ „სუძუკაზე" გამართულ გადამწყვეტ რბოლაში მოცურდა და წინააღმდეგობა ველარ გაუწია მეტოქეს, სენამ კი ბოლო წრეებზე დიდსულოვნად დაუთმო პირველობა თანაგუნდელ ბერგერს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ერთგულად უმაგრებდა ზურგს აწ უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს.

შემდეგ კი შუმისა და ჰილის დრო დადგა, ახლა ეს ორი პილოტი იჩემებდა ჩემპიონობას. შარშან კი „სუძუკაზე" გერმანელს ვილნევი უნდა შებმოდა, მაგრამ კვალიფიკაციაზე დისკვალიფიკაციის გამო პაექრობა არ შედგა. ვილნევი მხოლოდ სიმბოლურად იმყოფებოდა ტრასაზე, რადგან მისი ნებისმიერი შედეგი გაუქმდებოდა.

წლეულს იაპონიაში მიხაელს ახალი მოწინააღმდეგე — ჰაკინენი ეყოლება, თანაც გერმანელი მდევრის როლში გვევლინება და რბოლაში ისე უნდა იმარჯვოს, ფინელს 5 ქულით აჯობოს, რათა ჩემპიონის ტიტული მოიპოვოს. შუმი ჩვეულ მეთოდს მიმართავს და პრესაში აცხადებს: „გული მიგრძნობს, უძლიერესი გავხდები. არ ვიცი, საიდან მოდის ეს შეგრძნება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ასეა. როგორც ყოველთვის, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ და ვფიქრობ, ამას შევძლებ. თანაც ვიმედოვნებ, რომ ჩემსა და მიკას შორის ვინმე იქნება. დარწმუნებული ვარ, ირვინს ხელეწიფება ჩემს შემდეგ რბოლის დასრულება".

„ფერარი" იაპონიისთვის ახალ, უფრო ძლიერ ძრავას ამზადებს, რომელსაც კვალიფიკაციაში გამოიყენებს და ამგვარად შეეცდება რბოლის დაწყებამდე უპირატესობის მოპოვებას. რბოლისთვის საგანგებო საბურავებს ამზადებს „გუდიარიც", თუმცა კი, როგორც ამბობენ, ისინი უფრო ნელია, ვიდრე მათი წინამორბედები.

რაც შეეხება „წითლების" მეტოქეს — „მაკლარენს", ისიც გამალებით ემზადებოდა გადამწყვეტი რბოლისთვის. გუნდის წარმომადგენლებიც კმაყოფილნი არიან „სილვერსტოუნსა" და ბარსელონაში ჩატარებული ტესტებით. ჩემპიონატის ლიდერი მიკა ჰაკინენი, რომელიც 4-ქულიანი უპირატესობით მიემგზავრება იაპონიაში, აცხადებს: „ჩემსა და მიხაელს შორის ფსიქოლოგიური ომი არ არის, რადგან ჩვენ პროფესიონალები ვართ. ჩვენს ნაცვლად რბოლის შედეგები ილაპარაკებს".

თანაგუნდელის მხარდასაჭერად მზად გახლავთ დევიდ კულჰარდიც. „ბრიჯსტოუნი" კი საგანგებოდ „მაკლარენისთვის" მომზადებულ საბურავებს ჰპირდება ფინელს.

მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი კი აფრთხილებს მიკას, რომ მას უნდა ახსოვდეს: შუმი 1994 წლის შემდეგ ყველა სეზონში გამარჯვებისთვის იბრძოდა.

არც სხვა გუნდები აპირებენ უქმად ყოფნას. ედი ჯორდანი „უილიამსისა" და „ბენეტონის" დამარცხებას და ჩემპიონატში მესამე ადგილის მოპოვებას აპირებს. ამისთვის ირლანდიელები იაპონიაში ახალ ძრავას გამოიყენებენ. ახალ ძრავას გამოცდის „პროსტიც", რომელიც უკვე მომავალ სეზონზე ფიქრობს.

გარდა იმისა, რომ „სუძუკაზე" ჩემპიონის ბედი გადაწყდება, აქ გამოსათხოვარ რბოლას ჩაატარებს „ტირელი", რომელიც 1968 წლიდან უცვლელად მონაწილეობდა ჩემპიონატებში. ამ ხნის განმავლობაში გუნდმა 33 გამარჯვება, 19 პოული, 27 საუკეთესო წრე მიითვალა, სამჯერ კი (1969, 71, 73) ჯეკი სტიუარტმა ჩემპიონის ტიტული მოუპოვა „ტირელს". სწორედ ამ გუნის შემადგენლობაში ასპარეზობდნენ ცნობილი პილოტები, სტიუარტი, პეტერსონი, შექტერი, ალბორეტო, პირონი, ბრანდლი, ალეზი. 15 ნოემბერს ტირელის საამქრო ოფიციალურად დაიხურება და ამ გუნდს მომავალ სეზონში BAR-ი (ბრიტიშ ამერიკან რეისინგი) შეცვლის.

აქვე, იაპონიაში, ფორმულა 1-ს ეთხოვება „გუდიარი", რომლის საბურავებითაც არაერთ პილოტს უზეიმია გამარჯვება.

მოვლენებით დატვირთულ ამ რბოლას FIA თავისებურად გამოეხმაურა და გუნდებს საგაისოდ დაგეგმილი ახალი ტექნიკური მოთხოვნები წარუდგინა: წინა საბურავებზე ღარების რაოდენობა სამიდან ოთხამდე გაიზარდა; იმისთვის, რომ საბურავების სიგანე თვითნებურად არ გაზარდონ, ფიამ ეს მაჩვენებელი 27 სმ-ით განსაზღვრა. ეტაპის დღეებში კი მშრალი ამინდისთვის განკუთვნილი საბურავების რაოდენობა 40-დან 32-მდე შეამცირა. ამ ცვლილებებმა საფიქრალი გაუჩინა „ბრიჯსტოუნს", რომელმაც გაისად ყველა გუნდი უნდა მოამარაგოს. ამ ფირმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზამთრის ტესტებისთვის ახალი ტიპის საბურავების მომზადებას ვერ მოასწრებენ და ფიას თხოვნით მიმართეს, ეს ცვლილებები დაგვიანებით აამოქმედოს.

10-წამიანი ჯარიმის „სტოპ-ენდ-გოუ"-ს გარდა არის ერთი სიახლეც: 25-წამიანი ჯარიმა წესრიგის დამრღვევის საერთო სარბოლო დროს მიემატება ზემოთ აღნიშნული ჯარიმის სანაცვლოდ. ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მაქსიმუმ 24 ბოლიდს ექნება.

მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ის შეფ ბერნი ეკლსტოუნს ტესტების გამართვის წესის შეცვლაც აქვს დაგეგმილი. მას სურს, ზამთარში შედგეს 8 სავარჯიშო სერია, ხოლო სეზონის განმავლობაში, რბოლებს შორის გუნდებმა „დიდი პრიზის" შემდეგ ორდღიანი ტესტები გაიარონ იმავე ტრასაზე, სადაც რბოლა ჩატარდა. ეს, მისი აზრით, გუნდებს ხარჯებს შეუმცირებს, მაგრამ ფორმულა 1-ის შეფს ამ წესის შემოღებამდე დიდი წინააღმდეგობა ელის, რადგან მას გუნდების უმეტესობა უნდა დაეთანხმოს.

**ალეკო ტაბუკიანი**



სარბიელის არქივიდან

**მიკა ჰაკინენი**

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკში, ფინეთი
ცხოვრობს მონტე-კარლოში
ჰყავს მეუღლე ერია
ფორმულა 1-ში ჩაატარა 111 რბოლა, მოაგროვა 208 ქულა.
8 გამარჯვება, 10 პოული

**კარიერის ეტაპები**

1974-86 კარტინგი, ფინეთის ხუთგზის ჩემპიონი
1987 ფორმულა ფორდი, ნორდიკის ჩემპიონი
1989 ფორმულა 3, მე-7 ადგილი ბრიტანეთის ჩემპიონატში
1990 ფორმულა 3; ბრიტანეთის ჩემპიონი
1991 დებიუტი ფორმულა 1-ში („ლოტუსი"); 2 ქულა, მე-15 ადგილი
1992 „ლოტუსი", 11 ქულა, მე-8 ადგილი
1993 „მაკლარენი"; პირველი პოდიუმი (მე-3 ადგილი იაპონიაში), 4 ქულა, მე-15 ადგილი
1994 „მაკლარენი"; 26 ქულა, მე-4 ადგილი
1995 „მაკლარენი"; 17 ქულა, მე-7 ადგილი; მძიმე ავარია ავსტრალიის დიდ პრიზზე.
1996 „მაკლარენი"; 31 ქულა; 4 პოდიუმი; მე-5 ადგილი
1997 „მაკლარენი"; მოიგო პირველი დიდი პრიზი (ევროპის დიდი პრიზი); პირველი პოული (ლუქსემბურგის დიდი პრიზი); 27 ქულა, მე-6 ადგილი
1998 „მაკლარენი"; 7 გამარჯვება (ავსტრალიის, ბრაზილიის, ესპანეთის, მონაკოს, ავსტრიის, გერმანიის, ლუქსემბურგის დიდი პრიზები).



სარბიელის არქივიდან

ჰაკინენი (მარცხნივ) და შუმი ბოლო რბოლამდე დაახლოებით ასე მოვიდნენ

## ფორმულა 1
### XVI ეტაპი
### იაპონიის დიდი პრიზი

1 ნოემბერი. „სუძუკა"
რბოლის დისტანცია 53 წრე — 310,582 კმ
რბოლა დაიწყება დილის 7 საათზე ჩვენი დროით



**1997 წლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:29.48,446 (207,508 კმ/სთ) |
| 2 | ფრენცენი (უილიამსი) | ჩამორჩა 1.378 წამით |
| 3 | ირვინი (ფერარი) | |
| 4 | ჰაკინენი (მაკლარენი) | |
| 5. | ალეზი (ბენეტონი) | |
| 6 | ჰერბერტი (ზაუბერი) | |

საუკეთესო წრე: ფრენცენი (უილიამსი) 1.38,942 (213,361 კმ/სთ)
პოული: ვილნევი (უილიამსი) 1.36,071 (219,737 კმ/სთ)

**წინა წლების გამარჯვებულები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1996 | ჰილი (უილიამსი) | 1995 | მ. შუმახერი (ბენეტონი) |
| 1994 | ჰილი (უილიამსი) | 1993 | სენა (მაკლარენი) |

გუშინ დილის ვარჯიშზე ჩემპიონობის კანდიდატებმა პირველი „ბრძოლა" მოაწყვეს. სერიის პირველი მონაკვეთი ჰაკინენის უპირატესობით წარიმართა. მისი დრო საუკეთესო იყო — 1.40,693. შუმი მეორე გახლდათ 1.40,767. მაგრამ საბოლოოდ ყველაზე სწრაფად წრე გერმანელმა გაიარა 1.39,823 (211,478 კმ/სთ), ფინელის დრო 1.40,644 კი მხოლოდ მეხუთე აღმოჩნდა. მეორე შედეგი რალფ შუმახერისა იყო, მესამე-მეოთხე ადგილები ფრენცენმა და ირვინმა გაინაწილეს.

პარასკევის ვარჯიშის შედეგები:

1 მ. შუმახერი 1.39,823; 2 რ. შუმახერი 1.40,336; 3 ფრენცენი 1.40,389; 4 ირვინი 1.40,615; 5 ჰაკინენი 1.40,644; 6 კულჰარდი 1.40,845; 7 ჰილი 1.41,098; 8 ვილნევი 1.41,252; 9 ვერსტაპენი 1.42,191; 10 ფიზიკელა 1.42,224.

# მაიკლ გერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამეორე

# დაუვიწყარი დასასრული

აი, თქვენს წინაშეა რინგი, ადგილი, სადაც მოკრივენი ერთმანეთს ებრძვიან. სულ მალე, ჭერში დაკიდული ნათურები გაანათებს ცისფერ ფიცარნაგს და იქ მებრძოლები გამოჩნდებიან. კრივი დაიწყება და თქვენც სანახაობის მომსწრენი შეიქნებით.

კრივი დიდად საინტერესო სანახაობაა, მისი ყოველი წამი იზიდავს თვალს, მაგრამ რა უყვარს ყველაზე მეტად კრივის ქომაგს? მას მოულოდნელი, დიდი დასასრული უყვარს. და რა არის ყველაზე თვალისმომჭრელი დასასრული კრივისთვის? რა თქმა უნდა, ნოკაუტი. ნოკაუტი კრივის მშვენებაა. ნოკაუტი სწორედ ის არის, სუნთქვას რომ შეუკრავს მაყურებელს. მაგრამ არის სხვაგვარი დასასრულებიც. არანაკლებ სუნთქვაშემკვრელი.

მოვყვეთ დაუვიწყარი დასასრულების ისტორიას. თუმცა, ზოგჯერ, ეს დასასრულები სულაც არ იყო მაინცდამაინც სანოკაუტო.



კარპანტიე ძირს აგდია, ბერნსტეინი კი სიკის აგავებს

## 1912 წლის 4 ივლისი
## ედ ვოლგესტი — მექსიკელი ჯო რივერსი

როდისაა რომ ქამარსქვემოთა უნამუსო დარტყმა არ არის ქამარსქვემოთა დარტყმა? ანდა, როდისაა, რომ ნოკდაუნი ნოკდაუნად არ ჩაითვლება? ანდა, ის ორი ჰუკი მართლა ჰუკი იყო?

ასეთებს ფიქრობდა ათასობით გულშემატკივარი, ვოლგესტ-რივერსის ორთაბრძოლის გასრულების შემდეგ რომ ბრუნდებოდა შინ ლიაცისქვეშა არენიდან. ამ შეკითხვებზე დღემდე ვერ მოეძებნა გადამჭრელი პასუხი.

ვოლგესტი და რივერსი მსუბუქი წონის ჩემპიონობისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს და თხუთმეტრაუნდიანი შერკინების თორმეტი რაუნდი ბლარძუნსა და სიფრთხილეში გაატარეს. საცქერი ბევრი არაფერი იყო და მეცამეტე რაუნდიც ასევე გაგრძელდა.

მაგრამ, სწორედ ამ რაუნდის მიწურულს ვოლგესტმა თოკებთან მიიმწყვდია რივერსი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვოლგესტი საშინლად უნამუსო მოკრივე იყო. ის ყოველთვის ბინძურად უტევდა და ორიოდ წლით ადრე საჩემპიონო ბრძოლა სწორედ დისკვალიფიკაციით წააგო ვილი რიჩისთან.

ჰოდა, მიაყენა ვოლგესტმა ჯო რივერსი თოკებთან და ქამარსქვემოთ ამოსცხო. ხალხმა დაინახა, რომ ეს აკრძალული დარტყმა იყო. ეს მშვენივრად იცოდა ვოლგესტმა და რა თქმა უნდა, რივერსმაც, რომელიც წამსვე ჩაიკეცა, თუმცა კი მოასწრო და ქვემოდან ისეთი ჰუკი ამოსცხო ვოლგესტს, რომ დააბარბაცა — ორმაგი ნოკდაუნი.

ბევრ ჩვენგანს უნახავს სტალონესეული „როკი II“, სადაც მსგავსი სიტუაციაა გათამაშებული. ორმაგი ნოკდაუნის დროს რეფერიმ გარე მსაჯულებს უნდა ამცნოს მომხდარი. მოკრივენი კი ვინმეს დაუხმარებლად უნდა წამოდგნენ ათამდე დათვლაში. ის, რომელიც ამ დროში ვერ წამოდგება, წაგებულია.

ამის მიუხედავად, რეფერი ჯეკ უელშს თავისი აზრი გამოუჩნდა. ასობით მაყურებლის პროტესტის მიუხედავად, მან რივერსის საზარდულში მოხვედრილი მუშტი ნოკდაუნად ჩათვალა და ორივე მოკრივეს თვლა დაუწყო. როდესაც ოთხამდე დათვალა, უელში თავისი მარცხენა ხელით წამოდგომაში დაეხმარა ვოლგესტს, მარჯვენათი კი თვლას აგრძელებდა, თან კი ჩაცუცქულ რივერსს შესცქეროდა. ათამდე ავიდა, „აუთო“ შესძახა და მოკრივენი თავიანთი კუთხეებისკენ გაისტუმრა. შემდგომში ის სრულიად უაზროდ ირწმუნებოდა, რომ რაუნდის დასასრულის მაუწყებელი გონგი არ გაუგონია. არადა, ეს გონგი მაშინ გაისმა, როცა რეფერიმ შვიდს უწია.

უელშს არ შერცხვა და ვოლგესტს ხელი ააწევინა. ამით, ამ უნამუსო მოკრივემ მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული შეინარჩუნა. რეფერი უელშის პოზიცია დღემდე გაურკვეველია. გადაჭრით ვერავინ ამბობს, რომ ის მოსყიდული იყო. საკრივო მწერლები უფრო იმას ფიქრობენ, რომ რეფერი დაიბნა. მან ვერ დაინახა აკრძალული დარტყმა და გაიგო მაყურებელთა შეძახილი, „ლოუ ბლოუო“, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ აკრძალულად რივერსმა მოიქნია. რივერსი იმან დაჩაგრა, რომ პრეტენდენტი იყო. თუმცა, ჩვენ ველარასოდეს გავიგებთ, რა იყო ამგვარი დასასრულის ნამდვილი მიზეზი. ის კი ნაღდია, რომ ამგვარი დასასრული არც ერთ საჩემპიონო ბრძოლას არ ჰქონია.

## 1922 წლის 24 ოქტომბერი
## ბეტლინგ სიკი — ჟორჟ კარპანტიე

იმის მიუხედავად, რომ 1921 წელს ჯეკ დემპსიმ გაანადგურა, ფრანგი ჟორჟ კარპანტიე კვლავაც რჩებოდა ქვემძიმე წონის მეფედ და მილიონების საყვარელ მოკრივედ. თუმცა, მხოლოდ სახელი და დიდება არასოდეს აკმაყოფილებდა მის მენეჯერებს. დემპსისთან წაგების შემდეგ მათ ისეთი ბრძოლის გამართვა სწყუროდათ, ოქრო-ვერცხლს რომ ბლომად შემოიტანდა და ჟორჟის სახელ-წოდებასაც ჩრდილს არ მიაყენებდა. შავკანიანი ბეტლინგ სიკიც ასე შეიქნა პრეტენდენტი.

სიკი ამაყი კაცი იყო, მას გაუტეხელი ხასიათი და მძიმე მუშტი ჰქონდა, მაგრამ ოსტატობით კარპანტიეს ვერ გაუტოლდებოდა. ბრძოლა რომ დაიწყო, კარპანტიემ იოლად აუღო ალღო სიკის მანერას და მეხუთე რაუნდში ნოკდაუნშიაც ჩააგდო ზანგი. მაგრამ ამის შემდეგ მოხდა ის, რასაც ბევრი არავინ ელოდა. სიკი გამხეცდა, მან ყოველგვარ ფსონს და პროგნოზს დაუკარგა აზრი და ფრანგი შავ დღეში ჩააგდო. რაუნდის დარჩენილი დრო კარპანტიეს დასისხლიანებამ წაიღო. მეექვსე რაუნდი შუა წელზეც არ იყო მისული, როცა ბეტლინგ სიკიმ თოკებთან მიიმწყვდია კარპანტიე და ერთი მოხდენილი დარტყმით დასცა ძირს. ნოკაუტი. სიკიმ მოიგო, თითქოს ამბავიც აქ უნდა დამთავრდეს, მაგრამ რეფერი ანრი ბერნსტეინი მოულოდნელად აცხადებს, რომ სიკი დისკვალიფიცირებულია კვანტის დადებისთვის და გამარჯვებულად კარპანტიე ჩაითვლებაო.

მაშინ არ არსებობდა სააპელაციო კომიტეტები, არც მსაჯულები იყვნენ და არც კომისიონერები. ბეტლინგ სიკის თვალსა და ხელს შუა ართმევდნენ გამარჯვებას. მაგრამ პარიზის ველოდრომზე 50 ათასი კაცი იყო შეკრებილი. ამ ხალხმა ყველაფერი კარგად დაინახა. ამ ხალხს არ უნდოდა ნაჩუქარი გამარჯვება. უთამამესნი რინგზეც კი აცვივდნენ და რეფერის დახრჩობა დააპირეს. სამართალმა კი პური ჭამა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა პატიოსანი ხალხის ფიქრმა და მოქმედებამ უნამუსო რეფერის გადაწყვეტილებას აჯობა. ბეტლინგ სიკიმ დამსახურებული მიიღო, ანრე ბერნსტეინი კი შერცხვენილი გაიძურწა რინგიდან.

ხალხის ვერდიქტი ასეთი იყო: „მეექვსე რაუნდის მეორე წუთზე სიკიმ ნოკაუტით დაამარცხა კარპანტიე“.



ის საშინელი დარტყმა — ჯო ლუისის მარჯვენა კონის ყვრიმალს მისწვდა

## 1941 წლის 18 ივნისი
## ჯო ლუისი — ბილი კონი

მსოფლიოს ჩემპიონს მძიმე წონაში, ჯო ლუისს არაფერი ჰქონდა სანერვიულო. ასე ჩანდა, რომ მისთვის, ეს ბრძოლა მორიგი გასეირნება იქნებოდა. ბილი კონი ცნობილი კაცი გახლდათ ქვემძიმე წონაში, მაგრამ ჯოსთვის აბა რა უნდა დაეკლო? ამ დროისთვის შავ ყუმბარმტყორცნს ზედიზედ თოთხმეტჯერ დაეცვა ჩემპიონის ტიტული.

ბრძოლა თხუთმეტრაუნდიანი იყო და ლუისის ქომაგთათვის დიდად იმედისგამაცრუებელი გამოდგა. კონი საუცხოოდ ირჯებოდა — იყო აქტიური, მოძრავი, მოხერხებული და ზუსტი. მის მწვრთნელებს ტაქტიკა გასაოცრად მოქნილი და სწორი შეერჩიათ და დარტყმების თვლა რომ წავიდა, კონი აშკარად იგებდა. ასე გაგრძელდა მეთორმეტე რაუნდის ჩათვლით. ჯო ვერაფერს უპირისპირებდა პრეტენდენტს, მაგრამ ეს ხომ ჯო იყო და არა ვილაც სხვა...

მეთორმეტე შესვენებისას მწვრთნელებმა კონს ურჩიეს, რომ კვლავ აქტიური ყოფილიყო და ნაცადი მანერით გაეგრძელებინა ბრძოლა. მოძრაობა და სიზუსტე — ასეთი იყო მათი მითითება. მაგრამ მეცამეტე რაუნდი დაიწყო და ლუისმა მოახერხა ის, რაზეც მთელი საღამო ოცნებობდა. ეს ჩემპიონის ერთადერთი შანსი იყო და ლუისი ძალიან დიდხანს ელოდა ამ წამს. მისმა დამანგრეველმა მარჯვენა ჰუკმა მონახა საჭირო ადგილი და ამის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. კონს ჩხუბი რომც ნდომებოდა, ველარაფერს გააწყობდა. ის დარეტიანებული, ფარხმალდაყრილი იყო. და როგორ მოიქცა ლუისი? განა პირველი ქაჯივით მიახტა მოწინააღმდეგეს და წამსვე მოგება გადაწყვიტა? მან თორმეტი რაუნდი ითმინა და ახლაც ბრძნულად გაისარჯა. მთელი რაუნდი ის ზუსტად, ძლიერად და საზრიანად სცემდა მუშტებს კონს. მეცამეტე რაუნდის დასრულებამდე ორი წამი რჩებოდა, როცა კონი წაიქცა, რეფერი ედი ჯოზეფმა ათამდე დათვალა და ჯო ლუისმაც მეთხუთმეტედ დაიცვა ტიტული.

ბუკმეიკერები მართალნი გამოდგნენ, როცა ამბობდნენ, ლუისი უეჭველად მოიგებსო, მაგრამ მათ ნაღდად არ იცოდნენ, რომ ამ საქმისთვის კრივის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დასასრული შეიქმნებოდა საჭირო.



თავპირდასიებული ჯეკ ლამოტა წაქცეულ დოტვილს დასცქერის

## 1950 წლის 13 სექტემბერი
## ჯეიკ ლამოტა — ლორან დოტვილი

ის ხიფათიანი კაცი იყო. ჯეკ ლამოტა თითქოს იმისთვის გახლდათ დაბადებული, რომ საკუთარი თავისთვის გამოცდები გაემართა. სხვაგვარად ცხოვრება მას არ შეეძლო. ბრონქსელი იყო, ამ არეული უბნის ქუჩებში სჭრიდა ქუჩურ სამართალს, სანამ ბიჭი იყო და მერე, როცა რინგზე გადაინაცვლა, იქ დაიწყო სამართლის ჭრა. უფრო საკუთარი თავისთვის ჰქონდა მოგონილი ეს სამართალი, საზიანოც და სასარგებლოც მისთვისვე იყო და არა სხვისთვის. საკრივო კარიერა ისე აიწყო, რომ ბუკმეიკერთათვის ყველაზე საინტერესო მებრძოლი შეიქნა. თავადაც ძალიან უყვარდა დანიძლავება და საკუთარ თავზე ფულის ჩასვლა. ხიფათის მოყვარე იყო — მხოლოდ რინგი და საკრივო შეჯიბრი მას არასოდეს ჰყოფნიდა. ლამოტას ორთაბრძოლები ყოველთვის მოულოდნელი და ნერვების მომშლელი იყო. საზღვარი გამარჯვებასა და მარცხს შორის ბეწვის ხიდზე გადიოდა.

ჯეიკის შეხვედრა ფრანგ პრეტენდენტ ლორან დოტვილთანაც ამ გზით მიდიოდა. თვრამეტი თვით ადრე ფრანგმა მსაჯთა გადაწყვეტილებით დასჯაბნა ლამოტა. მაგრამ ნებისმიერი ბუკმეიკერი და მეფსონე გეტყოდათ, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

დოტვილმა კარგად დაიწყო ბრძოლა: გაშლილი მკლავის სიგრძეზე ეკრივებოდა ლამოტას და სწრაფად აყრიდა მარჯვენათი. მოსაგებ ქულათა მარაგს პირველი რაუნდებიდანვე ქმნიდა, მაშინ, როცა ლამოტა პასიურობდა. ის თითქოს საბრძოლველად იწვევდა პრეტენდენტს, რათა ახლო ბრძოლაში დაეჯაბნა, მაგრამ დოტვილი არა და არ ეგებოდა ამ ფანდს. შუა რაუნდებისთვის ლამოტას მარცხენა თვალი თითქმის მოჭუტული ჰქონდა და ხეირიანად ველარც ხედავდა. მეშვიდე და მერვე რაუნდებში ის ზედიზედ გააფრთხილა რეფერი ლუ ჰენდლერმა.

ჯეიკ ლამოტა დიდხანს იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის და მეტად ხანმოკლე ჩემპიონობა კი გამოსდიოდა. დოტვილი უპირობოდ იმარჯვებდა. ფაქტიურად, ბრძოლა დამთავრებული იყო. სამი მსაჯის დათვლით, მეთხუთმეტე რაუნდის წინ ფრანგი 72-68-ს, 74-66-ს, და 73-67-ს იგებდა.

და მეთხუთმეტე რაუნდიც ისე დაიწყო, როგორც წინა თოთხმეტი — დოტვილმა ჯერით შეუტია და არც მოძრაობა შეუნელებია. ლამოტა იდგა და მხოლოდ პასუხობდა. და უეცრად, ლამოტამ ჰუკი გაისროლა. ეს ძლიერი ჰუკი იყო. დოტვილი დაბარბაცდა და ჯეიკი კვლავ ძველ ჯეიკად იქცა. მან მომენტი დაიჭირა და აფეთქდა, კვლავ მარჯვენათი მისწვდა დოტვილს, რომელიც გარიდებას ცდილობდა და თოკებს მიანარცხა. მესამე ჰუკმა პრეტენდენტს თოკებზე მიყრდნობილს მოუსწრო. ის მოწყვეტით არ წაქცეულა — ნელა ჩაიკეცა, ხალიჩას განერთხა და ქვედა თოკს დაბღაუჭებული დარჩა. ჰენდლერის თვლისთვის ყურადღება არც მიუქცევია. ბრძოლის დასრულებამდე კი მხოლოდ ცამეტი წამი რჩებოდა. დოტვილის პრეტენდენტობა ისტორიის ერთ უბრალო ფურცლად ქცეულიყო. ასეთი დასასრული, ასეთი დრამა კი კარგახანს ალარ ყოფილა. ლამოტასთვის კი ეს ერთი მორიგი ხიფათი, ერთი მორიგი მაზიანი იყო. ნაძლევი, რომელიც მოიგო.





ჩაკეცილი რივერსი უნამუსოდ დამთვლელ მსაჯს შესცქერის

# კურდღლის შხამი

**ოტავა — ფილადელფია 3:1 (3:0 0:0 0:1)**

1:0 ბონკი 16'08 (3); 2:0 იუჰანსონი 18'33 (3); 3:0 იუჰანსონი 19'48 (4); 3:1 ლინდროსი 50'39 (7)

ამ ორი მეტოქის ადრინდელი ურთიერთობა მახრჩობელა გველისა და კურდღლის ამბავს გვაგონებდა, თანაც ამ უკანასკნელის როლში მუდამ ოტავა გამოდიოდა. ადვილი მოსალოდნელი იყო, ამჯერადაც ასე მომხდარიყო (ოტავამ წინა 12 მატჩში ქულაც ვერ გაიხერხა), მაგრამ ფილადელფიელთა კაპიტანმა ერიკ ლინდროსმა ნამეტანი მოინდომა და ანდრეას დაკელს ისე შეეჯახა, საბრალო მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, სახეზე კი 15 ნაკერი დაადეს. ლინდროსს ეს საქციელი მსაჯებმა კი აპატიეს, მაგრამ „ფრენტორებმა" — არა და შესვენებამდე დარჩენილ დროში კურდღელმა გველს სამჯერ უკბინა, გონს ვერ მოეგო. ოტოველთა შორის ყველაზე მეტად ახალბედა ანდრეას იუჰანსონი გამოირჩეოდა, რომლისთვისაც ჯერ უცხოა „ფილადელფიური სინდრომი".



ფილადელფიელმა შონ პოდინმა (25) ოტაველი ანდრეას იუჰანსონი ბორტს კი მიაჭყლიტა, მაგრამ ამით მის გუნდს რა ხეირი...

**კოლორადო — სან ხოსე 4:2**

1:1 1:1 2:0

1:0 კორბე 12'54 (1); 1:1 ლოური 16'34 (1); 1:2 ზიუზინი 30'26 (1); 2:2 საკიკი 36'58 (6); 3:2 საკიკი 47'03 (7); 4:2 ილიე 52'35 (1)

კოლორადომ კი მოიგო, მაგრამ სან ხოსე, მოგეხსენებათ, არც დეტროიტია და არც დალასი. თანაც გამარჯვება ძირითადად კაპიტან ჯო საკიკის დამსახურებაა, რომელმაც უმცირესობაში უკვე მეოთხე შაიბა გაიტანა.

**ბოსტონი — მონრეალი 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 ჰაინცე 15'32 (3); 1:1 სავაჟი 39'19 (2)

ეტყობა, ბოსტონელები, ლიგის სხვა გუნდების დარად, წინა დღის საკუთარმა სიმაცემ ცოტა არ იყოს, შეაშინა (ხუმრობა, 9 თამაშში 57 გოლი გავიდა) და ამჯერად ერთობ მორიდებულად გაისარჯნენ. ..ადა, დათვები, ისევე როგორც წინა ლ..., 9-ჯერ რიცხვმრავლობაში იყვნენ.

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 1:2**

0:2 1:0 0:0

0:1 ჰოლიკი 3'59 (2); 0:2 ანდრეიჩუკი 11'15 (2); 1:2 დოუ 19'00 (2)

ნიუჯერსელებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ჩვეულ ფორმაში, ორშაიბიანი სხვაობის გაქვითვა მაინც შეუძლებელია.

**სენტ ლუისი — დეტროიტი 3:1**

1:1 0:0 2:0

1:0 პელერინი 10'01 (1); 1:1 ბრაუნი 13'46 (4); 2:1 კურტნოლი 50'43 (2); 3:1 მაკინისი 59'45 (5)

მეტოქეთა ამ პრინციპული ბრძოლის ბედი ჯეფ კურტნოლის ჩინებულად შესრულებულმა ბულიტმა გადაწყვიტა. ამით მასპინძლებმა ოდნავ მაინც შეიმსუბუქეს ის წყენა, რომელიც „წითელფრთიანებმა" ბოლო სამ პლეი ოფში მიაყენეს.

**სამველ ლარიბიანი**

**სატურნირო ვითარება**

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ილადელფია | 9 | 5 | 2 | 2 | 21:14 | 12 |
| იტსბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:20 | 9 |
| იუ ჯერსი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:18 | 8 |
| აილენდერსი | 9 | 4 | 0 | 5 | 17:20 | 8 |
| რეინჯერსი | 9 | 2 | 3 | 4 | 15:23 | 7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 8 | 3 | 3 | 2 | 19:15 | 9 |
| ვაშინგტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:18 | 8 |
| ფლორიდა | 7 | 2 | 3 | 2 | 12:18 | 7 |
| ტამპა | 9 | 3 | 1 | 5 | 22:28 | 7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:11 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 9 | 4 | 2 | 3 | 21:18 | 10 |
| ფინიქსი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:14 | 9 |
| ანაჰაიმი | 7 | 3 | 1 | 3 | 16:14 | 7 |
| სან ხოსე | 8 | 0 | 2 | 6 | 14:26 | 2 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 8 | 5 | 1 | 2 | 26:21 | 11 |
| ბოსტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 25:17 | 10 |
| ოტავა | 7 | 4 | 0 | 3 | 20:17 | 8 |
| მონრეალი | 9 | 3 | 2 | 4 | 20:24 | 8 |
| ბუფალო | 7 | 2 | 2 | 3 | 14:15 | 6 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 9 | 6 | 0 | 3 | 29:17 | 12 |
| სენტ ლუისი | 8 | 4 | 1 | 3 | 21:19 | 9 |
| ჩიკაგო | 8 | 4 | 1 | 3 | 19:21 | 9 |
| ნეშვილი | 8 | 2 | 1 | 5 | 20:26 | 5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 8 | 4 | 0 | 4 | 29:21 | 8 |
| ვანკუვერი | 8 | 4 | 0 | 4 | 23:19 | 8 |
| კალგარი | 8 | 2 | 1 | 5 | 21:30 | 5 |
| კოლორადო | 8 | 2 | 1 | 5 | 21:31 | 5 |

***ბომბარდირები:*** იაგრი (პიტსბურგი) 14 (2+12); შენაჰანი (დეტროიტი) 13 (7+6); საკიკი (კოლორადო) 12 (7+5); აიზერმანი (დეტროიტი) 12 (2+10); გერინი (ედმონტონი) 11 (8+3); ლინდროსი 11 (7+4); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 11 (5+6); საიდორი (დალასი); სუნდინი (ტორონტო) და მესიე (ვანკუვერი) 11 (4+7).



ლინდროსისგან გამეტებული დაკელი მოედნიდან გაჰყავთ



თბილისის ტურნირზე ებრაელები პატარა, მაგრამ კოლორიტული გუნდით გვეწვივნენ. მწვრთნელი საქართველოდან ასული რამაზ მამისთვალოვია, მან კი თბილისში ჩამოიყვანა თავისივე აღზრდილი არიკ ზეევი და ყველასგან გამორჩეული ენათი იარონი — ქალი, რომელმაც ყველასთვის მოურეველი მტერი — კიბოს დაავადება დაამარცხა

# ქალი, რომელიც კიბოს მოერია

**რამაზ მამისთვალოვი** ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს, თუმცა დროდადრო ამა თუ იმ სიტყვის არცოდნაზე მოგვიბოდიშებდა ხოლმე. ჩვენი საუბარიც ამით დაიწყო.

— მე და ჩემს ძმას დედ-მამა ყოველთვის ქართულად გველაპარაკებოდა. ცოლიც იქაური ქართველი ებრაელი მყავს. რომ მოვიყვანე, ქართული არ იცოდა, მაგრამ ვასწავლე და ახლა მშვენივრად „ბულბულებს" (იცინის). ჩემმა შვილებმაც იციან ქართული და არა მხოლოდ ენა-ტრადიციები, წესჩვეულებები, ისტორია. მე მათ ქართველებად ვზრდი.

**— ოჯახზე საგანგებოდ მინდა გკითხოთ.**

— როგორც უკვე გითხარით, ჩემი მეუღლე ისრაელში დაბადებულ-გაზრდილი ქართველი ებრაელია, რომელმაც ქართულ ენასთან ერთად ქართული საჭმელების მომზადებაც ისწავლა. გვყავს ხუთი შვილი, რომელთაგანაც სამი ტყუპია ეს ტყუპები — ორი ბიჭი და ერთი გოგო — ჯერ პატარები, ორი წლისები არიან, უფროს გოგონებს კი ერთს შვიდი უსრულდება, მეორეს — რვა. ისინი ხშირად მეკითხებიან საქართველოზე, თბილისზე, აქაურ სახლზე... ახლა უფრო მეტი რამ შემიძლია ვუთხრა მათ. მინდა, ისინიც ჩამოვიყვანო თბილისში და საკუთარი თვალით ვანახო აქაურობა.

ხაში, ხაშლამა, საცივი და სხვა ქართული კერძები ჩვეულებრივი ამბავია. ჩემი ცოლიც უკვე ამ ყველაფერს თვითონ აკეთებს რაც შეეხება სასმელს, ისრაელში ჭაჭა არ ვიცით, აი, ღვინოს კი კარგად ვსვამთ, ზოგნი ორ-სამ ბოთლსაც კი.

**— გამიგონია, ქართველი ებრაელები სათუთად ინახავენ თავის ქართველობასო.**

— როცა ჩემმა მეგობრებმა გაიგეს, რომ საქართველოში მოვდიოდი, მეუბნებოდნენ, ჩვენი გული შენთან არის და ადრე რომ გაგვეგო, ჩვენც წამოგყვებოდითო. თან მაბარებდნენ, რაც შეიძლება ბევრი გადამეღო, ბევრი მენახა და დამემახსოვრებინა.

**— ისრაელში რას საქმიანობთ?**

— უძლიერესი საკლუბო გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ. აქ ჩამოყვანილი სამი ბიჭიდან ორი ჩემი გაზრდილია, მათ შორის იუნიორთა ევროპის ჩემპიონი არიკ ზეევი. საერთოდ, ისრაელში ახლა ძიუდოს ბუმია და ჩვენც ბევრი კარგი ახალგაზრდა გვყავს. გარდა ამისა, თქვენებურად რომ ვთქვა, ვარ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.



ენათი იარონი



რამაზ მამისთვალოვი

მე გორში კი დავიბადე, მაგრამ ორი დღისა წამომიყვანეს თბილისში, სადაც ოთხი წელი ვიზრდებოდი, მერე კი ჩვენი ოჯახი ისრაელში გადასახლდა. ეს მოხდა 27 წლის წინ. ამ ხნის მანძილზე საქართველოში პირველად ჩამოვედი და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჩვენი სახლი მოვინახულე თუმანიანის 4-ში. იქ ყველაფერი ისევე უცვლელად დამხვდა, როგორც მახსოვდა. ამით თითქოს ჩემი ბავშვობა დამიბრუნდა. იქაურებმაც გაიხსენეს ჩემი ოჯახი, ძალიან გაუხარდათ და ბევრი ცრემლიც ვღვარეთ. როცა ადამიანი 27 წლის შემდეგ ჩამოდის და ეძებს იმ ადგილს, სადაც გაიზარდა, ეს მართლაც სხვაა. აქ ჩამოსვლისას მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. მგონია, რომ ადამიანს ყველაზე მეტ სასიცოცხლო ძალას თავისი ფესვები აძლევს.

თბილისიც ისეთივე ლამაზი, კარგი და თბილი დამხვდა, როგორიც იყო და როგორიც მახსოვდა. წამოსვლამდე მამაჩემი მაბარებდა, სად მისულიყავი, რა მენახა. მან ჩვენი უბნის რუკაც კი დამიხაზა. სხვათა შორის, კარგი მახსოვრობა მაქვს, ბევრი რამ მახსოვდა და ის რუკა სანახევროდ ჩემი შედგენილია. დღეს 9 საათიდან 4-მდე მხოლოდ ფეხით დავდიოდი და ლამის ნახევარი თბილისი შემოვიარე — მთელი რუსთაველი, მტკვარი და მისი სანაპირო, გორგასლის ძეგლი, ოპერა, თეატრები... ერთი სიტყვით, ბევრი რამ. თან ეს ყველაფერი ვიდეოზე გადავიღე და ისრაელში ყველას ვაჩვენებ.

**— ალბათ, ქართული სუფრის ორიგინალში გაცნობასაც მოასწრებდით.**

— ეს ჩემთვის უცნობი არც მანამდე იყო, რადგან ჩვენს ოჯახში ქართული სუფრა ხშირად იშლება. მწვადი, ხინკალი,

მწვრთნელის შემდეგ **არიკ ზეევსაც** გავესაუბრეთ.

**— არიკ, ვიცი, ქართველებს ხშირად შეხვედრიხართ. ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრათ თავი?**

— ყველაზე მეტჯერ ივერი ჯიქურაულს შევხვედრივარ. ორჯერ მან მომიგო, მესამედ კი, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მე გავიმარჯვე. ჩვენი ჭიდაობა ყოველთვის დაძაბული და უშეღავათო იყო. იგი არასოდეს მთავრდებოდა ვადაზე ადრე. ერთხელ გუგავას შევხვედრივარ, მაგრამ მანაც მომიგო.

რაც შეეხება თქვენს ტურნირს, მასზე ადრეც მსმენია. ვიცი, რომ მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს უწოდებდნენ. ჩემი ცოლიც თბილისის შესახებ მხოლოდ ამით ამოიწურებოდა. ჯერჯერობით ქალაქის დათვალიერება ვერ მოვასწარი, მაგრამ რაც ვნახე — რამაზის გადაღებული კადრები და სურათები, ძალიან მომეწონა.

**— ამ ტურნირზე, ალბათ, ისევ შეხვდებით ძველ ნაცნობებს.**

— 100 კილო ჩემთვის ახალი წონაა და პირველ რიგში ჩემი შესაძლებლობების შემოწმება მაინტერესებს ახალ გარემოში. ამდენად, ამ ტურნირს უფრო ძალთა გამოცდის თვალსაზრისით ვუყურებ, თუმცა არც წარმატებაზე ვიტყვი უარს.

**— არიკ, იუნიორთა ტიტამის შემდეგ დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ შეგირცხვენიათ თავი, მაგრამ არა მგონია, იქ დაკავებული მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდეთ.**

— როგორც ყველა სპორტსმენი, მეც ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვოცნებობ. საკუთარ თავში საამისო ძალას ვგრძნობ.

...და ბოლოს, **ენათი იარონი**, რომელმაც თავის ცხოვრებაში ყველაზე უფრო დიდი გამარჯვების ნაყოფი უკვე მოიმკა. როცა უყურებ ამ საშუალოზე ოდნავ დაბალ, გამხდარ, ბიჭურად თმაშეკრეჭილ გოგოს, მასზე გაგონილის სიმართლეში შეიძლება ეჭვიც შეგეპაროს, მაგრამ იგი რომ სულით ძლიერი პიროვნებაა, ამაში დასარწმუნებლად მცირე ხნით საუბარიც საკმარისია. კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ცოცხალ სიმბოლოდ ქცეული ეს ქალი ისე მშვიდად, აუღელვებლად და უემოციოდ ჰყვება თავსგადახდენილს, თითქოს ტურისტული მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მიზიარებდეს.

— თბილისში პირველად კი ვარ, მაგრამ თქვენს ქალაქზე მაინც ბევრი რამ ვიცოდი. მე ბევრი ქართველი მეზობელი მყავს. ისინი საოცრად თბილი და კეთილი, სხვათაგან გამორჩეული ხალხია და ძალიან ხშირად ჰყვებიან საქართველოზე, თბილისზე. უპირველესად მათი ნაამბობიდან გამომდინარე მაინტერესებდა თბილისში ჩამოსვლა, თუმცა ამ ტურნირის ავტორიტეტის შესახებაც ვიცოდი. ქალაქის დასათვალიერებლად ცოტა დრო მქონდა, მაგრამ რაც ვნახე, ძალიან მომეწონა. მინდა, მეტეხი და თბილისის ძველი უბნები ვნახო. გამიგონია, ეს ულამაზესი ადგილიაო.

**— ენათი, თქვენ მსოფლიოში უნიკალური პიროვნება ხართ, რადგან კიბოს დამარცხება შეძელით. თქვენზე ამბობენ, როცა ისრაელის ტელევიზიით გამოვიდა, მთელი ქვეყანა ტიროდაო...**

— ყველაზე ძლიერი სიცოცხლის სურვილია. იგი გაძლევს ძალას იომო, იბრძოლო და სძლიო ისეთ ძლიერ სენს, როგორიც კიბოს დაავადებაა. სიცოცხლის სურვილთან ერთად ძიუდოს სიყვარულიც ძალიან დამეხმარა. ეს ორი ფაქტორი შეერწყა ჩემში ერთმანეთს და სწორედ ამ მორალურმა მზადყოფნამ დამაძლევინა ეს უმძიმესი სენი.

**— ესე იგი, სპორტი დაგეხმარათ გადარჩენაში?**

— ასეა. სპორტმა უფრო მეტი ძალა მომცა, კიდევ უფრო გამიძლიერა სიცოცხლისთვის ბრძოლის სურვილი.



არიკ ზეევი

**— მხოლოდ სპორტს უმადლით თქვენს გადარჩენას?**

— წამლებს, მკურნალობას, საავადმყოფოს, ექიმებს ჩემთვის იმდენი სარგებლობა არ მოუტანიათ, რამდენიც სპორტმა, ძიუდოში ვარჯიშმა და მორალურმა მზადყოფნამ მომცა. საბედნიეროდ, დღეს უკვე ყველაფერი უკან დარჩა და ახლა მე ძირითადად სპორტში საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება მაინტერესებს. თქვენს ქალაქშიც ამიტომ ჩამოვედი.

**ირაკლი თამაძე**

# პიტს გარჯა უღირს

REUTERS შეუთბარტიდან



რიჩარდ კრაიჩეკი

**შტუტგარტი. გერმანია. EUROCARD OPEN. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2,45 მილიონი $**

პიტ სამპრასმა შტუტგარტში მეორე ბარიერიც წარმატებით გადალახა. ბევრით არაფრით გამორჩეულ ბოგდან ულირახთან შეხვედრაში მსოფლიოს პირველ ჩოგანს თითქოს რა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე იოლი სულაც არ გახლდათ — ჯერ ერთი, ჩეხს სამპრასი სამი პირადი შეხვედრიდან ორში დაემარცხებინა, მეორეც, წაგების შემთხვევაში ამერიკელი ორშაბათიდან იქნებ კლასიფიკაციის პირველ ადგილსაც გამოსთხოვებოდა.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, მერვედფინალური შეხვედრა პიტმა ძალიან ძლიერად ჩაატარა — უკანა ხაზს მიჯაჭვული ჩეხი ეისებითაც (13) აიკლო და ბადესთან ხშირი გასვლებითაც, მოწოდებაც რამდენჯერმე აართვა და 6:3, 6:3 გამარჯვებას საათზე ნაკლები დაახარჯა. თავის მომავალ მეტოქეთა საშწუხაროდ, ამერიკელმა პრესას განუცხადა, ზურგის ტრავმა (რომლის გამოც გასულ კვირაში ლიონის ტურნირს გამოეთიშა) სრულებით აღარ აწუხებს და სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნობის შესანარჩუნებლად (ზედიზედ მეექვსედ, რაც აქამდე ვერავის მოუხერხებია) თუ საჭიროა, მოსკოვის ან სტოკჰოლმის ტურნირზეც მივიღებ მონაწილეობასო: „ზედიზედ ხუთი წელი ამის გაკეთება და რეკორდის გამეორება თანამედროვე ჩოგბურთში საშინლად რთული რამ არის. მე კი სავსებით შემიძლია ეს მეექვსედაც მოვახერხო და მიღწევას, ალბათ, ვერასოდეს გააუმჯობესებენ — დამეთანხმებით ამისთვის ღირს გარჯა“.

თუ სამპრასის იოლ გამარჯვებაში საოცარი არაფერი იყო, რიჩარდ კრაიჩეკის (11) მიერ ანდრე აგასის 58 წუთში დაბრიყვებას, ალბათ, არავინ ელოდა — ხოტორა ამერიკელი ხომ სწორედ ამ კვირაში დაუბრუნდა საუკეთესო ხუთეულს ორწლიანი შესვენების შემდეგ, ჰოლანდიელს კი აგერ უკვე რამდენიმე თვეა, მუხლის ტრავმა აწუხებს და თითოეული მკვეთრი მოძრაობა მენისკის მდგომარეობას სულ უფრო უუარესებს: „ოპერაცია აშშ-ის ღია პირველობის მერე რომ გამეკეთებინა, ამ ტურნირების გამოტოვება მომიხდებოდა და დასვენების დროს გამოვჯანმრთელდებოდი, რაც ჩემი მიზანი სულაც არ გახლდათ. ასე რომ, ბევრი ვივარჯიშე, სიმძიმეებიც ვწიე და ველოსიპედიც ბლომად ვატარე, რომ დაზიანებული კუნთები მაქსიმალურად მომეძლიერებინა. თუ პარიზის ტურნირის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვერ შევწვდები, მაშინვე საოპერაციოდ გავემართები“.

თუმცა მერვედფინალში კრაიჩეკს ჯანზე არყოფნისა არაფერი ეტყობოდა — ჩვეულად ტყვიასავით აწოდებდა და ყოველ მოსახერხებელ თუ მოუხერხებელ სიტუაციაში ბადისკენ გარბოდა. აგასის ზუსტი შემოვლებულები უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონს ხშირ შემთხვევაში უმანსოდ ტოვებდა, მაგრამ ერთ-ორ მნიშვნელოვან მომენტში დარტყმა ამერიკელსაც გაუცუდდა და თითო ბრეიკი ორივე სეტში კრაიჩეკისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა — 6:3, 6:4.

„როცა ის ასე აწოდებს, შენ შანსი თითქმის აღარ გაქვს, თანაც მიღებაზე რაიმე რიტმის მიღწევაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რიჩარდს აშკარად აწყობს მსგავსი კორტები და მისი აქ დამარცხება ძალიან, ძალიან ძნელი იქნება“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ანდრემ, რომელმაც მეტოქის მოწოდებაზე მხოლოდ 9 ქულის მოპოვება მოახერხა. პრესკონფერენციაზე მაინცდამაინც არც კრაიჩეკს დაუმორცხვია, შეიძლება, საკუთარი თავის ასე შეფასება ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ დღეს არაჩვეულებრივად ვითამაშეო.

წააგო სამპრასის კიდევ ერთმა კონკურენტმა — აშშ-ის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა პატრიკ რაფტერმა. ავსტრალიელმა მარცხი მეტოქის კარგ თამაშზე მეტად (რომელსაც წინა დღეს სამტაი-ბრეიკიანი ბრძოლა გადაეტანა და თანაც გაცივებულიც იყო) საკუთარ შეცდომებსა და გამოუყენებელ შესაძლებლობებს უნდა დააბრალოს — გარდა იმისა, რომ მატჩში დაგროვილი შვიდი ორმაგი შეცდომიდან უმეტესობა ყველაზე შეუფერებელ მომენტში დაუშვა (ორი პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე), თავად 18 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ ორი გამოიყენა (რუზეცკიმ შვიდიდან — სამი).

რაფტერი ხშირად მოჯადოებულს ჰგავდა — შესანიშნავი მიღებებით 40:0-ით გადიოდა წინ, მაგრამ იმ უკანასკნელი ქულის მოპოვებას ვერაფრით ახერხებდა, ბურთს ხან ბადეს ვერ აცილებდა და ხანაც ზედმეტი მოსდიოდა. ყველაფერმა ამან ავსტრალიელი ისე განერვიულა, ჩვეულებრივ კეთილგანწყობილი რუზეცკის აუხირდა, გათამაშებებს შორის ცხვირ-პირის წამდაუწუმ წმენდას და სიმების სწორებას შეეშვი, ხელი მეშლებაო. ორჯერ კი სულაც მეტოქეს დაუმიზნა ბურთი და თუ პირველად ინგლისელმა თავის ჩაწევა მოასწრო, მეორედ დარტყმას ველარ გადაურჩა.

საბოლოოდ რუზეცკიმ 7:6 (7:4), 6:7 (5:7), 6:4 მოიგო და რაფტერს ძველი და ახალი წყენებისთვის სამაგიეროც გადაუხადა: „მას შემდეგ, რაც პატრიკთან აშშ-ის ღია პირველობის ფინალში წავაგე ყოველთვის შურისძიების სურვილით ვეთამაშები. მან ხომ ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი ჩამაშხამა.“

რაც შეეხება რაფტერს, მან მარცხი ფსიქოლოგიურ გადაღლილობას დააბრალა, პარიზში ასპარეზობის შემდეგ ელემენტების დასატენად შინ, ბერმუდაზე თუ არ გავემგზავრე, საშინლად გასავათებულად ვგრძნობ თავსო. ამის შემდეგ კი ჟურნალისტები მოულოდნელი განცხადებით გააკვირვა, შეიძლება, ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკან სულაც აღარ დავბრუნდე, ასეთ მდგომარეობაში წიგნების მკითხველად თუ გამოვდგებიო.

მასპინძლები კარლოს მოიას დამარცხების შემდეგ ბორის ბეკერისგან მორიგ გმირობას ელოდნენ გორან ივანიშევიჩთან შეხვედრაში. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი წინა მატჩთან შედარებით უკეთესადაც გამოიყურებოდა და ამჯერად 8 ეისისა და 8 ორმაგის ნაცვლად შესაბამის გრაფებში 16 და 2 დაუგროვდა, მაგრამ ხორვატის დასამარცხებლად საკმარისი არც ეს აღმოჩნდა — გამარჯვებულის ბედი ორივე სეტში ტაი-ბრეიკზე გადაწყდა და ორივეგან მცირე უპირატესობით ივანიშევიჩმა იმარჯვა 7:6 (7:5), 7:6 (7:5).

„დღეს იღბალი ჩემს მხარეს არ იყო, მაგრამ თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, თურმე საუკეთესოებისგან არც ისე ბევრი მაშორებს“ — განაცხადა ნახევრად პენსიონერმა ბეკერმა მატჩის შემდეგ, რომელიც პროფესიონალურ დონეზე მისთვის იქნებ უკანასკნელიც აღმოჩნდეს გერმანიაში. „ჩემიდა ბორისის შეხვედრები ყოველთვის ასეთ ბრძოლაში მიმდინარეობს, გამარჯვებულს ცოტათი მეტად უნდა გაუმართლოს. მასთან მოგება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ბორისი ხომ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მიმაჩნია“ — ეს ივანიშევიჩის სიტყვებია, რომელმაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს პირად შეხვედრებში ანგარიში გაუთანაბრა — 10:10.

როგორც იქნა, ტურნირის მეოთხედფინალში გააღწია რუსმა ევგენი კაფელნიკოვმაც. მან ამერიკელ ტოდ მარტინს 6:4, 7:5 მოუგო, თუმც ამჯერად იმის გამო უფრო გამოვარჩევთ, რომ გასულ პარასკევს მამა გახდა — მეუღლე მაშამ, რომელიც სოჭელს 11 ივნისს ექვსი თვის ფეხმძიმე მისთხოვდა, ჩოგბურთელს ქალიშვილი აჩუქა.

**მერვედფინალი: მარსელო რიოსი (2, ჩილე) — იან სიმერინკი (15, ჰოლანდია) 6:2, გრიპის გამო მატჩი ველარ გააგრძელა; იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 2:6, 6:4, 6:2; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ტიმ ჰენმანი (9, ინგლისი) 7:6 (7:2), 1:6, 7:6 (7:5).**

*გუშინ მარსელო რიოსს ტრავმის გამო მეოთხედფინალში ასპარეზობაზე უარის თქმა მოუხდა, ასე რომ ევგენი კაფელნიკოვი ნახევარფინალში უბრძოლველად მოხვდა.*

**მეხიკო. მექსიკის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 345 ათასი $**

ისინი, ვისაც სეზონის ბოლოს ევროპული ტურნირების სწრაფი საფარი მაინცდამაინც არ იზიდავთ, ამერიკული თიხნარის თუგინდ მეორეხარისხოვან პირველობებზე ასპარეზობას ამჯობინებენ. სწორედ ამიტომ მეხიკოში ძირითადად ესპანელებისა და სამხრეთამერიკელების არმადამ მოიყარა თავი.

ფავორიტებს აქ არც ისე სწყალობენ — პირველივე წრეში ასპარეზობას მეორედ და მესამედ განთესილები — ალბერტო ბერასატეგი და გუსტავო კუერტენი გამოეთიშნენ, მერვედფინალში კი უკვე ფელიქს მანტიასაც (1) ააკვრევინეს გუდა-ნაბადი.

ესპანელს დაძაბულ, სამსეტიან ბრძოლაში 18 წლის ბელგიელმა, კლასიფიკაციით 361-ე ქსავიე მალისმა მოუგო 7:6 (7:4), 3:6, 6:3, რომელიც ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტსა, რუს მარატ საფინსა და შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან ერთად მომავლის ვარსკვლავად ითვლება. „მიუხედავად იმისა, რომ პირველად განთესილს ვეთამაშებოდი, იოტისოდენადაც არ ვნერვიულობდი. სამპრასს უკვე შევხვდი. ასე რომ, ახლა ნებისმიერთან გასაჯიბრებლად ვარ მზად“ — განაცხადა ბელგიელმა, რომელმაც მატჩში 16 ეისი მოაწოდა, სამპრასთან ზემოხსენებულ შეხვედრაში კი გამარჯვებას მხოლოდ ორი ქულა დააკლდა.

REUTERS შეუთბარტიდან



ბორის ბეკერი

**მერვედფინალი: ფრანსისკო კლავეტი (4, ესპანეთი) — იუნეს ულ აინაუი (მაროკო) 3:6, 6:0, 6:4; მარიანო პუერტა (5, არგენტინა) — ლუკას არნოლდი (არგენტინა) 6:1, 6:2; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 6:3, 6:3; ხორდი ბურილიო (ესპანეთი) — ფერნანდო მელიგენი (7, ბრაზილია) 7:6 (7:3), 6:3; ირჟი ნოვაკი (სლოვაკეთი) — ლეონარდო ლავალი (მექსიკა) 6:3, 7:6 (7:1).**

**ავთანდილ სვანიძე**



## გერმანია

X ტური

**კაიზერსლაუტერნი 3:2 ჰანზა**

0:1 პამიჩი (3), 0:2 ნიუვილე (23), 1:2 მარშალი (50პ), 2:2 ბალაკი (67), 3:2 როსლერი (73)

**გლადბახი 2:8 ლევერკუზენი**

0:1, 0:2 კირსტენი (10, 16), 0:3 ზე რობერტო (34), 0:4 კირსტენი (40პ), 1:4 პოლსტერი (47), 1:5 ნოვოტნი (52), 1:6, 1:7 რაიხენბერგერი (58, 59), 1:8 ნ. კოვაჩი (64), 2:8 ჩიქუინო (68)

მეორე ბუნდესლიგა

XII ტური

**კიოლნი 0:1 კიკერსი**

0:1 კევრიჩი (74)

**მაინცი 0:0 ობერჰაუზენი**

**ვატენშაიდი 1:1 გიუტერსლო**

1:0 ალიევი (30), 1:1 შტენდელი (48)

## რუსეთი

XXX ტური

**როსტსელმაში 1:0 ალანია**

**ჟემჩუჟინა 2:6 ურალანი**

**დინამო 1:1 კრილია**

**ლოკომოტივი 2:0 ბალტიკა**

**ზენიტი 0:0 ტიუმენი**

**ჩერნომორეცი 3:1 სპარტაკი**

**შინიკი 1:2 ცსკა**

**როტორი 1:0 ტორპედო**

## თურქეთი

X ტური

**სამსუნი 2:1 ტრაბზონი**

## ბელგია

XII ტური

**მუსკრონი 3:2 შარლერუა**

0:1 გუეიე (24), 1:1 დუგარდეინი (44), 1:2 გუეიე (60), 2:2 ვანდერჰაეგე (75), 3:2 ტანგე (85)

**ბრიუგე 2:0 გენკი**

1:0 ვერმანტი (36), 2:0 ეკაკია (90)

## პოლონეთი

XIV ტური

**ვიძევი 3:0 ლეხი**

**ვისლა 2:1 გურნიკი**

**რუხი 1:2 ლკს**

## შვეიცარია

XVI ტური

**არაუ 0:3 გრასჰოპერი**

0:1 თურქილმაზი (23), 0:2 ჰაასი (29), 0:3 სმილიანიჩი (90)

## ჰოლანდია

XI ტური

**სიტარდი 0:3 ტვენტე**

0:1, 0:2, 0:3 ვენეგოორი (12, 22, 65)

## პორტუგალია

IX ტური

**სპორტინგი 2:0 მარიტიმუ**

1:0 ნუნიო ვალენტე (53), 2:0 იორდანოვი (58)

**ბენფიკა 0:0 ლეირია**

ჭადრაკი

# დიდიც ჩვენია და პატარაც

REUTERS შეუთბარტიდან

ესპანეთის ქალაქ კასტელოსთან მდებარე მყუდრო დასახლება ოროპერა დელ მარიში 7 ნოემბრამდე გასტანს ბიჭუნათა და გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონატები 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. სხვებთან ერთად ესპანეთს 15 ქართველი ბავშვი და იუნიორი ეწვია და ისევე, როგორც რამდენიმე თვის წინ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატებში, ჩვენებურებს აქაც დიდი მიზნები ამოძრავებთ. ოროპერა დელ მარიში უკვე ოთხი ტური გათამაშდა და ამათგან უკანასკნელმა ქართველებს მცირედი წარუმატებლობა მოუტანა. ყოველ შემთხვევაში, თუ აქამდე ქულათა მაქსიმუმი ჩვენებურთა ბარე ნახევარს ჰქონდა, მეოთხე ტურის შემდეგ მათი რაოდენობა ორამდე შემცირდა: 10 წლამდელებში თანატოლებს ოთხივე პარტია მოუგო დავით ჯოჯუამ, ხოლო 18 წლამდე ქალიშვილებში იგივე რუსუდან გოლეთიანმა მოიმოქმედა. მიუხედავად ამისა, ვერც ერთ ასაკობრივ ჯგუფში ქართველებს აუტსაიდერთა შორის ვერ იხილავთ, თანაც ჯერ კიდევ 7 ტური დარჩა სათამაშო და ყველაფერი წინაა...

# კომენტარი ზედმეტია

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში კი მოზრდილებმა მოიყარეს თავი და თანაც მეტად სახელოვანმა მოზრდილებმა. აქაურ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც XVIII კატეგორიისაა და პოპულარობით მხოლოდ ლინარესის სუპერტურნირს თუ ჩამოუვარდება, წლეულს მხოლოდ სამი უძლიერესი გამოაკლდა. დანარჩენები კი იქ არიან და მათი გვარების ჩამოთვლა უკომენტაროდაც შეიძლება: ანანდი, კრამნიკი, ადამსი, სვიდლერი, ტოპალოვი, კორჩნოი, სედლერი, ვანველი, ზვიაგინცევი, პიკეტი, ლეკო, ლოტიე. ტილბურგში ხუთი ტური გასრულდა და პირველ ადგილზე ჯერჯერობით რეიტინგით ყველაზე აღმატებული ინდოელი ვიში ანანდია, რომლის გამარჯვებებიდან ყველაზე ჩინებულად II ტურში ვლადიმერ კრამნიკის ძლევა უნდა მივიჩნიოთ. ანანდს 3,5 ქულა აქვს. 3 ქულა ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ დააგროვა, ამდენივემ — 2,5, რაც ტურნირის დიდ დაძაბულობაზე მეტყველებს და საინტერესო დარჩენილ 6 ტურშიც არანაკლები იქნება.

**დავით გულუა**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორაშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოლუაძე, დავით კოჩხირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29